საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №115 (2488) ოთხშაბათი, 21 მაისი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისის გარეთ 45 თეთრი.

მეგობრობის სიმბოლო

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს **ედუარდ შევარდნაძეს** დეპეშა გამოუგზავნა ყოველთა სომეხთა კათალიკოსმა **გარეგინ პირველმა**, რომელშიც ნათქვამია:

„თქვენო აღმატებულებავ,

დიდი სიხარულით შევიტყვეთ, რომ თქვენი აღმატებულება ეწვია სომხეთის რესპუბლიკას და ჰქონდა შეხვედრა პრეზიდენტ ლევონ ტერ-პეტროსიანთან.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი შეხვედრა გახდა საქართველოსა და სომხეთის ორი მოძმე ხალხის ურყევი მეგობრობის სიმბოლო, სიყვარულისა და ძმობის კიდევ უფრო გაღვივების დასაწყისი, მშვიდობის საფუძველი.

სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო არ ვყოფილვართ სომხეთის სამოციქულო ეკლესიის პირველსატახტო ქალაქში.

დაბრუნების შემდეგ მადლიერებით მივიღეთ სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად ხის შესანიშნავი ნაკეთობა.

დიდი სიხარულით ვაცნობებთ თქვენს აღმატებულებას, რომ ამა წლის მაისის დამლევს სომხეთს ძმურ ვიზიტად ეწვევა ჩვენი საყვარელი ქრისტესმიერი ძმა უნეტარესი ილია მეორე – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ჩვენი შეხვედრა ჩვენი ეკლესიების ძმობისა და ორი ხალხის მშვიდობისათვის წირვის აღვლენის სიმბოლო გახდება.

სომხეთის სამოციქულო ეკლესიის წმინდა ეჩმიაძინის პირველსატახტო ქალაქიდან ლოცვას აღვავლენთ, რათა ღმერთმა მოგცეთ ჯანმრთელობა და სიბრძნე სამშობლოსა და საქართველოს ხალხისათვის თქვენს სამსახურში.“

ჯანსუღ ჩარკვიანი

სამადლობლად ღვთისა

ვუძღვნი უწმინდესსა და
უნეტარესს, სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქს ილია მეორეს

დიდება მამასა და ძესა,
დიდება უწმინდესსა სულსა,
დიდება მარადიულ მზესა,
დიდება სიწმინდითა თქმულსა.

ვინცა ბოროტისგან გვიცავს,
ვინცა სულში გვიფენს მზის სხივს,
ნუგეშისმცემელია ვინცა,
ვინცა ცოდვათაგან გვიხსნის.

კეთილდამლოცავი გზათა,
მამა — შემოქმედი ცათა,
რომელ ყოველგან ხარ მადლად,
რომელ სულში ზიხარ ნათლად.

მოვედ ჩვენს შორის და წმინდა
მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწის,
ნათლით სულიწმიდის ციდან
გვარქვი განსაცდელი მიწის.

წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა,
თვალნი განმინათლენ აწცა,
ცათა გაღიარებ მკვიდრად,
ვგზავნი აღსარებას კაცთა.

დიდება მამასა და ძესა,
დიდება უწმიდესსა სულსა,
დიდება მარადიულ მზესა,
დიდება სიწმიდითა თქმულსა.

1997 წლის 20 მაისი.

ეკლესია

მოუწოდებს სინანულისაკენ

როგორც ვიუწყებოდით, შიომღვიმის, ბეთანიისა და დავით გარეჯელის მამათა მონასტრების წინამძღვრებმა და მონასტრის ზოგიერთმა წევრმა განაცხადეს, რომ შეწყვიტეს ევქარისტიული კავშირი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II და საქართველოს ეკლესიასთან, აგრეთვე მსოფლიო საპატრიარქოსთან, მოსკოვის საპატრიარქოსთან და თითქმის ყველა მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიასთან მწვალებლობის ბრალდებით.

ამასთან დაკავშირებით, გუშინ გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის კრება, რომლის ოქმიც

იხ. მე-2 გვ.

ჯილდო — სახელოვან წინაპართა ღირსეულ მემკვიდრეს

20 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ქართული კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ნაყოფიერი და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ქვეყნის საპატიო ჯილდო – ღირსების ორდენი გადასცა საქართველოს სახალხო არტისტს სოფიკო ჭიაურელს.

– თქვენი სახელი ჩვენს ხელოვნებასა და კულტურაში თავისთავად განსაკუთრებული მოვლენაა, – აღნიშნა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე ქვეყნის პრეზიდენტმა, – დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მსურს გულითადი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი მოღვაწეობის ყველა ეტაპზე ჩვენი ხალხის კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის, თქვენი საამაყო წინაპრების გზის ღირსეულად გაგრძელებისათვის და გადმოგცეთ ის ჯილდო, რომელშიც ასახულია ქართველთა ღირსების, კულტურისა და ინტელექტის მაღალი დონე, – მიმართა ედუარდ შევარდნაძემ სოფიკო ჭიაურელს. სახელმწიფოს მეთაურმა ხაზი გაუსვა ვერიკო ანჯაფარიძის სახლ-მუზეუმის, ერთი მსახიობის თეატრის მნიშვნელობას კულტურულ ტრადიციათა, ახალ წამოწყებათა პოპულარიზაციის საქმეში. ეს ადგილი, თქვა პრეზიდენტმა, ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის შემოქმედების უკვდავყოფის ჭეშმარიტი ძეგლია და ასეთად დარჩება მათი მოღვაწეობის სახელოვანი გამგრძელებლებისათვის.

სურათზე: ჯილდოს გადაცემის შემდეგ.

ბესიკ კეზერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დიპლომატიური ქრონიკა

ნორვეგია ადასტურებს თავის პატივისცემას

ნორვეგიის სამეფო ჯეროვნად აფასებს და პატივს სცემს დამოუკიდებელი საქართველოს სწრაფვას, რათა ააშენოს დემოკრატიული სახელმწიფო. ამის დასტურად იწყებს ჩვენს ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობის გააქტიურებას.

20 მაისს ნორვეგიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში პერ ტრეზელტმა რწმუნებათა სიგელი გადასცა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს და დაადასტურა ნორვეგიის სამეფოს პატივისცემა ჩვენს ქვეყანასთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებისა და მასთან ურთიერთობის მრავალი მიმართულებით განვითარებისადმი.

– ჩემი ქვეყანა უდიდეს პატივს სცემს ხანგრძლივი საამაყო ისტორიისა და მდიდარი კულტურის მქონე საქართველოს, რომელიც დღეს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში, – განაცხადა ელჩმა და საქართველოსა და მისი ხალხისადმი ნორვეგიის მეფის ჰაროლდ მეხუთის საუკეთესო სურვილები გადასცა საქართველოს პრეზიდენტს.

ცერემონიის შემდეგ გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ნორვეგიის ელჩის დანიშვნა საქართველოში შეაფასა, როგორც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის აქტიური ეტაპის დასაწყისი. მან აღნიშნა, რომ საქართველო, როგორც ისტორიული „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანა, ნორვეგიისათვის მრავალმხრივ საინტერესო პარტნიორი შეიძლება გახდეს. ამის გათვალისწინებით, ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა მოსაზრება ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის კონკრეტულ მიმართულებათა განმსაზღვრელი სახელშეკრულებო ბაზის მომზადების თაობაზე.

საქართველოს პრეზიდენტის
პრესსამსახური-საქინფორმი.

ინფორმაცია

გაიმართა პირველი სხდომა

20 მაისს გაიმართა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული უცხოური ინვესტიციების საკონსულტაციო საბჭოს პირველი სხდომა.

სხდომამ დაამტკიცა საკონსულტაციო საბჭოს დებულება და სამუშაო რეგლამენტი, განიხილა და მოიწონა მსოფლიო ბანკისა და ევროგაერთიანების პროექტი საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის ცენტრის დაარსების შესახებ.

სრულ ინფორმაციას ხვალ შემოგთავაზებთ.

26 მაისის აღლუმი საქართველოს პარლამენტის შენობის წინ ჩატარდება

„იბერიის“ კორესპონდენტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრიდან აცნობეს, რომ 26 მაისს სამხედრო აღლუმი ჩატარდება არა რესპუბლიკის მოედანზე, არამედ საქართველოს პარლამენტის შენობის წინ, სადაც სპეციალური ტრიბუნა მოეწყობა. აღლუმს დაესწრება უკრაინის თავდაცვის მინისტრი ივანე კუზმუკი. ეს აღლუმი უპრეცენდენტო იქნება ჯარისკაცთა და სამხედრო ტექნიკის რაოდენობით. ქართული მხარე მოახდენს იმ უახლესი საარტილერიო სისტემების დემონსტრირებას, რომელიც მას უკვე გააჩნია.

ზურაბ ჟვანიას ვიზიტი თურქეთში გადაიდო

„იბერიის“ კორესპონდენტს საქართველოს პარლამენტის აპარატიდან აცნობეს, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ოფიციალური, ოთხდღიანი ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკაში, რომელიც 22 მაისს უნდა დაწყებულიყო, გადაიდო თურქეთში სამთავრობო კრიზისის გამო. ვიზიტი გადაიდო თურქეთის მხარის თხოვნით, თუმცა, მოწვევა კვლავ ძალაში რჩება.

საქართველოში დაახლოებით 500 ათასი მესაკუთრეა

პრაქტიკულად დასრულდა ე. წ. მცირე პრივატიზაცია. კერძო საკუთრებაში გადაეცათ 9600-მდე ობიექტი, დაფუძნებულია 1050-მდე სააქციო საზოგადოება. საქართველოს თითქმის 4,3 მლნ მოქალაქემ, ანუ ქვეყნის მოქალაქეების საერთო რიცხვის 83 პროცენტზე მეტმა მიიღო საპრივატიზაციო ბარათი. ვაუჩერების მეშვეობით მოსახლეობას გადაეცა 154 მლნ აშშ დოლარის ღირებულების სახელმწიფო ქონება, დაახლოებით 500 ათასი კაცი მესაკუთრე გახდა.

რუსთავი – საერთაშორისო ბაზარზე

დღეს რუსთაველმა მეტალურგებმა 2500 ტონა პროდუქცია გაუგზავნეს რუსეთის ფირმა „გაზინპექსს“. აქედან 600 ტონა ახალი პროფილის – 426 მმ. დიამეტრის მილები. „მოამბე-ექსპრესის“ კორესპონდენტთან საუბარში კომბინატის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ჭეიშვილმა განაცხადა, რომ მეტალურგებმა ახალი პროდუქციის სერტიფიცირებით ადგილი დაიმკვიდრეს საერთაშორისო ბაზარზე.

მსოფლიოს დახმარების მასშტაბი

უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში საქართველომ საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებიდან დახმარების სახით მიიღო დაახლოებით 400 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარებების ჩათვლით ეს ციფრი 1 მლრდ. აშშ დოლარს აჭარბებს.

აფხაზები – საქართველოს პასპორტებით

„მოსკოვში მოქმედ საქართველოს საკონსულოს ჩვენი რეკომენდაციით აფხაზი ეროვნების 300-ზე მეტ მოქალაქეზე აქვს გაცემული საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი პირადობის მოწმობები, კიდევ 20-მდე აფხაზი ეროვნების წარმომადგენლის საბუთი შესწავლის პროცესშია“, – განუცხადა „მოამბე-ექსპრესის“ კორესპონდენტს აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, პოლიციის პოლკოვნიკმა მურად ანჯაფარიძემ.

შეწყდეს ზურაბ წერეთლის დევნა

რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმის წევრებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმი თვლის თავს ვალდებულად, გამოხატოს პროტესტი და ღრმა აღშფოთება იმ უსაფუძვლო კრიტიკის მიმართ, რომელიც მიმართულია რუსეთის სახალხო მხატვრის ზურაბ წერეთლის ხელოვნების წინააღმდეგ.

აკადემიის პრეზიდიუმი აღშფოთებას გამოხატავს მხატვრის წინააღმდეგ გამართული კამპანიის მიმართ და მოითხოვს მის დაუყოვნებლივ შეწყვეტას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

ჩიყვისგან დასაცავად

„დმანისის ჩაის გადამწონი ფაბრიკა ჩიყვის დაავადების პროფილაქტიკის მიზნით მალე იოდიზირებულ ჩაის გამოუშვებს“, – განაცხადა დღეს „მოამბე-ექსპრესის“ კორესპონდენტთან საუბარში ანასეულის ჩაის სამეცნიერო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ეოვა ცანავამ. იოდიზირებული ჩაის წარმოება მსოფლიო სასურსათო პროგრამის ეგიდით განხორციელდება.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა -საქინფორმმა, „მოამბე-ექსპრესმა“.

უკანასკნელ საათს



მოსკოვი. რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გუშინ ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლითაც თანამდებობიდან გაათავისუფლა და სამხედრო სამსახურიდან დაითხოვა გენერალი კობეცი – მთავარი სამხედრო ინსპექტორი, რომელსაც ბრალად ედება მილიარდ რუბლზე მეტი თანხის ქრთამად აღება, აგრეთვე სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა აგრეთვე დაავალა თავდაცვის მინისტრს როდიონოვს შეაჩეროს საჰაერო-სადესანტო ჯარების რიცხოვნობის შემცირება, რომელიც პრეზიდენტისავე ბრძანებით დაიწყო.

კიევი. აქ ჩამოვიდა პოლონეთის პრეზიდენტი ალექსანდრე კვასნევსკი. იგი შეხვედება უკრაინის სახელმწიფოს მეთაურს ლეონიდ კუჩმას, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ალექსანდრე მოროზს, პრემიერ-მინისტრს პაველ ლაზარენკოს. მხარეები ხელს მოაწერენ დეკლარაციას ორი სახელმწიფოს თანხმობის შესახებ. როგორც კვასნევსკიმ განაცხადა, პოლონეთი ყოველნაირად დაეხმარება უკრაინას ინტეგრაციის საკითხებში.

* * *

გუშინ 11 საათსა და 07 წუთზე ბაიკონურის კოსმოდრომზე გაშვებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ აფეთქდა ორსაფეხურიანი რაკეტა „ზენიტ-2“, რომელსაც ორბიტაზე უნდა გაეყვანა მზვერავი თანამგზავრი. აფეთქებით გამოწვეული ზარალი რამდენიმე ასეულ მილიარდ რუბლს შეადგენს.



მანილა. ფილიპინის პრეზიდენტს ფიდელ რამოსს გუშინ თავს დაესხა ტერორისტი, რომელიც პურის დანით იყო შეიარაღებული. დაცვამ უვნებელყო თავდამსხმელი. იგი სულით ავადმყოფი აღმოჩნდა.

ქაბული. ავღანელ გენერალს აბდულ რაშიდ დუსთუმს აუჯანყდნენ მაღალი ჩინის სამხედრო პირები, რომლებიც მოძრაობა „თალიბანის“ მხარეს გადავიდნენ. ამით გენერალმა დუსთუმმა დაჰკარგა მის მიერ კონტროლს დაქვემდებარებული ავღანეთის ჩრდილოეთ ნაწილის მნიშვნელოვანი ტერიტორია.

პარიზი. გუშინ აქ ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ჰელმუტ კოლი. მხარეებმა იმსჯელეს ერთიანი ევროპული ვალუტის შემოღების პრობლემებზე, განიხილეს რუსეთ-ნატოს შორის 27 მაისს დაგეგმილი ხელშეკრულების ხელმოწერის საკითხი.

თელ-ავივი. გუშინ აქ დაიწყო რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრის ანატოლი კულიკოვის 5-დღიანი ვიზიტი. იგი ხელს მოაწერს შეთანხმებას ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობის შესახებ, შეხვდება პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიახუს და პრეზიდენტ ეზერ ვეიცმანს.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1997 წლის 19 მაისი ქ. თბილისი

ნ. ჩოხელის ღირსების ორდენით
დაჯილდოების შესახებ

საქართველოს მთის სოფლების მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის დუშეთის რაიონის დაბა ფასანაურის საუბნო საავადმყოფოს გამგე **ნინო ჩოხელი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1997 წლის 20 მაისი ქ. თბილისი

ე. კაკულიას ღირსების ორდენით
დაჯილდოების შესახებ

ქართულ საესტრადო ხელოვნებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში დიდი დამსახურებისათვის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი **ეთერ კაკულია** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

ოფიციალური ინფორმაცია

„ეროვნული უშიშროების საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის № 137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ეროვნული უშიშროების საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის № 137 ბრძანებულების მე-2 პუნქტში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების თანახმად შეტანილია ცვლილება:

1. საბჭოს შემადგენლობიდან გამოყვანილია დავით იაკობიძე.
2. საქართველოს ფინანსთა მინისტრი მიხეილ ჭკუასელი დაინიშნა უშიშროების საბჭოს წევრად.

საქინფორმი.

სოციუმი

სტალინი – პლიუსები და მინუსები

სულ ახლახანს – 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების მორიგი წლისთავი აღვნიშნეთ.

აღვნიშნეთ საზეიმოდ, საკმაოდ მაღალ დონეზე.

საქართველოში ამ თარიღისადმი დამოკიდებულება, ბოლო 6-7 წლის განმავლობაში, მოგეხსენებათ, ერთგვარად განსხვავებული იყო იმისაგან, რასაც საზოგადოებრიობა მთელი ათწლეულების მანძილზე იჩენდა. ამაში გასაოცარი და უჩვეულო არაფერია – ხდებოდა ღირებულებათა ტოტალური გადაფასება. ეს პროცესი მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებასაც შეეხო. და აი, დრომ ყველაფერი გამოაკრისტალა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტმა 9 მაისის აღნიშვნასთან დაკავშირებით, თბილისში მოსახლეობის გამოკითხვა მოაწყო. ერთობ საინტერესო პასუხები მიიღეს.

ძირითადი შედეგები ასეთია:

გამოკითხულთა 78 პროცენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია ფაშიზმზე გამარჯვების თარიღის საზეიმო აღნიშვნა საქართველოში. 6 პროცენტი წინააღმდეგი იყო, 16 პროცენტს კი გაუჭირდა ამ საკითხზე თავისი პოზიციის განსაზღვრა.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ 9 მაისის აღმნიშვნელ მიტინგზე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „ფაშიზმზე გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი სტალინმა შეასრულა“, მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 79 პროცენტმა, წინააღმდეგი აღმოჩნდა 11 პროცენტი, 10 პროცენტმა კი ვერ განსაზღვრა თავისი პოზიცია.

გამოკითხულ თბილისელთა 37 პროცენტმა განაცხადა, რომ თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრიობამ სტალინის პიროვნების მიმართ უნდა გამოხატოს მხოლოდ დადებითი პოზიცია, 9 პროცენტის აზრით – მხოლოდ უარყოფითი, 46 პროცენტი კი მიიჩნევს, რომ „საჭიროა ობიექტური პოზიციის დაფიქსირება – აღინიშნოს სტალინის პიროვნებისათვის დამახასიათებელი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მომენტები“. გამოკითხულთა 8 პროცენტს გაუჭირდა ვითარებაში გარკვევა.

როგორც ვხედავთ, ჩვენი საზოგადოებრიობა, სრულიად მართებულად, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებას საკუთარ ზეიმადაც მიიჩნევს, ეამაყება ის დიდი წვლილი, რაც საქართველომ (მართალია, სსრ კავშირის შემადგენლობაში) შეიტანა ამ გამარჯვებაში. რაც შეეხება ი. ბ. სტალინის მიმართ დამოკიდებულებას, იგი ისეთია, როგორიც ეკუთვნის უმაღლეს მთავარსარდალს, ამ გამარჯვების მთავარ ორგანიზატორსა და შემოქმედს. აქ ამ დიდი პიროვნების პლიუსები აშკარად გადასწონის მინუსებს.

ალექსანდრე ალექსიძე.

ბესიკ კეზერაშვილის ფოტო.

ვიზიტი

„...რაც კაცობრიობას აბადია!“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა იტალიის პრემიერ-მინისტრთან რომანო პროდისთან გამართულ სადილზე

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო,
პატივცემულო ქალბატონო პროდი,
ბატონებო,

ნება მიბოძეთ მოგმართოთ ჩემს მშობლიურ ენაზე. ქართული ენა პირველად ჟღერს ამ კედლებში და ჩემთვის ეს ფაქტი საკმაოდ ფართო განზოგადოების საგანი იქნება.

როდესაც დედამიწის ზურგზე ვმოგზაურობთ, ჩვენ განსაკუთრებით ყურადღებით ვაკვირდებით უცხო ქვეყნების იერსახეს და, ჩვენდა უნებურად, ვადარებთ სამშობლოსას, რატომღაც ჰგონიათ, რომ ჩვენ განსხვავებას ვეძებთ. სინამდვილეში კი მიმდინარეობს იგივეობის გამომხატველი ნიშნების ინსტინქტური ძიება.

ალბათ, ამასვე გრძნობდა გამოჩენილი ქართველი დიპლომატი, მეცნიერი და მწერალი სულხან-საბა ორბელიანი, როდესაც 1711 წლის ივნისში ფეხი შედგა გენუის სანახებში. „აქაურობამ გეგუთი გამახსენა“... — მაშინვე დააფიქსირა თავის დღიურში ნანახის მსგავსება დასავლეთ საქართველოს ერთ ადგილთან. ფლორენციის შემოგარენმა სამეგრელო გაახსენა, ტოსკანურმა ღვინომ — ქართლური ატენური, ლივორნომ — ოდიშის პროვინცია, ხოლო მეომარმა ციხე-ქალაქმა პიზამ — საქართველოს დედაქალაქ თბილისის გალავნები და ციხე-კოშკები. აი ასე, ტოსკანიდან სიცილიამდე მთელი გზა ადარებდა აქაურობას ძაფის წამებულ სამშობლოს და ხარობდა სანახების მსგავსებით, მე კი, მისი შთამომავალი, რომს, მილანსა და გორიციას რომ ვერ ჯავცილებივარ, მხოლოდ შევნატროდი დიდ წინაპარს:

სწორედ რომ შევნატროდი, ვინაიდან შეუძლებელია შეგშურდეს მისი. იგი — ევროპაში, და, კერძოდ, იტალიაში ლამობდა პრინციპულად გადაუწყვეტელი ამოცანის ამოხსნას — მოეპოვებინა დახმარება თავისი პატარა ქრისტიანული ქვეყნისათვის, იმდროინდელ გეოპოლიტიკურ გოლიათებს რომ უპირისპირდებოდა.

მე არ ვადარებ ჩემს მისიას სულხან-საბასას, მაგრამ ვაღიარებ, რომ მეც ასევე დაბეჯითებით ვეძებ და ვპოულობ ქართულ-იტალიურ იგივეობებს.

მაგალითად, თითქმის ერთნაირი წვისა და დაგვის ნაყოფია ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს იდეა, ან კავკასიური პარალელები „აპენინური ჩექმისა“, რომლის თავის ფეხზე ან თაეიანთი პოლიტიკის „კალაპოტზე“ მორგებას ბევრი ცდილობდა, ანდა სეპარატიზმი, დღეს რომ ემუქრება არა მარტო პატარებსა და სუსტებს.

თქვენო აღმატებულებავ,

დღეს არ შემიძლია არ გავიხსენო მალტის განთქმული შტორმის დღეები, რომელმაც, მრავალთა აზრით, ბოლო მოუღო „ცივ ომს“. მაგრამ, 1989 წლის ნოემბერში, ამ შტორმს წინ უძღოდა „მილანის გრიგალი“, რომელმაც გარდაქმნის პოლიტიკის ავტორებს ლამის რიტუალური თაყვანისცემის ტალღები დაატეხა თავს. როდესაც ვია სანტა მარგერიტასა და პიაცა დელა სკალაზე მივდიოდით, ჩვენ მივიწევდით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ადამიანური მადლიერებისა და სიყვარულის ცოცხალი გალავნით გარშემორტყმულნი.

მოგვიანებით სფორცესკოს ციხე-დარბაზში გამართულ შეხვედრაზე იტალიის მაშინდელი ერთ-ერთი ხელმძღვანელი მილანელთა მხურვალე გრძნობების გადმოფრქვევას შემდეგნაირად ახსნის: „ჩვენ, მე კი მოგახსენებთ იტალიაზეც და მთლიანად ევროპაზეც, ათწლეულების მანძილზე ვცხოვრობდით კოშმარის ატმოსფეროში, რომელიც გლობალური განადგურების საფრთხის შიშითა და საშინელებით იყო შობილი. თქვენ გაგვათავისუფლეთ ამ მდგომარეობიდან“...

1991 წლის მარტში ტრიესტის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის მონიჭების ცერემონიაზე პროფესორმა უმბერტო გორიამ თქვა, რომ გარდაქმნა ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი შანსი იყო. მაშინაც ვთქვი და ახლაც დავძენდი, რომ ეს იყო უკანასკნელი შანსი მრავალი ქვეყნისა და ერისათვის და ჩვენ ეს შანსი ხელიდან არ გაგვეშვია ახლებური პოლიტიკური აზროვნების გზის მანათობელი იდეების მეოხებით.

დღეს, როდესაც ბევრი მათგანი ისტორიის არქივს ჩაბარდა, ან ახალი თაობის კონფლიქტების ალმა შთანთქა, მე ვფიქრობ, იმ ახალი იდეების ცხოველმყოფელ ძალაზე, რომლებსაც ხელეწიფებათ დასძლიონ და თავიდან აგვაცილონ ახალი უბედურებანი.

სულ უფრო ხშირად, ჩვენს თვალწინ შუასაუკუნეობრივი ბარბაროსობა და სისასტიკე ეხამება მასობრივი მოსპობის მაღალ ტექნოლოგიებს. თითქმის ერთდროულად ყოფილ იუგოსლავიაშიც, ყოფილ საბჭოთა კავშირშიც, და ჩემს სამშობლოშიც, კერძოდ აფხაზეთში, მრავალი ადამიანის სისხლში ადრენალინმა ერთი ნახტომით მიაღწია შუასაუკუნეობრივ დონეს. ეს არ გახლავთ ჩემი მეტაფორა, მაგრამ, როგორც თითქოსდა ლეთაში გაუჩინარებული წარსულის ამ თარეშის მომსწრე, მე ვადასტურებ მის სიზუსტეს.

რა ვქნათ? ნუთუ უნდა გავიყოლოთ შუა საუკუნეები 21-ე საუკუნეში?

თუ, მაინც არის ახალი აღორძინების, ახალ დიდ ფლორენციელთა ამქვეყნად მოვლენის იმედი, რომლებსაც ხელეწიფებათ მოუტანონ ევროპას და კაცობრიობას იდეების ისეთი სისტემა, მათი განხორციელების ისეთი წყურვილი, რომლებიც უკან დაახევინებენ აგრესიული ნაციონალიზმის, სეპარატიზმის, ქსენოფობიის ინკვიზიტორულ სისტემებს.

ჯოტოს, დანტეს, პეტრარკას, ბოკაჩოს, ლეონარდოს, მიქელანჯელოსა და მათი სასიქადულო შთამომავლების ქვეყანაში რომ არ ვიმყოფებოდე, ვერც გავბედავდი ხმამაღლა მეოცნება ახალ ტრენტოზე. ახლა კი მზად ვარ უმბერტო ეკოს კვალდაკვალ გავიმეორო აზრი ერთი და იმავე გზის მანათობელი ნიშნების აუცილებლობის შესახებ: „ეს არის ერთადერთი, რაც კაცს აბადია, რათა გზა გაიგნოს თანამედროვე სამყაროში“, ოღონდ ერთს დავსძენდი: „...რაც კაცობრიობას აბადია!“

ჩემს თანამგზავრებთან ერთად თვალს არ ვაცილებ იტალიის სახებას და მინდა ამოვიცნო მასში ჩემი სამშობლოს მომავალიც. და რაკი ინტერესებისა და მიზნების მსგავსება ესოდენ აშკარაა, მე არ შემიძლია, არ ვუსურვო თქვენს ქვეყანას, როგორც ჩემს საკუთარს:

ბედნიერება და აყვავება თქვენს ხალხს!

ახალი იტალიური სასწაულები ნუ მოაკლოს ქალაქს და მსოფლიოს!

ბედნიერებას და სიხარულს ვუსურვებ ყველა აქ მყოფს!

სურათზე: შეხვედრა იტალიის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში.

კულუარები

რომში 18 საუკუნის შემდეგ

2. ლოდინი გასრულდა

იტალიაში საქართველოს პრეზიდენტის პირველი ოფიციალური ვიზიტი ისეთი რანგის მოვლენაა, იმდენად მრავალწახნაგოვანი, რომ მისი შეფასება ერთი და ორი საგაზეთო წერილით, რაგინდ პროფესიულად იყოს გაკეთებული, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია.

ინტერვიუები, რომლებსაც შემოგთავაზებთ, მხოლოდ სასტარტო მოედანია სამომავლო საუბრებისა.

ჟურნალისტები უმეტესად იმაზე წერენ, რასაც ხედავენ და ისმენენ. ამ დროს ემოციური შემადგენელი დომინანტობს.

პროფესიონალები, სპეციალისტები იმას მიაქცევენ ყურადღებას, რასაც საკუთარი პრაგმატული გამოცდილება უკარნახებთ.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩისგან იტალიაში ბეგი თავართქილაძისგან მაღალი დიპლომატიური თანამდებობა მოითხოვს, იყოს მშვიდი და თავდაჭერილი შეფასებების დროს. ასეთიც არის, მაგრამ ამჯერად, „გრანდ ოტელის“ ჰოლში (ამ სასტუმროში იყო პრეზიდენტის აპარტამენტი) რომ შევეკითხე, ვიზიტზე რას იტყვითმეთქი, ემოცია მაინც მოეჭარბება და მეტყვის, მადლიერი ვარ უფლისა, რომ მოწმე გამხადა საქართველოს პრეზიდენტის პირველი ვიზიტისა რომში, რომელსაც მთელი ქრისტიანული ეპოქის მანძილზე, 18 საუკუნის განმავლობაში პრეცედენტი არ ჰქონდა, და რომ სწორედ განგების ნება იყო ამ დიდი მისიის დაკისრება ისეთი ღვთითგამორჩეული პიროვნებისთვის, როგორიც ედუარდ შევარდნაძეა.

რაც შეეხება პრაგმატიზმს:

— იტალიელებმა გააკეთეს ის, რაც არასოდეს გაუკეთებიათ, პირველივე შეხვედრით ხელი მოაწერეს ოც დოკუმენტს. ეს უპრეცედენტო ფაქტია. არც ერთ სხვა ქვეყანასთან ურთიერთობის დროს ასეთ დათმობაზე არ წასულან. ეს, რა თქმა უნდა, ედუარდ შევარდნაძის ფაქტორის გავლენით მოხდა.

ბეგი თავართქილაძე პირველი წელიწადი არ იხარშება რომის პოლიტიკურ ქვაბში და იცის, რასაც ამბობს.

— რა გარანტია არსებობს იმისა, რომ ეს ხელშეკრულებები შესრულდება? — ვიყოთ ბოლომდე პრაგმატიკოსები.

— უწინარეს ყოვლისა, — უმაღლესი დონე ხელმომწერი მხარეებისა. შემდეგ, — დეტალურად დამუშავებული, გათვლილი და გაანგარიშებული, ყოველმხრივ შეთანხმებული დოკუმენტები, რომლებშიც ყველა შესაძლო დაბრკოლება მოხსნილია. შემდეგ, — საქართველოს მინისტრების მონაწილეობა, შეხვედრები კოლეგებთან, კონკრეტული „საქმიანი მოთელვა“ ერთობლივი მუშაობის დიდი მარათონის წინ. შემდეგ, და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, კერძო ბიზნესის, საქართველოს წამყვანი ბიზნესმენების, ბანკირების მონაწილეობა დელეგაციის შემადგენლობაში, მათი საქმიანი კონტაქტები იტალიელ ბიზნესმენებთან. და, ალბათ, ბოლოს ისიც, რომ ამ დიდ საქმეს მეთვალყურე და გულშემატკივარი ეყოლება ჩვენი და იტალიის საელჩოების სახით.

ჩვენი საელჩო გაძლიერდება კვალიფიციური კადრებით და მოკლე დროში თბილისში იტალიის საელჩო გაიხსნება. ამაზე შეთანხმდნენ საქართველოს პრეზიდენტი და იტალიის პრემიერ-მინისტრი.

— ეს სამი დღე, რაც საშუალება მომეცა პრეზიდენტის გვერდით ვყოფილიყავი — დაასკვნა ელჩმა, — ეს ჩემთვის ისეთი სკოლაა, რომელსაც ყველა სხვა ვითარებაში წლებიც ვერ მომცემდა.

* * *

„გრანდ ოტელის“ პირველი სართული საველე შტაბს ჰგავს: ვინ — დავალებით მიდის, ვის — მოაქვს დანაბარები, ვინ — ვიღაცას ელოდება, ვინ — თავს იხრჩობს ტელეფონის აპარატთან. მიდგებ-მოდგები და, ქართველების მიერ ოკუპირებულ ზონაში არა ხარ?! სადაც იტალიელების იურისდიქცია არ ვრცელდება.

ანტიკური ბიუსტები, უძვირფასესი ავეჯ-მორთულობა კი გეხამუშება, თორემ სხვა მხრივ, ბატონო ჩემო, არ წასულხარ საქართველოდან და ისაა!

ირაკლი მენაღარიშვილს სანახევროდ მოეხსნა ტვირთი — იტალიაში ვიზიტი დამთავრდა, მაგრამ სულ ნახევარ საათში იწყება ვიზიტი ვატიკანის სახელმწიფოში და დოკუმენტებშია თავჩარგული.

იქნებ, მაინც მოიცალოს ჩვენი გაზეთისათვის?

მოიცალა, თქვენ წარმოიდგინეთ:

— ეს ვიზიტი იყო უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, რომელიც საქართველომ იტალიისკენ გადადგა, და, ეგებ უფრო მნიშვნელოვანია, რომ იტალიამ კავკასიისკენ მოიხედა, ეს აღნიშნა ყველა პოლიტიკოსმა და შეხვედრები კი, მოგეხსენებათ, უმაღლეს დონეზე იყო.

მე მომეცა საშუალება შევხვედროდი იტალიის სამ საგარეო მინისტრს, მათგან ორს — ყოფილს, და ყველამ ერთხმად აღნიშნა ამ ვიზიტის უდიდესი მნიშვნელობა, განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს იტალიის ინტერესს იმოღვაწეოს კავკასიაში.

უკანასკნელი მოვლენები ჩვენს რეგიონში, ტრანსკავკასიური დერეფანი ევროპა-აზია, ეკონომიკური ძვრები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა, პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციისა და დემოკრატიის განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯები სულ უფრო არწმუნებს მსოფლიოს, რომ საქართველო, კავკასია ხდება ღირსეული პარტნიორი.

თუ დავუმატებთ იმასაც, რომ კავკასია ცენტრალური აზიის გასაღებიც არის, გასაგები ხდება მათი ინტერესის სფერო.

იტალიას გამოკვეთილი ორიენტაცია აქვს სამხრეთ-ევროპული ინტეგრაციისკენ. მისი საგარეოპოლიტიკური ინტერესის საგანი გახლავთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ინტეგრაცია. იგი ესპანეთთან და საფრანგეთთან ერთად ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებს ეგრეთ წოდებულ ბარსელონის პროცესში, ეკონომიკური გიგანტია, დიდი შვიდეულის წევრია. ამავე დროს, იტალიელებს არ აკმაყოფილებთ ის პოლიტიკური გავლენა, რომელიც მათ რეალურად აქვთ, როდესაც მათი პოლიტიკური პოტენციალი სრულად არ არის ამოქმედებული.

ეს ყველაფერი კარგად გვიჩვენებს, თუ როგორ სიბრტყეებში თანხვდება ჩვენი და იტალიის ინტერესები.

იტალიასთან ჩვენი თანამშრომლობა უკმარისობის განცდას იწვევს. მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იტალიის კერძო ბიზნესი უკვე შემოდის საქართველოში, თუმცა, ბევრი პირობა საამისოდ ჯერ კიდევ არ არის შექმნილი. ჩვენ იმდენი რამ გვაქვს საერთო, მსგავსება ცხოვრების წესის, ხასიათის, ის, რომ ისტორიულად ერთიან კულტურულ სფეროს განვეკუთვნებით, რომ ჩვენი ურთიერთობის მიღწეული დონე, ბუნებრივია, ვერ დაგვაკმაყოფილებდა, ვერც სამართლებრივი, ვერც პრაქტიკული საქმიანობის ჭრილში.

ამ მიმართულებით გადაიდგა გადამწყვეტი ნაბიჯები. მარტო რაოდენობა დოკუმენტებისა, რომელთაც ხელი მოეწერა, ნათლად გვიდასტურებს რამდენი რამ გაკეთდა მოსამზადებელ პერიოდში, რომელიც ვიზიტმა დააგვირგვინა. დავუმატოთ ამას ის უამრავი შეხვედრა საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან, კონკრეტული კონტრაქტები, რომლებიც დაიდო, განზრახულობათა ოქმები, რომლებსაც ხელი მოვაწერეთ, სამომავლოდ განსახილველი პროექტები, და დავრწმუნდებით, რომ ეს მართლაც ისტორიული ვიზიტი იყო.

1800-წლიანი ლოდინი გასრულდა.

* * *

შეიძლება თუ არა „შატალო“ ოფიციალური ვიზიტის დროს?

წარმოიდგინეთ, შესაძლებელი ყოფილა.

თუ რომაული არდადეგები არავის უკვირს, ერთი რომაული „შატალო“ რატომ უნდა იყოს დაუჯერებელი?

ბევრი რომ არ გაგიგრძელოთ, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი ბაკურ გულუა და ამ სტრიქონების ავტორი რომის ოლიმპიურ სტადიონზე „გავიპარეთ“ პოლიციის მანქანით ესკორტირებულნი. ჩვენი მასპინძელი იყო მსოფლიო იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ლუჩიო გია.

ფეხბურთი ცალკე თემაა, ეგებ დავუბრუნდე ოდესმე იმ დღესასწაულს, რომლის მოწმენიც გახლდით...

იმ სასწაულსაც აქვს შესვენება და შესვენების დროს, როდესაც ბაკურ გულუა წარდგინებათა დიდ რიგს აუვიდა, ამ ვიზიტმა როგორი შედეგი გამოიღომეთქი, ვკითხე.

— ბატონ პრეზიდენტის თანდასწრებით იფადის (სურსათისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი) შტაბ-ბინაში ხელი მოვაწერეთ 6,5 — მილიონიან საკრედიტო შეთანხმებას, რომელიც საერთო კრედიტის — 26,8 მილიონი დოლარი — ნაწილია და მხოლოდ ამ სესხთან ერთად ხდება რეალიზებადი. ამას 1995 წლის სექტემბრიდან დიდი მოცულობის სამუშაო წინ უძღოდა. მაშინ ჩვენ წამოგვიყენეს ორი მთავარი პირობა: დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, დემოკრატიაზე ფუნდამენტური გადასვლა. მხოლოდ მათი რეალიზაციის შემდეგ ფაო (სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია), იფადი და მსოფლიო ბანკი (სამი კომპონენტი) დაგვიდგებოდა გვერდში და მივიღებდით 40-წლიან კრედიტს.

აქ ჩაქსოვილია იმედი, იმედი იმის, რომ დემოკრატიული საქართველო აღმავალი გზით ივლის. ასეთია საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზი. სწორედ ამას გაესვა ხაზი პრეზიდენტის ვიზიტის დროს ფაოსა და იფადში — ეს არისო ყველაზე დიდი ინვესტიცია: ნდობის ინვესტიცია. ჟაკ დიუფმა, ფაოს გენერალურმა დირექტორმა კიდეც უთხრა შეხვედრის დროს ედუარდ შევარდნაძეს: — ყველაზე დიდი ინვესტიცია, ბატონო პრეზიდენტო, საქართველოს თქვენი სახით უკვე მიღებული აქვს. თქვენ 1987 წელს გაეროს ტრიბუნიდან პირველად დააყენეთ პრობლემა შეჭირვებული სამყაროს შესახებ და მოუწოდეთ განვითარებულ ქვეყნებს, გადაანაწილონ თავიანთი შემოსავლები ღარიბ-ღატაკთა შესაწევნად. ეს გახდა საფუძველი მუშაობისა, რომელიც ბოლოს და ბოლოს რომის მსოფლიო სამიტით დაგვირგვინდა.

ბატონმა პრეზიდენტმა ამაზე უპასუხა, რომ იგი ძალიან ეცადა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შეძლო მაშინ ჩამოსვლა.

ქართველმა მკითხველმა უნდა იცოდეს, ესეც გააზრებული ნაბიჯი იყო ჩვენი პრეზიდენტის: იგი მსოფლიო ლიდერებთან ერთად, მთელი მსოფლიოს წინაშე მის მიერ დაწყებული საქმის ზეობის ჟამს დამსახურებული პატივის მისაგებად კი არ ჩამოვიდა მაშინ ფაოს მსოფლიო სამიტზე, არამედ ცალკე, იტალიაში მისი ვიზიტის დროს ესტუმრა ამ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა უფრო კონკრეტული სამსახური გაეწია თავისი ქვეყნისათვის, საქმიან ვითარებაში, გადაეწყვიტა კონკრეტული საკითხები.

სამიტი მარშან, ნოემბერში ჩატარდა. იქიდან მოყოლებული, დღემდე, გაეროსთან არსებული ეს საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს პრეზიდენტთან შესახვედრად ემზადებოდნენ და, როგორც ამბობენ — შედეგიც სახეზეა.

— ერთი წინადადება თქვა ბატონმა პრეზიდენტმა იფადში ფაუცი ალ-სულთანთან შეხვედრისას: — გთხოვთ, უფრო მკაცრნი და მომთხოვნი იყოთ ჩვენს მიმართ, რათა უკეთეს შედეგს მივაღწიოთო. ხომ არ გაშიფრავდით?

— იფადის პრეზიდენტი არაბული სამყაროს ცნობილი ლიდერია, რომლისთვისაც დიდი თანხები პრობლემა არ არის, მან იცის ფულის ყადრი და, რაც მთავარია, მკაცრი პრინციპის მიმდევარია — გაცემული კრედიტის ყოველი ცენტი დანიშნულებისამებრ უნდა მივიდეს.

როდესაც ამ საერთაშორისო ორგანიზაციას გაეფანტა ყოველგვარი ეჭვი, რომ გამოყოფილი თანხები საქართველოში სხვას შეიძლებოდა მისვლოდა, რადგან კრიმინალების თარეშს ბოლო მოეღო, წამოვიდა კიდეც კრედიტები საქართველოსკენ. აი, ეს მომენტი რომ აჟღერდა ალ-სულთანის საუბარში, ედუარდ შევარდნაძის რეაქცია მყისიერი იყო და მაშინ თქვა ის წინადადება, რომლის გაშიფვრაც მთხოვეთ.

რა არის დახმარების საფუძველი? წესისა და რიგის დაცვა. „იყავით ჩვენს მიმართ მომთხოვნი და მკაცრნი“, ნიშნავს, რომ ფულის მიღებას ხელი რომ მოვაწერეთ, გარკვეული ვალდებულებებიც ვიტვირთეთ: ღარიბ-ღატაკებისათვის განკუთვნილი თანხა სწორედ მათ უნდა მიიღონ, არა სხვამ.

მე, ამ დავალების აღმასრულებელს, ერთიც და მეორეც მომთხოვს ზუსტ შესრულებას. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და საქვეყნოდ განვაცხადო, რომ ვერავითარ გამონაკლისს ვერ დავუშვებ — დახმარება მიეცემა იმას და მხოლოდ იმას, ვისაც ეკუთვნის.

ხომ გახსოვთ, ედუარდ შევარდნაძემ ხუმრობით რომ უთხრა ალ-სულთანს — ორმოცი წლის მერე მე ამ ვალის გადამხდელი არ ვიქნებიო.

— არც მე ვიქნებიო მომთხოვნი, — აუბა მხარი ალ-სულთანმა.

აქ ერთი ისტორიული პარალელი მახსენდება, ისტორიული პარალელი ქვეტექსტებისათვის. ერთხელ, საუბრის დროს სტალინმა იაპონიის ელჩს უთხრა — ჩვენ ორივენი აღმოსავლელები ვართ, აზიელები ვართო და მიანიშნა, ვხვდები იმას, რისი თქმაც გსურთ და არ ამბობთო.

დღეს, შუაგულ ევროპაში მსგავსი რამ მოხდა, მგონი: ორმა მსოფლიო მასშტაბის მოღვაწემ ერთმანეთს უთხრა — ჩვენ ორივენი აღმოსავლელები ვართ, და ჩვენ ხომ ვიცით, რასაც ველაპარაკობთო.

* * *

გამგები, რა თქმა უნდა, გაიგებს.

ის, რაც „არ ითქვა“, ყველა ვიზიტს თან ახლავს ხოლმე, არ ითქვა, მაგრამ... ითქვა. ეს ისეთი რთული (და ძალიან საინტერესო თემაა), რომ ეგებ ლირდეს ამაზე ცალკე საუბარი.

მაგრამ — არა დღეს. შემდეგ ვნახოთ...

დღეს კი...

დღეს კი იმას გეტყვით, რაც მართლა საკულუაროა.

პირველსავე საღამოს (გვიან საღამოს) თბილისის მერმა ბადრი შოშიტაიშვილმა ძალიან უსიამოვნო ინციდენტისაგან იხსნა რომაელნი და სტუმარნი ქალაქისა, რომლებიც ამ დროს განსაკუთრებით მრავლად არიან ქუჩებსა და მოედნებზე.

ათვალიერებს ბატონი ბადრი რომის ღირსშესანიშნაობებს იმ საღამოს და რესპუბლიკის (?) მოედნისკენ ჩადის. ჩადის და ყურადღებას მიაქცევს ავტომანქანას, რომელიც საეჭვოდ მოგორავს დაღმართში (შვიდ ბორცვზე გაშენებული რომი აღმართ-დაღმართიანია თბილისივით). ვუყურებო და შოფერი არა ჩანს, დავაკვირდი და მართლა ცარიელი არ არის?!

ქვევით ხალხია, მტრისას აქედან დაგორებული, რასაც იქ დაატრიალებს!

ბეჭი შეუდგა ბადრიმ, თუ არ მიწყენს, არსენა ოძელაშვილივით ამ უთავომხედრიან მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას და შეაჩერა! როცა გულგახეთქილი პატრონი მოვარდა და მადლობებში დაიხრჩა, ბადრი შოშიტაიშვილს ჩვენი დელეგაციის რამდენიმე წევრი ძმურად წამოშველებოდა უკვე.

არმაზ სანებლიძე,
რომი — თბილისი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 113.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომის ოქმი

თბილისი
საქართველოს საპატრიარქო

20 მაისი,
1997 წელი

დღის წესრიგი

1. რამდენად არის მიზანშეწონილი საქართველო მართლმადიდებელი ეკლესიის შემდგომი წევრობ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში.

2. განხილვა სასულიერო და საერო პირთა იმ ჯგუფ ანტიეკლესიური და ანტიეროვნული ქმედებისა, რომელთაც გაწყვიტეს ევქარისტიული კავშირი საქართველოს მართლმადიდებელ და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან.

1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა იმსჯელა ეკუმენური მოძრაობის შესახებ. აღინიშნა რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს დაარსების შემდეგ ამ ორგანიზაციაში გაწევრიანდა მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიები. 1962 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გახდა წევრი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსი, 1979 წელ კი ევროპის ეკლესიათა კონფერენციაში გაწევრიანდა.

ვითვალისწინებთ, რომ უკანასკნელ წლებში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მხრიდან ადგილი აქვს მცდელობას მიანიჭო ეკლესიოლოგიური ხასიათი თავად ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს რაც ეწინააღმდეგება მართლმადიდებელი ეკლესიის მრწამს ამ ეკუმენურ ორგანიზაციაში ნაკლებად არის გათვალისწინებული მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესები, ამიტო მართლმადიდებელ ეკლესიებში წარმოიშვა აზრი ამ ორგანიზაციიდან გამოსვლისა.

1995 წლის სექტემბერში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე გამოითქვა აზრი ეკუმენური მოძრაობიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შესაძლო გამოსვლის შესახებ და ითქვა, რომ საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდი მიიღებს ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის გადაწყვეტილებას.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა გაითვალისწინა ყოველი ზემოთქმული და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე

განაჩინა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უარს ამბობს ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე და გამოდის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან.

2. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა იმსჯელა იმ სასულიერო და საერო პირთა შესახებ, რომელთაც გაწყვიტეს ევქარისტიული კავშირი საქართველოს და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან იმ საბაბით, რომ ისინი არიან ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრნი, რითაც ეკლესიაში განხეთქილების შემოტანა სცადეს. განხეთქილების შეტანას ეკლესიაში ეწოდება სქიზმა, რომელიც არის იმდენად მძიმე ცოდვა, რომ წმიდა მამების სწავლებით ეს ცოდვა ვერ განიბანება მოწამეობრივი სისხლითაც კი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა

განაჩინა

1. შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი გიორგი (ბარიშვილი) გათავისუფლდეს მონასტრის წინამძღვრის მოვალეობიდან და აეკრძალოს მღვდელმოქმედება.
2. შიომღვიმის მონასტრის არქიმანდრიტ იოანეს (შეყლაშვილი) აეკრძალოს მღვდელმოქმედება.
3. მღვდელ ნიკოლოზ შუშტაკაშვილს აეკრძალოს მღვდელმოქმედება.
4. შიომღვიმის მონასტრის ბერს კირიონს აეკრძალოს წმიდა ზიარების მიღება.
5. შიომღვიმის მონასტრის მორჩილს — ბესარიონს აეკრძალოს წმიდა ზიარების მიღება.
6. შიომღვიმის მონასტრის მორჩილს — გურამს აეკრძალოს წმიდა ზიარების მიღება.
7. დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარი — არქიმანდრიტი გრიგოლი (კობახიძე) გათავისუფლდეს მონასტრის წინამძღვრის მოვალეობიდან და აეკრძალოს მღვდელმოქმედება.
8. დავით გარეჯის მონასტრის მორჩილს — ზურაბს აეკრძალოს წმიდა ზიარების მიღება.
9. ბეთანიის მონასტრის წინამძღვარი მღვდელ-მონოზონი ანგია (ჩოხელი) გათავისუფლდეს მონასტრის წინამძღვრის მოვალეობიდან და აეკრძალოს მღვდელმოქმედება.
10. ბეთანიის მონასტრის ბერს — ევტიქის აეკრძალოს წმიდა ზიარების მიღება.
11. ბეთანიის მონასტრის ბერს — გაბრიელს აეკრძალოს წმიდა ზიარების მიღება.
12. ზარზმის მონასტრის წინამძღვარი — არქიმანდრიტი გიორგი (ხაბეიშვილი) გათავისუფლდეს მონასტრის წინამძღვრის მოვალეობიდან და აეკრძალოს მას მღვდელმოქმედება.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდი ზემოაღნიშნულ პირებს მოუწოდებს სინანულისაკენ.

მოუნანიებლობის შემთხვევაში მათ დაედებათ საეკლესიო კანონის შესაბამისი სასჯელი.

ილია II,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
კონსტანტინე, მარგველი მიტროპოლიტი
ათანასე, რუსთავის მიტროპოლიტი
კალისტრატე, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი
თადეოზი, ბოლნისისა და დმანისის მთავარეპისკოპოსი
ანანია, მთავარეპისკოპოსი მანგლისისა და წალკისა
ვახტანგი, მთავარეპისკოპოსი სამთავისისა და გორისა
ზოსიმე, მთავარეპისკოპოსი წილკნელი
გიორგი, მთავარეპისკოპოსი ჭყონდიდელი
იობი, მთავარეპისკოპოსი ურბნისისა და რუისის
დანიელი, მთავარეპისკოპოსი ცხუმ-აფხაზეთის
დავითი, მთავარეპისკოპოსი ალავერდელი
აბრაამი, მთავარეპისკოპოსი საგარეჯოს და გურჯაანის
სერგი, მთავარეპისკოპოსი ახალციხელი
იოსები, ეპისკოპოსი შემოქმედელი
ისაია, ეპისკოპოსი ნიქოზისა და ცხინვალის
სერაფიმე, ეპისკოპოსი ბორჯომისა და ახალქალაქის
ელისე, ეპისკოპოსი ნიკორწმინდელი
გრიგოლი, ეპისკოპოსი ფოთის
ნიკოლოზი, ეპისკოპოსი ცაგერისა და სვანეთის
თეოდორე, ეპისკოპოსი ბოდბელი
საბა, ეპისკოპოსი ხონის
დიმიტრი, ეპისკოპოსი ბათუმისა და სხალთის
ანტონი, ეპისკოპოსი ვანისა და ბაღდათის

საქართველოს რესპუბლიკა
№115. ოთხშაბათი, 21 მაისი, 1997 წელი.

პრობლემა

ეროვნულია? მოვუაროთ, გამოვიყენოთ!

ჩვენი სიკეთით სხვები სარგებლობენ. ჩვენ?

ორმოცდაათიან წლებში იაპონია მსოფლიოს წინაშე ჩვე[illegible] ხელგაწვდილი იდგა და ჰუმანიტარული დახმარებით [illegible] სულს...

ქვეყნისა და ხალხის გადასარჩენად მთავრობამ ყველა ბერკეტი აამოქმედა, სხვა გლობალურ საკითხთა შორის, მომსახურების სფერო, სერვისი და, საერთოდ, კვების ინდუსტრიის სწორი ორგანიზაცია თანამედროვე მოთხოვნათა შესაფერად სახელმწიფოებრივ დონეზე აიყვანა, რაც თვითონ არ ჰქონდათ, სხვა ქვეყნებიდან „ისესხეს“.

მთავარ მიმართულებათა შორის იყო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარება და აღორძინება. სერვისი, ტურიზმის ინდუსტრია ხაზინის შემოსავლის მძლავრ საშუალებად აქციეს, სალი ბიზნესის, გამდიდრებისა და სახელმწიფოს ღონიერების ერთ-ერთ წყაროდ გაიხადეს.

იაპონელებს საუკუნეების მიღმა შექმნილი უნიკალური ტექნოლოგიის მქონე სურსათ-სანოვაგე, სპეცპროდუქტები და, მით უმეტეს, სამკურნალო-დიეტური, პროფილაქტიკურ-საგემოვნო თუ განსაკუთრებული კვების ნაწარმი არ ჰქონიათ. არც ეროვნული სამზარეულო და სერვისი იძლეოდა იმის საშუალებას, რომ საერთაშორისო ტურიზმისა და სალი ბიზნესისათვის „გაელო კარი“ და დღევანდელი მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა.

ამ ვაკუუმის შესავსებად (ისევე, როგორც სხვა დარგების მესასწავლად) მათ კომპლექსური ღონისძიება შეიმუშავეს. გათვალისწინებული იყო სხვადასხვა ხალხთა კვების ორგანიზაციის, რაიონის, რეგიონის და თვით ცალკეული სასმელ-საჭმელის შესწავლა და თავის ქვეყანაში გადატანა-დანერგვა. ამაში სწავლული მეცნიერები ჩააბეს. ასე გაჩნდა იაპონიაში ჩვენი, ეროვნული სტილის რესტორანი „ქართული გემოვნება“ (და დღესაც არის). ექვსი თვით სამუშაოდ მიიწვიეს ქართველი სპეციალისტები, სამისოდ ხარჯებიც არ დაიშურეს. ისეთი რეკლამა ჰქონდათ და აქვთ, რესტორანში ყოველდღე ნამდვილი ანშლაგია. შეიძინეს ნადუღის, მაწვნისა და სხვა კერძების ლიცენზიები. ქართული ყოფის დღეგალ-ნიუანსი მათ სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალებად მიიჩნიეს და იქვე, ტიბეტურ-ჩინური მედიცინის (რომლებიც მსოფლიოში ლეგენდები დადის) შესწავლას აღარ დაეზარნენ და მორეულ საქართველოში უთვალსაჩინოესი მეცნიერ-გერონტოლოგი კეიკო მორისიტა გამოგზავნეს ქართველთა საოცარი დღეგრძელობის საიდუმლოების ამოსახსნელად (როგორ არ დაგეჯერება სურვილი, რომ თქვა: „[illegible] კოლხი ჯადოქრის“ – მედეას სასწაულმოქმედი ბალახმცენარეებისა და სამკურნალო საშუალებათა საიდუმლოება დღის სინათლეზე გამოვიტანოთ). მეცნიერმა პირნათლად შეასრულა დავალება და შეისწავლა, მარტო კი არ შეისწავლა, ამავე სახელწოდების ფუნდამენტური ნაშრომიც გამოსცა. იგი შემდგომ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ენაზე ითარგმნა. ქვეყნის ხაზინასაც საგრძნობი შემოსავალი გაუჩნდა, ახლა იაპონელთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა – 79 წელი ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში. ქართველთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა კი სადღეისოდ საგანგაშოდ დაეცა... ამას ვიღა ჩივის, თუ მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ სამსახურს არც მოწამვლების ერთეულ შემთხვევებთან ჰქონდა საქმე, ხოლო შემდეგ ჯგუფური შემთხვევებიც აღინიშნა, უკანასკნელ წლებში დაფიქსირდა მოწამვლების მასობრივი ხასიათი, საზკვების ქსელში მარტოოდენ შემთხვევითი პირები კი არა, ე.წ. „ბომჟებიც“ კი გვიამზადებენ სადილებს. სანიტარიული წიგნაკი ხსენებითაც აღარ იხსენიება...

ქართველთა კვების რეჟიმი, რაციონი თუ სანიადაგო კვება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გაითავის-გაიშინაურეს. გაიხსნა არაერთი რესტორანი, ეთნოგრაფიული დარბაზი, ქართული კულტურის ცენტრი, ბიზნეს-ცენტრი, თონე, საჭადრაკო თუ ღვინის დარბაზი. მადაგასკარშიც კი მუშაობს ქართული რესტორანი, რომელიც სალ ბიზნესს, კომერციას, სახელმ- [illegible]

მეზობელმა თურქეთმა, სულ ახლახან, ჩვენგან ისწავლა საოჯახო პირობებში ნადუღის მიღების წესი. იგი მართლაც უნიკალურია ტექნოლოგიით, ხოლო კვებითი მნიშვნელობით ანალოგი არ მოეპოვება (სუფთა ალუმინია!) და სიცოცხლის გახანგრძლივების მართლაც სასწაულმოქმედი პროდუქტია. ასე რომ, ერთ მშვენიერ დღეს „თურქული ხაჭაპურის“ (მოდი და ნუ გაგეცინება!) გვერდით თუ წაიკითხავთ „თურქული ნადუღიო“, არ უნდა გაგიკვირდეთ, ჩვენს ბაზრობებ-იარმარკებზე“ ბრჭყვიალ-ბრჭყვიალა, მყვირალა რეკლამით თუ მოგვაწვდიან, ის აუცილებლად მოგვეწონება – „იმპორტულია“ და იმიტომ...

„თურქულმა პურმა“ ლამის ქართული პურის ადგილი დაიჭიროს.

დიდი ხანია, ჩურჩხელა გასცდა გურმანთა უბრალო ცნობისმოყვარეობის ჩარჩოებს. იგი კალორიულობით ბევრად აჭარბებს ყველანაირ“ სნიკერს-ბაუნტ-რაფაელოს“, ხოლო დიეტურ-სამკურნალო, საგემოვნო-კვებითი მნიშვნელობით და შენახვისადმი გამძლეობით მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია. ძველად ქართული ლაშქრის სტრატეგიული საგზალ-მარაგიც ხომ ის იყო – მეომარ ქართველს მისი სახით ყუათიანი საკვები ჰქონდა.

ბიზნესმენები და გურმანები კი არა, უკანასკნელ წლებში ჩურჩხელით სექსოთერაპევტებიც დაინტერესდნენ: როგორც ირკვევა, ნიგვზისა და დადუღებული ღვინის ეს ნუგბარი, ენერგიის გამაძლიერებელი-აღმგზნებიც ყოფილა.

ქართული სურსათ-სანოვაგე, სპეცპროდუქტები, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, რეკვიზიტები, ატრიბუტიკა, სიმბოლიკა და თვით სუფრის გაძღოლის რიტუალი თანდათან იკიდებს ფეხს ელიტარულ წრეებში, დიპლომატიური თუ უმაღლესი დონის შეხვედრების საოქმო ელემენტად იქცა, ხოლო ქართული სამკურნალო მცენარეების სასმელ-ნაყენები, ნიგვზიანი ნაწარმი, ბადაგ-მურაბები ერთნაირად „მიიღო“, მოიწონა და გაითავისა მუსულმანურმა თუ ქრისტიანულმა სამყარომ მსოფლიოს ყველა კონტინენტზე. საცივი, სულგუნი და ელარჯი ბევრ ქვეყანაში „საოჯახო“ კერძად იქცა. ქართველი სპეციალისტები ოჯახებშიც კი მიიწვიეს.

ცალკე თემაა თხის ხორცი, რძე და ქონი. მათ ხომ წარმატებით იყენებდნენ ჩვენი წინაპრები და დღესაც იყენებენ გულმკერდის დასაზელად (თხის ქონი), ცხელ რძეს (გაციებისა და ხველების დროს). თხის ხორცი სამკურნალო-დიეტურია. მის შესახებ ფუნდამენტური გამოკვლევები და კაპიტალური ნაშრომები აქვთ მამა-შვილ ღიღვაშვილებს.

მომხიბვლელი ქალბატონები, მასაჩუსეტსის შტატის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის პრივატ-დოცენტი დარა გოლდსტეინი და ჰოლანდიელი კინორეჟისორი დინეკა ტეუ საქართველოში არც ფიზიკოსთა სიმპოზიუმზე ჩამოსულან და არც კინოფესტივალში მონაწილეობისათვის, ერთსაც და მეორესაც ერთი მიზანი ჰქონდა: ადგილზე ენახათ და შეესწავლათ ქართველთა კვების რეჟიმი, ყოფითი ნიუანსები და წეს-ჩვეულებანი. ამერიკელმა „ქართული კერძების რეცეპტურების კრებული“ გამოსცა, ჰოლანდიელმა კი კინოფილმი გადაიღო საცივზე, სხვა საჭმელ-სასმელზე, კასეტებზე გაამრავლა და თავისი ქვეყნის ბიზნესმენებს „ბიზნეს-გეგმის“ სახით შესთავაზა. ამის შესახებ დაინტერესებულ პირთა არაერთი წინადადება მოვიდა...

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაშიც არის ქართული ეთნოგრაფიული რესტორანი, სადაც ყველა სარწმუნოების ხალხი სიამოვნებით ეცნობა ქართულ მენიუს.

მაგრამ, კმარა მაგალითები! ეს ყველაფერი იყო და აღარ არის: არც კულტურის დღეები, აღარც დეკადები, არც კვირეული, აღარც საერთაშორისო არენაზე გასვლა აღარ ეწყობა.

სერვისისა და კვების ინდუსტრიის ოსტატები, ეროვნული კა- [illegible] 70 წლის მანძილზე [illegible] „დღე მანეთის გამოდევნებულ“ საეჭვო რეპუტაციისა და შემთხვევით პირთა ხელში აღმოჩნდა. სპეციალისტებმა და თვითნაბადმა ოსტატებმა ხელობა შეიცვალეს – ზოგმა სხვა საქმეს მოჰკიდა ხელი, ზოგიც იმედგაცრუებული ზის სახლში და სასოწარკვეთილებას მოუცავს. ასაკის გამო ახალ პროფესიას ვერ დაეუფლება, ძველი ხელობისადმი კი სახელმწიფო და შესაბამისი სტრუქტურები დაინტერესებას არ იჩენენ;

მესამე: კერა-საფუძველი მოვუშალეთ, დავუნგრიეთ და გავუნადგურეთ ამ პროფესიის ხალხს – საზკვების სპეციალისტთა (მზარეული, ხაბაზი, კონდიტერი, მეტრდოტელი და.ა.შ.) მოსამზადებელი ერთადერთი სასწავლებელი გავაუქმეთ, პროფტექნიკური განათლების მთლიანი სისტემაც კი მიწასთან გავასწორეთ და მასობრივი პროფესიის (არა მარტო საზკვების) სპეციალისტებს (ზეიკანლი, ხურო, მღებავი და ა.შ.) აღარ ამზადებენ. სამაგიეროდ, მოკლე ხანში სამ ასეულზე მეტი კომერციული უმაღლესი სასწავლებელი იმდენ იურისტსა და ექიმს გამოუშვებს, ერთმანეთს თუ გაასამართლებენ და უმკურნალებენ!

შედარებისათვის ვიტყვით, რომ საფრანგეთში სასტუმროსა და რესტორნის საქმის 360 სასწავლებელია. ამას ემატება კერძო სასწავლებლები. ამერიკაში კულინართა ეროვნული აკადემია არსებობს. ჩვენთვის კარგად ცნობილმა იაპონელებმა მასობრივი პროფესიის სპეციალისტთა მოსამზადებელი სკოლები გახსნეს. მთელი მსოფლიოს უდიდეს გაზეთებში გამოჩნდა ფოტოები, თუ როგორ ასწავლიდნენ იაპონელ ახალგაზრდებს რევერანსის ხელოვნებას, თავაზიანობის ნორმებსა და კულტურას...

ჩვენთან ეს ყველაფერი მეტნაკლებად იყო და მიწასთან გავასწორეთ, სხვები გამდიდრდნენ, ჩვენ კი გავღარიბდით. ყველაფერ ქართულს სხვები იყენებენ, ჩვენ კი ზურგი ვაქციეთ, ვივიწყებთ. „უისტორიო“ და „უტრადიციო“ „ეკონომიკურად ძლიერი“ ზესახელმწიფოები ყველაფერ ამაზე პირდაპირ „ნადირობენ“, თავისთან ნერგავენ, თავის თავზე და ხალხზე ზრუნავენ, ფულსაც აკეთებენ და სახელმწიფო ხაზინასაც ამდიდრებენ, ჩვენ კი ყალბმა და ფუჭმა „დიპლომანიამ“ შეგვიპყრო. არადა, კმარა ყავარზე კუდის გაღება, ეს საქმე სახელმწიფო დონეზე უნდა გადაწყდეს.

ამის თაობაზე ამ სტრიქონების ავტორებს არაერთხელ მიუმართავთ შესაბამისი ინსტანციებისათვის, მაგრამ უშედეგოდ. დრო კი არ ითმენს. უნდა აღდგეს პროფტექნიკური განათლების ქსელი. გზა მივცეთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მყოფ მოსწავლეებს, თვითნაბად ხელოსანსა და ხელოვანს „იმ საქმეს ეწიოს“, რისი ნიჭი და უნარი დაბადებიდან დაჰყვა, მემკვიდრეობით მიიღო. ამით სახელმწიფოს საზრუნავი მოეხსნება, ჩვენი საელჩოები, საკონსულოები და წარმომადგენლობები ამ პროფესიის ახალგაზრდა კადრების ნაკლებობას განიცდიან. ამიტომაც უნდა მოვამზადოთ ისინი.

დავიღალეთ სხვადასხვა ინსტანციებში სიარულით და მოხსენებითი ბარათების წერით. ზოგიერთი „მაღალი რანგის“ ჩინოვნიკი პასუხის ღირსადაც არ გვთვლის, პრობლემის სიმწვავეს ან ვერ აცნობიერებს, ან არც უნდა გაიგოს. ამ დროს ყოფაში ნამდვილი ანარქიაა – თითქოს ყველა გზისპირა სახლი სასაუზმედ იქცა, შემთხვევითი „ბიზნესმენები“ ნაგავსა და მტვერში ჰყიდიან სასმელ-საჭმელს, არავითარი ცოდნა – გამოცდილება და მით უმეტეს, პასუხისმგებლობა მათ არ გააჩნიათ, სახელმწიფოებრიობა და წესრიგი ე. წ. „კერძო საკუთრების თავისუფლებამ“ წალეკა, შედეგი სავალალოა.

იქნებ ამ საკითხის ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანამ გამოიღოს რაიმე შედეგი? ... ეს იმედიღა შეგვრჩა.

ვნახოთ!

გივი აბდუშელიშვილი,
რესპუბლიკის მთავარი დიეტოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სამედიცინო მეცნიერებათა კადემიის აკადემიკოსი,პროფესორი;

შალვა ლობჟანიძე,
კვების მრეწველობის ინსტიტუტის დოქტორი;

ლევან ფრუიძე,
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ეთნოგრაფი.

რეპლიკა

კიდევ ერთი ხე!..

ტოტი, რომელზეც ვზივართ...

ნუცუბიძის მეორე მიკრორაიონში, ბესო ქლენტის ქუჩაზე, გამვლელთა ყურადღებას იქცევდა ბექობზე წამომართული ერთი აკაციის ხე, იდგა განმარტოებით, თვალსა და გულს ახარებდა, გაზაფხულზე დაიყვავილებდა და ირგვლივ გამაბრუებელ სურნელებას აფრქვევდა. მარმან, მაისში, იმდენი ყვავილი დავკრიფე, მწნილი მთელ ზამთარს მეყო. რაღა ორლარიანი ჯონჯოლი და რაღა ის. თუ მზესუმზირის ზეთსაც მოვასხამდი და ხახვსაც ბლომად დავაჭრიდი, ხომ აღარაფერი სჯობდა!

ამას წინათ ავტობუსიდან თვალი შევასწარი, ბექობს ბულდოზერი მისდგომოდა და ბულრაობდა. სადღა იყო თავმომწონე აკაცია, რომელიც არც ყვავილს გვამადლიდა და არც ზაფხულის თაკარაში ეგზომ სანატრელ ჩრდილს! მისი კვალიც გამქრალიყო...

ახლა მის ადგილზე რკინაბეტონის საძირკვლიან შენობას აგებენ. ალბათ კიდევ ერთი ჯიხური (თუ უფრო დიდი ობიექტი) დაიდებს ბინას, სამაგიეროდ აღარასოდეს ამოვა აკაცია – მისთვის აქ ადგილს აღარავინ მოაცდენს...

დიდი ამბავი, ქალაქს ერთი ხე თუ მოაკლადო, – ნიშნისგებით იტყვის იმ ჯიხურის გაქსუებული მეპატრონე. არადა, დარწმუნებული ვარ, დღეს ეს აკაცია უფრო მეტად სჭირდებათ ადამიანებს, ვიდრე თუნდაც ზღაპრული სრა-სასახლე!

და მახსენდება ტელეგრაფის წინ მოედანზე აღმართული ჭადრის ისტორია. როცა იმ ჭადარს მოედნის კეთილმოწყობის დროს მოთხრა დაუპირეს, პრესამ ერთი ამბავი ატეხა. არაფერმა და არავის თავდადებამ არ გაჭრა – ერთ ღამეში იმხელა ჭადარი კამეჩის ნაფეხურში ჩამდგარი წვიმის წყალივით აართქლეს!

არ გასულა დიდი დრო და ის სამსახურები, ვინც იმ ჭადრის ცოდვაში „ფეხი ჩადგა“, დარწმუნდნენ, რომ ამ ადგილს რაღაც აკლდა. და ეს „რაღაც“ სხვა არაფერი იყო, თუ არა... ჩვეულებრივი ჭადარი. აკი მოიტანეს, ჩარგეს და გრძელი ტოტებიც მოაკვერცხეს. ეს ამბავი გაზეთებმა ისევ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს. ახლა გამვლელ-გამომვლელი იმაზედ იმტრევს თავს, გაიხარებს თუ არა.

დარწმუნებული ვარ, ბესო ქლენტის ქუჩაზე იმ აკაციის სანაცვლო ხის დასარგავად აღარავინ მივა. აღარავინ მივა თუნდაც იმის გამო, რომ იმ აკაციის გარდა თავის დროზე ნუცუბიძის მეოთხე და მეხუთე მიკრორაიონების მშენებლობისას ათეულობით ძირი 15-20-წლიანი ნაძვის ნარგავები ისე გაანადგურეს, წარბი არავის შეუხრია. მშენებლებმა, რაღა შორს გავზიდოთო, ნარგავებს ნაგავი ბულდოზერებით თავზე გადააყარეს. არავინ გამოსარჩლებია ჩვენს მწვანე მეგობრებს, არავის შეუძახნია მშენებელთათვის, რას სჩადით, ვისთვისაც ეს კოლოფებივით სახლები წამოჭიმეთ, იმათ ეს ნარგავები სახლებზე ნაკლებად როდი სჭირდებათო.

მარშარ ერთი ფაცი-ფუცი ატყდა გერმანელთა მონაწილეობით აგებულ ბავშვთა სოფლის გასახსნელად. „სოფელს“ ერთ მხარეს ვრცელი მინდორი აკრავს. გამწვანების მუშაკებმა ასობით ორმო ამოიღეს და წიწვოვანი მცენარეები ჩარგეს. ერთხელ მორწყეს კიდეც. მერე... მერე მიივიწყეს და ახლა ასეული ნერგიდან რამდენიმეს თუღა შერჩა სიმწვანე.

აი, ასე ძნელია ნერგის გახარება. მოჭრა კი, იცოცხლეთ, ათასჯერ უფრო ადვილია!

გაუსაძლის ზამთარში ონკოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარე ფერდობებს სიცივისაგან შეწუხებული ნაჯახიანი მოსახლეები შეესივნენ, ისე გამწარებით ირჯებოდნენ, თითქოს ნუშის ხეებს დაენგრიოთ ქვეყანა. ახლა მიწიდან გულსაკლავად ამოჩრილან ნუშის ძირები და, ვაქასი არ იყოს, თითქოს გვსაყვედურობენ, რა დაგიშავეთ, სიცოცხლე რისთვის მოგვისპეთო.

ვისი ბრალია, ასე მტრულად რომ მოვექცით ჩვენს მწვანე მეგობრებს? ქალაქში ისევ მობრუნდა მივიწყებული „წყეული სენი“ – ტუბერკულოზი. უფიქრია ვინმეს იმაზე, რომ ამის მიზეზი მარტოოდენ გაუარესებული კვება კი არა, უჟანგბადობაც არის, რომ იმ ბავშვებს, ვისი საბაბითაც ნუშის ხეებს ჭრიდნენ, საიმედო მომავალსაც და ჯანმრთელობასაც ვართმევთ?

ასე, რომ „დიდი ამბავი, ქალაქს ერთი ხე თუ მოაკლდაო“, – ამისი მთქმელი მეორე ცოდვას სჩადის. უბედურება ის არის, რომ მცენარეებს თბილისის სხვა უბნებშიც უმოწყალოდ ანადგურებენ. შეიხედეთ ნებისმიერ კვარტალში, ეზოში, აივნებისა და ოთახების მიშენება–მოშენებით გატაცებული ადამიანები ხელის ერთი მოსმით, როგორ სპობენ წლობით ნალოლიავებ აშოლტილ ხეებს!

დადგება დრო, როცა ბუნება ამისთვის პასუხს მოგვთხოვს. თუმცა, რაღა დადგება, განა უკვე არ ითხოვს პასუხს?

ელგუჯა ლებანიძე.

ტრანსპორტი

მგზავრთა ბოლო იმედი

ორი წლის წინათ თბომავალი ოთხი სამგზავრო ვაგონით დადიოდა ზუგდიდი-ჯვარის მარშრუტით, რასაც მაშინ დიდი აღტაცებით შეხვდა ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონების მოსახლეობა. მათ თითქოს მოეხსნათ მგზავრობის პრობლემა. თანაც იაფი და ხელმისაწვდომი იყო. ერთი სიტყვით, ხალხს ეშველა. ყოველგვარი შეხლა-შემოხლისა და ხვეწნა-მუდარის გარეშე უფასოდ მგზავრობის საშუალება მიეცათ პენსიონერებსა და აფხაზეთიდან ლტოლვილებს. მაგრამ, რა დასამალია ისიც, რომ სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრაობის დაწყებას ყველა ერთნაირი სიხარულით არ შეხვედრია. შავმა ძალებმა აქაც გარკვეული ბარიერები შექმნეს... სხვათა შორის, არც ავტომანქანების მფლობელები გაუხარებია ამ ამბავს. რადგანაც მათ ხელიდან ეცლებოდათ სარფიანი კლიენტები.

პირველ ხანებში ყოველდღე, გრაფიკის შესაბამისად დადიოდა თბომავალი, მისი ეკიპაჟი კულტურულად ემსახურებოდა მგზავრებს. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი დროებითი აღმოჩნდა. თურმე მოუგვარებელი ყოფილა მრავალი საჭირბოროტო საკითხი, რომელთა გადაწყვეტა მარტო ზუგდიდელ რკინიგზელებზე არ იყო დამოკიდებული.

ყველაზე უმთავრესი: ლიის უბანში გამოსაცვლელი იყო დაზიანებული განძელები, აგრეთვე – ღია რჩებოდა საწვავის პრობლემა. საწვავის შეძენა კომერციულ სტრუქტურებში კოლოსალურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. რასაც თბომავლის ეკიპაჟი ვერ აუდიოდა. ამიტომ რკინიგზელებმა იძულებით შეწყვიტეს მოძრაობა. ბუნებრივია, ამან რეგიონის მგზავრთა ამკარა უკმაყოფილება გამოიწვია.

ხალხი ელოდება თბომავალს, მაგრამ იგი, ჯერჯერობით, არ ჩანს. მგზავრთა ბოლო და მთავარი იმედი საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტია, რომელიც უდავოდ გულთან მიიტანს მათ გასაჭირს და აუცილებლად გამონახავს სათანადო თანხებს პრობლემების გადასაწყვეტად.

კაცი იმედით ცხოვრობს. სჯერათ, რომ თბომავალი კვლავაც იმოძრავებს ზუგდიდი-ჯვარის მიმართულებით!

ოდიკ ძუხილავა,
„სრ“ საკ. კორ.

რეგიონი

საით მიდის ჭიათურა?

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციის ახლახან ჩატარებული კონფერენცია, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვით როდი დაკმაყოფილდა. მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა და მომხსენებლების დაუფარავმა კრიტიკამ წინ უამრავი კითხვა წამოსწია: საით მიემართება ჩინებული ტრადიციების ქალაქი და როგორია მისი უახლესი პერსპექტივა?

წლეულს 26 იანვარს, პრეზიდენტის ბრძანებულებამ „სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის“ რესტრუქტურიზაციის შესახებ“ სასიცოცხლო სული შთაბერა ქალაქს. მანგანუმის მრეწველობა მიჩნეულია პრიორიტეტულ დარგად და შეიქმნა სახელმწიფო კომისია.

მანამდე კი, სულ ცოტა, წელიწადი მაინც დასჭირდა ქალაქის მერს დავით კეკენაძეს შთაეგონებინა ოპონენტებისათვის, რომ ამ ეტაპზე სს „ჭიათურმანგანუმის“ მონოპოლიზმიდან მაღაროთა სამმართველოების დახსნა აუცილებელი და სწორი მიმართულებაა, რაც მაღაროელებთან შეხვედრებმაც დაადასტურეს და ეს დღემდე გადაუჭრელ პრობლემათა პრობლემა – მაღაროთსამმართველოებისათვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებამ და დამოუკიდებელ ბალანსზე ყოფნამ შეიძლება გადაწყვიტოს, რაც „ჭიათურმანგანუმს“ თავიდან ააცილებს სრული გაკოტრებით გამოწვეულ თანმდევ სოციალურ – და ეკონომიკურ შედეგებს.

ბოლოს და ბოლოს, წერტილი უნდა დაესვას 500-ოდე მაღაროელის ნამრომ-ნაღვაწის სააქციო საზოგადოებაში რიცხულ 4000-მდე თანამშრომელზე განაწილებას!

„ჭიათურმანგანუმის“ სისტემაში კომისია და ექსპერტები მუშაობას განაგრძობენ. დრო სამურია, პრეზიდენტის ბრძანებულებას კონკრეტული ვადებიც ახლავს!

ჩვენ კი ისევ კონფერენციას მივუბრუნდეთ:

– წლეულს დაძაბული, საბრძოლო, მაგრამ შესრულებადი ბიუჯეტი მივიღეთ და თუ გსურს დარჩე ხელისუფლებაში, იგი უნდა შეასრულო კიდეც! – ამბობს ქალაქის მერი და დასტურად, წლის 1 კვარტალის შედეგებს აანალიზებს – მომავალის პერსპექტივებს სახავს...

– მერიის საქმიანობაზე არაერთხელ გვეკამათია, აზრთა ჭიდილი ხშირად გვქონია, მაგრამ არასოდეს ვმდგარვართ ოპოზიციაში, ასეთ თანამშრომლობას კი დადებითი შედეგები ახლავს და საერთო წარმატებების მომტანია, თუმც ზოგჯერ მართალ სიტყვათა ავტორებს ჭიათურაშიც დევნიან. სს „ჭიათურმანგანუმის“ თავკაცებმა სალად მოაზროვნე ახალგაზრდა ინჟინერი, რეფორმების განყოფილების გამგე თემურ თავბერიძე შემცირების მოტივით „მოიშორეს“ და ახლა თემიდას მსახურნი თუღა დაუბრუნებენ რწმენას და სამსახურს, – გვეტყვის საანგარიშო მოხსენებით გამოსული მოქალაქეთა კავშირის ჭიათურის ორგანიზაციის თავმჯდომარე ჯამბულ ნოზაძე.

– „ჭიათურმანგანუმთან“ წინასწარი შეთანხმებით, ყველას თვალწინ, ძვირადღირებული სეპარატორებიც წაილეს! 6 თვემდე იკვლიეს იგი ქალაქის სამართალდამცველებმა, დიდხანსვე დაივანა ამ ფაქტმა იმერეთის სამხარეო პროკურატურაში. შედეგები არა და არ ჩანს! – ვინ მოთვლის უკვე მერამდენედ მოითხოვა დამნაშავეთა მხილება მაჟორიტარმა დეპუტატმა თენგიზ მოცრაძემ.

კოლეგას, კორუფციასთან ბრძოლაში თანადგომა აღუთქვეს კონფერენციის მუშაობაში მონაწილე პარლამენტარებმა: მიხეილ მაჭავარიანმა, რომან კუსიანმა და ზურაბ ჩხეიძემ...

„დღის წესრიგიც“ არავის დავიწყებია, მოქალაქეთა კავშირის ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციის მიზანდასახულობის, რეზერვების, ამოქმედებისა და სამუშაოების თანამედროვე სტილის დასამკვიდრებლად ახალ მიმართულებაზე ისაუბრეს: საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე მიხეილ მაჭავარიანმა და საორგანიზაციო მდივანმა რომან კუსიანმა.

კონფერენციის მონაწილეებმა მოქალაქეთა კავშირის ჭიათურის ორგანიზაციის თავმჯდომარედ ზურაბ მოდებაძე აირჩიეს და განაახლეს სათათბიროსა და საბჭოს შემადგენლობანი.

სოზარ კუპატაძე,
„სრ“ საკ. კორ.

მსოფლიო ვალუტები

აშშ დოლარი ბატონობს

მსოფლიო საფინანსო ბაზარზე ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებიდან აღსანიშნავია იმ ქვეყნების ცენტრალური ბანკების პრეზიდენტების შეკრება, რომლებიც ერთიან ევროვალუტაში გაერთიანებას აპირებენ.

როგორც ფაქტები მოწმობს, საფრანგეთის გარდა ერთიანი ევროვალუტის შემოღების სისტემის ფორმალურ კრიტერიუმებს ვერავინ აკმაყოფილებს (თვით სამრეწველო გიგანტი გერმანიაც კი).

ევროვალუტასთან დაკავშირებულმა მითქმა-მოთქმამ და ეიფორიამ, საკმაოდ შეუწყო ხელი აშშ დოლარის პოზიციების კიდევ უფრო გამყარებას. კვირის დასაწყისში თუ ერთი დოლარი 1,6850 გერმანული მარკა ღირდა, ზღვარმა კვირის ბოლოს 1 – 1,7275 მიაღწია, რაც შარშანდელ და წლევანდელ მაჩვენებლებთან შედარებით რეკორდულია.

დოლარის სიმყარის მიუხედავად ევროპის ბაზარზე კვლავ შეიმჩნეოდა ოქროს ფასის კლება. კვირის ბოლოს ერთი უნცია ოქროს ფასი კვლავ 350 დოლარიან ზღვარს ჩამოსცილდა.

იაპონიაში ახალი საფინანსო წლის დადგომასთან ერთად დოლარის კურსი იენთან შედარებით კვლავ ამაღლდა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, წინა ორშაბათს გადაილახა ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანი ზღვარი, ერთი დოლარის ფასი 125 იენიდან 127 იენამდე გაიზარდა (1992 წლის აგვისტოდან დღემდე ეს ყველაზე დიდი ნიშნულია) ვარაუდობენ, რომ წლეულს იენის კურსი დოლართან მიმართებაში 225-იან ნიშნულს არ ჩამოსცდება, ხოლო რაც შეეხება დოლარის სიმყარის ზრდას, მან შეიძლება 130-იან ზღვარს მიაღწიოს.

ბრიტანულმა გირვანქა სტერლინგმა წინა კვირაშიც ვერ შეძლო დოლართან 1,6500 (1 გირვანქა სტერლინგი – 1,6500 აშშ დოლარი) ნიშნულს გადასცილებოდა, პირიქით სტერლინგმა გაიაფებაც კი დაიწყო და კვირის ბოლოს 1 გირვანქა სტერლინგი უკვე 1,6180 დოლარად იყიდებოდა, რაც ექსპერტების აზრით წარმოების ტემპის დაქვეითებით არის გამოწვეული.

შოთა მაჭარაშვილი.

სტატისტიკა

ზოგი უკვე დასაქმდა

შრომის ბაზარზე მიმდინარე პროცესები მოწმობენ, რომ სამუშაო ძალაზე ჯერჯერობით მოთხოვნა არ იზრდება, პირიქით, მცირდება კიდეც, რასაც ადასტურებს დასაქმების სამსახურებში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების ზრდა და ამავე დროს თავისუფალი სამუშაო ადგილების რიცხვის შემცირება. უმუშევრებისათვის დახმარების პირობების შეცვლამ იმპულსი მისცა დასაქმების სა- [illegible] რებული სამუშაოს მაძიებლების, ისე რეგისტრირებული უმუშევრების რაოდენობა.

ამავე დროს, 1997 წლის პირველ კვარტალში ერთიან სახელმწიფო რეგისტრში რეგისტრაცია გაიარა 1783 ახალმა საწარმომ და ორგანიზაციამ, სადაც 20 ათასამდე კაცი დასაქმდა. დასაქმების სამსახურების მეშვეობით დასაქმდა 500-მდე კაცი. წლეულს პირველ კვარტალში ეკონომიკის ცალკეულ დარგებში დასაქმებულთა [illegible] 25-30 ათასი კაცით გაიზარდა და 1,8 მილიონი კაცი შეადგინა. ოფიციალურად რეგისტრირებული უმუშევრობის დონემ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 4,9 პროცენტი შეადგინა. ამასთან ერთად, უმუშევრობის რეალური რაოდენობა შინამეურნეობების დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციით თითქმის 5-ჯერ მეტია და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დაახლოებით 20-23 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.

1997 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკის დარგებში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 2-ჯერ გაიზარდა და 42 ლარი შეადგინა, საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულებისა, შესაბამისად – 2,3-ჯერ და 36 ლარი, ხოლო არასაბიუჯეტო ორგანიზაციებში – 2-ჯერ და 52 ლარი.

ღიმილის დოზა



– მე უბედურო, ჯოჯოხეთში როგორ მოხვდი?
– ვეძმაკაცე, სახელმწიფო მოხელეებს ვუმეგობრე.
მხატვარი [illegible]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 1997 წლის 7 მაისს კოლეგიის შემდეგი შემადგენლობით: გია მეფარიშვილი (თავმჯდომარე), ავთანდილ აბაშიძე (მომხსენებელი), ლამარა ჩორგოლაშვილი, ზაურ ჯინჯოლავა, სხდომის მდივანი — თამარ ბაჩიჩილაძე განიხილა საქმე „ალექსანდრე დანელია და გიორგი ცომაია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ".

დავის საგანი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის 1996 წლის 17 ოქტომბრის ინსტრუქცია — „სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის შესახებ" და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის 1996 წლის 12 აპრილის ინსტრუქცია — „დამატებული ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ" 1994 წლის 31 იანვრის №2 ინსტრუქციის ცვლილებები და დამატებები №5 საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ:

მოსარჩელეები: ალექსანდრე დანელია და გიორგი ცომაია. მოსარჩელეთა წარმომადგენელი — იურისტი არჩილ კბილაშვილი;

მოპასუხე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (წარმომადგენლები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის სრულყოფის სამმართველოს უფროსი ნონა ბურჭულაძე, სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის საგადასახადო პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების და საჩივრების განხილვის სამმართველოს უფროსი ვალერი ხანიშვილი, ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილე, საჩივრებისა და პროტესტების განხილვის განყოფილების უფროსი ანზორ ჯოხაძე);

სპეციალისტები: საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერიან ზურაბიშვილი; თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ლადო ჭანტურია;

მოწმე: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საუწყებო ნორმატიული აქტების რეგისტრაციის განყოფილების უფროსი ბადრი მეტრეველი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მე-2 კოლეგიამ, ღია სასამართლო სხდომაზე

გამოარკვია:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 5 დეკემბერს, კონსტიტუციური სარჩელით მომართეს ამერიკული სამღვაო კომპანიის „სი-ლენდის" გენერალური წარმომადგენლის, შპს „კავკასტრანსექსპედიტორის" გენერალურმა დირექტორმა — ალექსანდრე დანელიამ და ამავე ორგანიზაციის დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარემ — გიორგი ცომაიამ.

მოსარჩელეები, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის, 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" მე-19 მუხლის „ე" პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" მე-16 მუხლის საფუძველზე მოითხოვენ — არაკონსტიტუციურად იქნას ცნობილი:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის 1996 წლის 17 ოქტომბრის ინსტრუქციის — „სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის შესახებ" მე-4 აბზაცი;
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის 1996 წლის 12 აპრილის ინსტრუქციის — „დამატებული ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ" 1994 წლის 31 იანვრის №2 ინსტრუქციის ცვლილებები და დამატებები №5-ის მე-5 პუნქტის მე-5 აბზაცის „ა" პუნქტის მე-4 ქვეპუნქტი.

მოსარჩელეები კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნავენ, რომ საქართველოს 1993 წლის 24 დეკემბრის კანონის „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ" მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 აბზაცი ადგენს შემდეგ წესს: „საქონლის (სამუშაოს, მომსახურეობის) დსთ ფარგლებს გარეთ ექსპორტისას ამ საქონლის გადაზიდვასთან დაკავშირებული მომსახურებისას გამოიყენება ნულოვანი განაკვეთი".

მოსარჩელეები აღნიშნავენ, რომ ვინაიდან კანონი არ განმარტავს, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული დსთ-ს ფარგლებს გარეთ მომსახურების ექსპორტი, ასეთი განმარტების მიცემის ფუნქცია თავის თავზე აიღო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურმა და გამოსცა ორი საუწყებო ნორმატიული აქტი: 1. 1996 წლის 17 ოქტომბრის ინსტრუქცია — „სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის შესახებ" და 2. 1996 წლის 12 აპრილის ინსტრუქცია — „დამატებული ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ" 1994 წლის 31 იანვრის №2 ინსტრუქციის ცვლილებები და დამატებები №5.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის 1996 წლის 12 აპრილის ინსტრუქციის — „დამატებული ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ" 1994 წლის 31 იანვრის №2 ინსტრუქციის ცვლილებები და დამატებები №5-ის მე-5 პუნქტის მე-5 აბზაცის „ა" პუნქტის მე-4 ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ „დამატებული ღირებულების გადასახადის დაბეგვრის მიზნით, ექსპორტირებულად ითვლება... ტვირთის ტრანსპორტირებისას და მგზავრთა გადაყვანის მომსახურება იმ პირობით, თუ გაგზავნის პუნქტი და დანიშნულების პუნქტი მდებარეობს დსთ ქვეყნების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ".

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის 1996 წლის 17 ოქტომბრის ინსტრუქციის — „სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის შესახებ" მე-4 აბზაცი განსაზღვრავს, რომ „დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის მიზნით, სატრანსპორტო მომსახურების სფეროში მომსახურების ექსპორტად ითვლება და ნულოვანი განაკვეთით იბეგრება:

— ტვირთების ტრანსპორტირებისა და მგზავრთა გადაყვანის მომსახურება იმ პირობით, თუ გაგზავნის და დანიშნულების პუნქტი მდებარეობს დსთ ქვეყნების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ".

კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელეები აღნიშნავენ, რომ არიან რა იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელები და დამფუძნებლები, რომელზეც ვრცელდება სადავო ნორმატიული აქტების მოქმედება, რადგან ისინი ეწევიან საერთაშორისო სატრანსპორტო და საექსპედიტორო მომსახურებას, ზემოთაღნიშნული ნორმატიული აქტების ციტირებული სადავო ნორმებით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებული უფლება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობის და კონკურენციის განვითარებას. მოსარჩელეები საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით აღიარებული კონსტიტუციური უფლების დარღვევას შემდეგნაირად ასაბუთებენ: რადგან ორივე ნორმატიული აქტის ზემოთ ციტირებული განმარტებანი ცხადყოფენ, რომ სატრანსპორტო მომსახურების სფეროში მომსახურების ექსპორტად მიჩნეულია მხოლოდ ისეთი სახის მომსახურება, თუ გაგზავნისა და დანიშნულების პუნქტი დსთ ქვეყნების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მდებარეობს, ან მომსახურების ყველა შესაძლო ფორმიდან ასეთად მიჩნეულია მხოლოდ ერთადერთი მათგანი. ზემოხსენებული კი იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკულად მთელი მომსახურება დაბეგრილ იქნას დამატებული ღირებულების დადგენილი განაკვეთით (20 პროცენტით), როგორც ამას საქმიანობის სხვა სფეროში აქვს ადგილი. მათი აზრით, ასეთი რამ არცერთ ქვეყანაში არ ხდება, ვინაიდან ამ სფეროში იკარგება რეზიდენტის კონკურენტუნარიანობა, რადგან სხვა ქვეყნის ანალოგიური საქმიანობით (სატრანსპორტო მომსახურება) დაკავებული რეზიდენტები მომსახურების ექსპორტის სტიმულირების მიზნით, თავისუფლდებიან დამატებული ღირებულების გადასახადისაგან. ამის გამო, საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი რეზიდენტი დგება უარეს პირობებში, ვიდრე მისი კონკურენტი არარეზიდენტი. მოსარჩელეების აზრით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების სადავო ნორმებმა შეზღუდა რა შეღავათის გავრცელების კანონით დადგენილი არეალი, საქართველოს რეზიდენტებს, არც იმ დანარჩენი შეღავათების გამოყენების უფლება აქვთ, რაც განმარტებაში მომსახურების ექსპორტად არის მიჩნეული (როცა გაგზავნის და დანიშნულების ადგილი იმყოფება დსთ-ს ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ). კერძოდ, მოსარჩელეები მიუთითებენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 1992 წლის 30 ივლისს დადებულ საერთაშორისო საგზაო მიმოსვლის ხელშეკრულებას, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1994 წლის 12 მაისს. ამ ხელშეკრულების მე-17 მუხლის მიხედვით: „გადამზიდველს არ შეუძლია მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა მეორე ხელშემკვრელი მხარის ორ პუნქტს შორის, თუ მას ამისათვის არა აქვს კომპეტენტური თანამდებობის პირის სპეციალური ნებართვა". ხელშეკრულების მე-18 მუხლის თანახმად კი — „გადამზიდველს უფლება აქვს განახორციელოს გადაზიდვები მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიიდან მესამე ქვეყანაში ისევე, როგორც მესამე ქვეყნის ტერიტორიიდან მეორე ხელშემკვრელი ქვეყნის ტერიტორიაზე, თუკი მას ამისთვის აქვს მეორე ქვეყნის კომპეტენტური თანამდებობის პირის სპეციალური ნებართვა".

მოსარჩელეები აღნიშნავენ, რომ პრაქტიკაში ასეთი ნებართვის გაცემა ხდება სტიქიური უბედურების შედეგად და ძალზე იშვიათად. ეს კი, მათი აზრით, ნათლად აჩვენებს, რომ მომსახურების ექსპორტის განხორციელება ტრანსპორტის სფეროში ისე, როგორც ეს ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების განმარტებებში არის გაგებული, თეორიულადაც კი გამოირიცხება. ესეც რომ არ იყოს (ე. ი. იურიდიულად დაუშვებელი) არცერთი ქვეყანა არ ათავისუფლებს ტვირთის მფლობელს დამატებული ღირებულების გადასახადისაგან, თუკი ტვირთის მფლობელი სატრანსპორტო მომსახურებისათვის მიმართავს უცხო ქვეყნის სატრანსპორტო ორგანიზაციას, მაშინ, როდესაც იგივე ტვირთის მფლობელი თავისუფლდება ამ გადასახადისაგან, თუ იგი მომსახურებისათვის შესაბამისი ქვეყნის სატრანსპორტო ორგანიზაციას მიმართავს. ამიტომ ქართველ რეზიდენტებს, არც იურიდიულად და არც კონკურენტუნარობის გამო, არ ძალუძს გასწიონ მომსახურება ტრანსპორტის სფეროში დსთ-ს ქვეყნების ტერიტორიების ფარგლებს გარეთ. მოსარჩელეების აზრით, ყოველივე ზემოთაღნიშნული ადასტურებს, რომ ხელი ემლება თავისუფალ მეწარმეობას და წარმოიქმნება უთანაბრო კონკურენცია ქართველ და არაქართველ რეზიდენტებს შორის.

მოსარჩელეები თვლიან, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურმა ზემოაღნიშნული სადავო ინსტრუქციებით ფაქტობრივად მოახდინა კანონის განმარტება, რისი უფლებაც საქართველოს 1993 წლის 24 დეკემბრის კანონის „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ" მას არ ჰქონდა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის მიხედვით, საგადასახადო კანონმდებლობა, მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება.

მოსარჩელე მხარემ კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვისას ეჭვქვეშ დააყენა სადავო ნორმატიული აქტების იურიდიული ბუნება, რადგან არცერთი მათგანი არ გამოქვეყნებულა კანონმდებლობით დადგენილი წესით, რითაც დაირღვა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 7 თებერვლის №31 ბრძანებულების — „საუწყებო ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაციის" შესახებ მე-8 პუნქტის და საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" (ძალაშია 1997 წლის 1 თებერვლიდან) 41-ე და 44-ე მუხლების მოთხოვნები.

მოპასუხე მხარემ არ სცნო კონსტიტუციური სარჩელი და აღნიშნა, რომ მომსახურების ექსპორტის განმარტება გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან. მოპასუხე მხარემ უარყო, აგრეთვე მოსარჩელე მხარის მტკიცება, რომ სადავო ნორმატიული აქტებით დაირღვა კონსტიტუციის 30-ე მუხლით აღიარებული უფლება, რადგან ისინი მიიჩნევენ, რომ თავისუფალი მეწარმეობის და კონკურენციის განვითარებას ხელს უწყობს საგადასახადო, საბაჟო, სამოქალაქო სამართლის და სხვა კანონების მიღება, სახელმწიფო სუბსიდიების გამოყოფა, პროდუქციის ექსპორტის სტიმულირება, კერძოდ, დღგ-ით ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრის სახით და სხვა. მოპასუხე მხარის აზრით, თავისუფალი მეწარმეობა რომ შეიზღუდოს ან არათანაბარ პირობებში ჩადგეს, ასეთ შემთხვევაში ნორმატიულმა აქტმა ან შეღავათი უნდა დააწესოს, ან გადასახადების განაკვეთების დიფერენცირება უნდა დააწესოს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს არც შეღავათს და არც დიფერენცირებას. მათი მტკიცებით, კანონის მოთხოვნა სატრანსპორტო მომსახურებაზე თანაბარია ყველა სუბიექტისათვის. ამიტომ, მოპასუხე მხარის აზრით, სადავო ნორმატიულ აქტებს მოსარჩელეების კონსტიტუციის 30-ე მუხლით აღიარებული უფლება არ შეულახავს.

მოპასუხე მხარემ მიიჩნია, რომ მოსარჩელეებს არ ჰქონდათ უფლება, ფიზიკური პირების სახელით საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის საკითხებთან მიმართებით, კონსტიტუციური სარჩელი შემოეტანათ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, რადგან ისინი წარმოადგენენ იურიდიულ პირს და ფაქტობრივად კონსტიტუციური სარჩელი შემოტანილია იურიდიული პირის (ამ შემთხვევაში შპს „კავკასტრანსექსპედიტორის") ინტერესებიდან გამომდინარე. მოპასუხე მხარე ასევე მიიჩნევს, რომ მოსარჩელე მხარის მიერ კონსტიტუციურ სარჩელში დაყენებული საკითხები სცილდება საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, რადგან თუ სადავო ნორმატიული აქტების გამოცემით დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვით, გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი. მათი აზრით, ამ შემთხვევაში ფიზიკური პირი არ შეიძლება იყოს უფლებამოსილი სუბიექტი, კონსტიტუციური სარჩელით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

სპეციალისტის სახით მოწვეულმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვალერიან ზურაბიშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოუდგინა წერილობითი დასკვნა და მისცა შესაბამისი ზეპირი განმარტება კონსტიტუციურ სარჩელში დაყენებულ საკითხებთან დაკავშირებით. პროფესორი ვ. ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ ინსტრუქციული აქტების სადავო პუნქტებით, სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტზე დამატებული ღირებულების გადასახადის შეღავათების სრულად გაუვრცელებლობის გამო, სახელმწიფო ხელს კი არ უწყობს, არამედ ზღუდავს მეწარმეობის განვითარებას. ასეთ პირობებში გადასახადმა შეიძლება შეასრულოს მხოლოდ ფისკალური ფუნქცია, ხოლო მისი მასტიმულირებელი (ეკონომიკური) ფუნქცია მთლიანად იგნორირებულია. სპეციალისტის აზრით, ინსტრუქციული აქტების სადავო პუნქტების დაწესებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გასცდა მისი უფლებამოსილების ფარგლებს, რადგან მან ფაქტობრივად ცვლილებები შეიტანა საგადასახადო კანონში, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. პროფესორ ვ. ზურაბიშვილის აზრით, კონსტიტუციურ სარჩელში დაყენებული მოთხოვნები მართებულია და სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

მოწვეულმა სპეციალისტმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლადო ჭანტურიამ საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოუდგინა წერილობითი დასკვნა და მისცა შესაბამისი ზეპირი განმარტება კონსტიტუციურ სარჩელში დაყენებულ საკითხებთან დაკავშირებით. პროფესორ ლადო ჭანტურიას აზრით, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-17 მუხლის მე-4 ნაწილისა და მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამინისტრო უფლებამოსილია გამოსცეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით.

კანონქვემდებარე აქტების გამოცემა საკანონმდებლო აქტების შესასრულებლად, ბუნებრივია, გულისხმობს კანონის ცალკეული ნორმების განმარტებას, მათი ნორმატიული აზრის დაზუსტებას. ეს თავსდება როგორც სამართლის მეცნიერების, ასევე საკანონმდებლო ტექნიკის მიერ აღიარებული პრინციპების ფარგლებში. ყოველი ნორმის გამოყენება კომპეტენტური ორგანოს მიერ უდავოდ გულისხმობს ამ ნორმის განმარტების შესაძლებლობასაც. მაგრამ საჯარო სამართლის სფეროში, რომლის მნიშვნელოვან დარგს საგადასახადო სამართალი შეადგენს, ასეთი განმარტება და ინტერპრეტაცია არ უნდა ქმნიდეს მძიმე პირობებს გადამხდელთათვის.

სპეციალისტის აზრით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის 1996 წლის 17 ოქტომბრის ინსტრუქციის — „სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის შესახებ" მე-4 აბზაცი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის 1996 წლის 12 აპრილის ინსტრუქციის — „დამატებული ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ" 1994 წლის 31 იანვრის №2 ინსტრუქციის ცვლილებები და დამატებები №5-ის მე-5 პუნქტის მე-5 აბზაცის „ა" პუნქტის მე-4 ქვეპუნქტი გამოცემულია კონკრეტული კანონის შესასრულებლად, მაგრამ მათში მოცემული განმარტება კანონის ნორმისა, ფაქტობრივად საფუძველი ხდება ახალი დისპოზიციის ჩამოყალიბებისა და მისთვის სათანადო გადასახადის დაწესებისა. აქედან გამომდინარე, სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ინსტრუქციების ის ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს მომსახურების ექსპორტის ცნებას და ამით საფუძველს ქმნის გადასახადის დაწესებისთვის, საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის მოთხოვნებს არ შეესაბამება.

რაც შეეხება კონსტიტუციურ სარჩელში დასმულ საკითხს იმის შესახებ, რომ აღნიშნული აქტები ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებას და ამიტომ, ხელს უშლიან თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, საქმეში არსებული მასალები, სპეციალისტის აზრით, არ იძლევა ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს. ამიტომ, კონსტიტუციის ამ მუხლზე მითითება მან დაუსაბუთებლად მიიჩნია.

მოწმის სახით სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საუწყებო ნორმატიული აქტების რეგისტრაციის განყოფილების უფროსმა ბადრი მეტრეველმა სასამართლოს მისცა ჩვენება, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მოსარჩელეების მიერ არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით დასახელებული ორივე საუწყებო აქტი, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 7 თებერვლის №31 ბრძანებულების — „საუწყებო ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ" მე-4 პუნქტის საფუძველზე, როგორც ნორმატიული ხასიათის საუწყებო აქტები, გატარდნენ რეგისტრაციაში და მათ მიეცათ სარეგისტრაციო ნომრები (1. 1996 წლის 11 ნოემბერს, სარეგისტრაციო ნომერი №152; 2. 1996 წლის 20 სექტემბერს, სარეგისტრაციო ნომერი №132). საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ორივე ნორმატიულმა აქტმა გაიარა სათანადო შემოწმება და მათი რეგისტრაცია მიჩნეულ იქნა მართლზომიერად.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ საქართველოს მოქალაქეების ალექსანდრე დანელიას და გიორგი ცომაიას კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის 1996 წლის 17 ოქტომბრის ინსტრუქციის — „სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის შესახებ" მე-4 აბზაცის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის 1996 წლის 12 აპრილის ინსტრუქციის „დამატებული ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ" 1994 წლის 31 იანვრის №2 ინსტრუქციის ცვლილებები და დამატებები №5-ის მე-5 პუნქტის მე-5 აბზაცის „ა" პუნქტის მე-4 ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. ალექსანდრე დანელიას და გიორგი ცომაიას, როგორც ფიზიკურ პირებს, საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, აგრეთვე საქართველოს კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" 39-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, უდავოდ ჰქონდათ უფლება კონსტიტუციური სარჩელით მოემართათ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი. ამასთან, მოსარჩელეების მოსაზრებას, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებული უფლების დარღვევის შესახებ, სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს. საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტი ავალდებულებს სახელმწიფოს ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, რაც სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნით ხორციელდება. სასამართლო განხილვის დროს ვერ დადასტურდა სახელმწიფოს მხრიდან, კონკრეტულად რაში გამოიხატა მეწარმეობის ან კონკურენციის თავისუფლების შეზღუდვა, მათი განვითარებისათვის ხელის შეშლა. ასევე, საქმის განხილვის დროს ვერ დადასტურდა მეწარმეების არათანაბარ პირობებში ჩაყენების, ზოგიერთისთვის შეღავათის დაწესების ან გადასახადის დიფერენცირების შემთხვევები. იგი თანაბარია ყველა სუბიექტისათვის;

2. რაც შეეხება სადავო ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლთან შესაბამისობის საკითხს, საკონსტიტუციო სასამართლო მასზე ვერ იმსჯელებს, რადგან კონსტიტუციური სარჩელი შემოტანილი არ არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის) მიერ (საქართველოს კანონის „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" მე-18 მუხლის „ბ" პუნქტი).

3. სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს მოსარჩელეთა მტკიცებას იმის შესახებ, რომ ვინაიდან, სადავო ნორმატიული აქტები არ ყოფილა გამოქვეყნებული, ისინი უნდა ჩაითვალონ იურიდიული ძალის არმქონედ. აღნიშნული სადავო აქტები მიღებული იქნა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 7 თებერვლის №31 ბრძანებულების — „საუწყებო ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ" მე-4 პუნქტის საფუძველზე. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ამ ბრძანებულების მე-9 პუნქტით, საუწყებო ნორმატიული აქტი ძალაშია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სარეგისტრაციო ნომრის მინიჭების დღიდან. ამავე ბრძანებულებით, საუწყებო ნორმატიული აქტის გამოუქვეყნებლობა არ იყო ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვის საფუძველი. ასევე, საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" (ძალაშია 1997 წლის 1 თებერვლიდან) 50-ე მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის რა იმ შემთხვევებს, როდესაც ნორმატიული აქტი, ან მისი ნაწილი ძალას კარგავს, არ მიუთითებს, რომ ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად ცნობის საფუძველი არის მისი გამოუქვეყნებლობა.

იხელმძღვანელა რა, საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლით, საქართველოს კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" მე-19, 34-ე, 39-ე და 43-ე მუხლებით, საქართველოს კანონის „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-18 მუხლის „ბ" პუნქტით, 32-ე და 33-ე მუხლებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ადგენს:

1. მოსარჩელეების ალექსანდრე დანელიას და გიორგი ცომაიას კონსტიტუციური სარჩელი — საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის 1996 წლის 17 ოქტომბრის ინსტრუქციის — „სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის შესახებ" მე-4 აბზაცის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის 1996 წლის 12 აპრილის ინსტრუქცია — „დამატებული ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ" 1994 წლის 31 იანვრის №2 ინსტრუქციის ცვლილებები და დამატებები №5-ის მე-5 პუნქტის მე-5 აბზაცის „ა" პუნქტის მე-4 ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით — არ დაკმაყოფილდეს;
2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაშია მისი სხდომაზე საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან;
3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნდეს 7 დღის ვადაში;
4. გადაწყვეტილების პირები გადაეგზავნოთ მხარეებს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს უზენაეს სასამართლოს:
5. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

კოლეგიის წევრები:
1. გ. მეფარიშვილი
(თავმჯდომარე);
2. ა. აბაშიძე
(მომხსენებელი);
3. ლ. ჩორგოლაშვილი;
4. ზ. ჯინჯოლავა.

ასლი დედანთან სწორია
საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს მდივანი
ოთარ ზენიძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1997 წლის 11 მაისი ქ. თბილ

საქართველოს სამთავრობო სატრანსპორტ კომისიის შექმნის შესახებ

ბოლო პერიოდში ეროვნული ეკონომიკის თანდათან თმა გაჯანსაღებამ და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკო მიკური კავშირურთიერთობის გაფართოებამ საგრძნობლა ზარდა მოთხოვნილებანი სატრანსპორტო გადაზიდვებზე. ამ ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის მოცულობამ, დ წესრიგში დადგა საერთაშორისო გადაზიდვების მოწესრიგე და მისი შემდგომი განვითარების საკითხები.

საქართველოში ტრანსპორტის სფეროში არსებული ფ მალობების გამარტივების, სატრანსპორტო დერეფნის ფ მირებისათვის საერთაშორისო სატრანსპორტო ინფრასტ ქტურაში ინტეგრირებისა და სატრანზიტო მოძრაობისათ ხელშეწყობის, ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრთა გად ვანის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, საერთაშორისო ნვენციების და შეთანხმებების მოთხოვნების შესასრულებ სახელმწიფო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანო კოორდინაციის მიზნით:

1. შეიქმნას საქართველოს სამთავრობო სატრანსპორტო მისია შემდეგი შემადგენლობით:

ნიკო ლეკიშვილი	– საქართველოს სახელმწ მინისტრი, (კომისიის თავმჯდომარე)
მერაბ ადეიშვილი	– საქართველოს ტრანსპორ მინისტრი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
თენგიზ აბულაძე	– საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის უფროსი
პეტრე ბაქრაძე	– სახელმწიფო კანცელარ ეკონომიკური სამსახურის უფროსი
დავით გულუა	– საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი
ომეხ დარჯანია	– საქართველოს საავტომობილო ტრანსპორ დეპარტამენტის თავმჯდომა
ნუგზარ დუჩიძე	– საქართველოს ვაჭრობისა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრ მოადგილე
ზურაბ თავართქილაძე	– საქართველოს გარემო ბუნებრივი რესურსების დაც მინისტრის პირველი მოადგილე
ავთანდილ იოსელიანი	– საქართველოს სახელმწ უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე
ტარიელ კულულაშვილი	– საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე
დიმიტრი კოტეტიშვილი	– სახელმწიფო კანცელარიის ეკონომიკურ სამსახურის სექტორის ეკონომიკის განყოფილებ უფროსის მოადგილე (კომისიის მდივანი)
რამინ მითაიშვილი	– საქართველოს ეკონომი მინისტრის მოადგილე
ემზარ საბანაძე	– საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგი
დავით სალარიძე	– საქართველოს სახელმწ საგადასახადო ინსპექციის უფროსი
ბორის სარალიძე	– სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზის" თავმჯდომა
მიხეილ უკლება	– საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირვე მოადგილე
ნუგზარ შოშიაშვილი	– საქართველოს ტრანსპორტ პროკურორი
აკაკი ჩხაიძე	– საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომა
დურსუნ ცინცაძე	– საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციის უფროსი
ავთანდილ ცქიტიშვილი	– საქართველოს სახელმწი საზღვრის დაცვის სახელმწ დეპარტამენტის თავმჯდომარ მოადგილე
ზურაბ ჭანკოტაძე	– საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტ თავმჯდომარე
ნოდარ ხარატიშვილი	– საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტ მინისტრის პირველი მოადგილე
ბადრი ხატიძე	– საქართველოს პრეზიდენტ რეგიონალური პოლიტიკისა მართვის სამსახურის უფრო

2. დამტკიცდეს საქართველოს სამთავრობო სატრანსპორტ კომისიის დებულება.
3. საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრომ (მ. ადეიშ ლი) შეიმუშაოს და უახლოეს სხდომაზე განსახილველად წ რმოადგინოს კომისიის 1997 წლის სამუშაო პროგრამა.
4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (თ. ნინიძე) ერ თვეში წარმოადგინოს იმ გასაუქმებელი ნორმატიული აქტ ბის ნუსხა, რომლებიც არ შეესაბამება ამ ბრძანებულებას

ე. შევარდნაძ

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1997 წლის 7 აპრილი ქ. თბილი

საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციის შესახებ

საქართველოს აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის წინაშ მდგარი უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანების დროულად გ დაჭრისა და მისი შემდგომი განვითარების მიზნით:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სურსათის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნ ობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ შემუშავებული საქართ ველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია.
2. აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის გ ნვითარებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტების მომზადებისას, სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას, ს ინვესტიციო პროგრამების და პროექტების დამუშავებისას, მ რთვის სისტემის რეორგანიზაციისას, საერთაშორისო შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა მომზადებისას გათვალ სწინებულ იქნეს აგრარულ პოლიტიკის კონცეფციით განსაზ ღვრული ორიენტირები.
3. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სა მინისტრომ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შე თანხმებით უზრუნველყოს, რომ საქართველოს აგრარულ-სა მრეწველო კომპლექსის საკითხებთან დაკავშირებით ადრე მი ღებული პროგრამები და სხვა დოკუმენტები შესაბამებოდ საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციას.

ე. შევარდნაძ

ისრაელი მულტიმილიონერი – ლისტიევის მკვლელობის თანამონაწილე?

მიხასი და ლერნერი.

თელ-ავივში ფართო რეზონანსი გამოიწვია ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ისრაელი ბიზნესმენის ცვი ბენ-არის (ყოფილი მოსკოველი გრიგოლ ლერნერი) დაპატიმრებამ. ამ მულტიმილიონერის სახელი საკმაოდ კარგად არის ცნობილი ქვეყანაში და საზღვარგარეთ. მის სიმდიდრეზე ათასგვარი ჭორები დადის. დანამდვილებით არის ცნობილი მხოლოდ ის, რომ ლერნერს, მის მეუღლეს და ქალიშვილს ეკუთვნით მთელი რიგი დიდი კომპანიები და ცხრა სახლი, მათ შორის, ექვსი ფეშენებელური ვილა ხმელთაშუა ზღვის პირას, ქალაქ აშკელონში, რომელთაგან თითოეულში გრიგოლ ლერნერმა გადაიხადა 600-600 ათასი დოლარი ნაღდი ფული. თვით ლერნერი და მისი უახლოესი თანაშემწენი უახლესი მარკის „მერსედესებით" დადიან, ხოლო მისი პირადი დაცვა მთავრობის მეთაურსაც კი შეშურდებოდა.

ლერნერთან ერთად დაკავებულია მისი ხუთი უახლესი თანაშემწე, მათ შორის, 33 წლის ილანა რუდინშტეინი, მეუღლე სოლნცევოს დანაშაულებრივი დაჯგუფების ყოფილი შეფის სერგი ტიმოფეევისა, რომელიც სილვესტერის მეტსახელით იყო ცნობილი და რომელიც 1994 წელს მოკლეს მოსკოვში.

ისრაელის სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენელთა განცხადებების თანახმად, ლერნერი და მისი თანამზრახველნი ეჭვმიტანილი არიან ისეთ დანაშაულებებში, როგორიც არის კავშირი საერთაშორისო ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, ფულის „წმენდა" ისრაელში, რუსეთის ბანკების და კომპანიებისათვის 85 მილიონი დოლარის წაღლეტა თაღლითური გზით. შეკვეთილი მკვლელობების განხორციელება და ზოგიერთი რუსი ბანკირის, ბიზნესმენისა და სხვა პირების ფიზიკური ლიკვიდაციის მცდელობა (მათ შორის „მრეწვმშენბანკის" მმართველის მოადგილის სტანისლავ დეგტიარიოვის, ბანკირ ოლეგ კანტორის, ტელეჟურნალისტ ელადისლავ ლისტიევისა).

პრესის ცნობებით, ცვი ბენ-არი ოჯახიანად ემიგრანტად წავიდა ისრაელში 1990 წელს და დასახლდა აშკელონში. თავისი უდიდესი ქონების წყალობით ცვი ბენ-არი ახლოს იყო ისრაელის პოლიტიკური წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, ჰქონდა იღბლიანი ბიზნესმენისა და ფილანთროპის სახელი. მაგალითად, აშკელონის მერს მან პირადად უწყალობა 300 ათასი დოლარი საქველმოქმედო მიზნებისათვის, კიდევ რამდენიმე ათეული ათასი „მწვანე" გამოუყო ხელოვნების სკოლას, სადაც მისი ქალიშვილი სწავლობს. დიდძალი სახსრები მოახმარა კოსმეტიკური სალონის მოწყობას, რომელიც აქვე გახსნა მისმა მეუღლემ.

ისრაელის პოლიციას მიაჩნია, რომ ბენ-არის მილიონებს კრიმინალური სარჩული და პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ მის მონაწილეობასთან რუსეთისა და სხვა ქვეყნების ორგანიზებულ დამნაშავეობაში; ბევრნი უწოდებენ რუსული მაფიის ერთ-ერთ „ნათლიას" და მისი ისრაელის ფილიალის ბოსს. პოლიციის ვერსიით, ლერნერის „რუსეთ-ისრაელის პირველი საფინანსო კომპანია" სწორედ იმ მიზნით შეიქმნა, რომ ისრაელში გადაეგზავნათ და „გაეწმინდათ" რუსეთის კრიმინალური სტრუქტურების კაპიტალები.

ისრაელის პოლიციის წარმომადგენელთა განცხადებით, „ლერნერის საქმეს" მოჰყვება ახალი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი დაპატიმრებანი, როგორც ისრაელში, ისე რუსეთში.

იაპონიას ახალი „ნავთობის ლაქები" ემუქრება

სამხრეთ კორეის საზღვაო პოლიციის ათზე მეტი გემი შვეულმფრენების დახმარებით ცდილობს შეაჩეროს იაპონიისაკენ იმ ნავთობის დაახლოებით 20 ლაქის გავრცელება, რომელიც კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთით ჩაძირული 2000 ტონა წყალწყვის კონტეინერმზიდიდან „ჩანიონ-ლოტუსიდან" გადმოიღვარა. საწმენდ სამუშაოებს ართულებს ძლიერი ღელვა და ხშირი ნისლი. თუ ქარისა და დინების შედეგად ნავთობის ლაქები მიაღწევს იაპონიის დასავლეთ სანაპიროს, შეიძლება სერიოზული ზიანი მიადგეს თევზისა და ზღვის პროდუქტების მოპოვების რაიონებს.

ავარია მოხდა 14 მაისს სამხრეთ კორეის პუსანის ნავსადგურიდან 12 მილის სიმორეზე, როცა ძლიერი ნისლის გამო „ჩანიონ-ლოტუსი" უფრო დიდ სატვირთო გემს „ლაქის სთარს" შეეჯახა და ჩაიძირა.

ოთხფეხა გლადიატორების ბრძოლა – „ახალი რუსების" საყვარელი სეირი

ძაღლების ორთაბრძოლები სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს რუს მაყურებლებს შორის, წერს ბრიტანული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი". სტატიის ავტორის აზრით, სპორტის ესოდენ სასტიკი სახეობისადმი ინტერესის მიზეზი გახდა რუსული თავაშვებულობა. ოფიციალურად, ძაღლების ჩხუბი არ არის ნებადართული, მაგრამ არც არავის აუკრძალავს. მილიცია ცდილობს წაუყრუოს ასეთ ორთაბრძოლებს. მაგრამ „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტის დაკვირვებით, ძაღლთა ორთაბრძოლაზე სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენელთა შემოსწრება, მაყურებლებზე რაღაც უცნაურ ზემოქმედებას ახდენს. ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება მალე გაეცალონ იქაურობას, თითქოს დანაშაული ჩაიდინესო. მიუხედავად ამისა, სტატიის ავტორი დარწმუნებულია, რომ ხელისუფალნი არასდროს აკრძალავენ ძაღლების ორთაბრძოლებს. ქვეყანაში, სადაც პრაქტიკულად ყოველ ცისმარე დღეს ხოცავენ ადამიანებს, ჰუმანურობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მით უმეტეს, რომ ძაღლთა ორთაბრძოლები – ეს არის, ძირითადად, „ახალი რუსების" საყვარელი სეირი. ხოლო მათ სიტყვაზე, როგორც ცნობილია, დღევანდელ რუსეთში ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ალბანეთში თანდათან ძლიერდება მონარქისტული განწყობილება. აპრილში მშობლიურ ქვეყანას ეწვია ალბანეთის მეფე ლეკა I, რომელიც თავის მეუღლესთან სიუზენთან და შვილთან ლეკა-უმცროსთან ერთად სამხრეთ აფრიკაში ცხოვრობს.

ბილ კლინტონი: „სტაბილური, განვითარებადი კავკასია და ცენტრალური აზია ხელს შეუწყობს სტაბილურობისა და უშიშროების ჩამოყალიბებას ხმელთაშუა ზღვიდან ჩინეთამდე"

ამ დღეებში თეთრმა სახლმა გაავრცელა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის უილიამ კლინტონის მოხსენება სათაურით „ეროვნული უშიშროების სტრატეგია ახალი საუკუნისათვის". მოხსენებაში ჩამოყალიბებულია პრეზიდენტ კლინტონის შეხედულებები ოცდამეერთე საუკუნეში ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის კურსის ძირითადი მიმართულებების თაობაზე. ცალკეულ ქვეყნებთან და რეგიონებთან ურთიერთობის განვითარების ზოგად პრინციპებთან ერთად, მოხსენებაში გათვალისწინებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან ურთიერთობის საკითხებიც.

„ამერიკის შეერთებულ შტატებს აინტერესებს რუსეთში, უკრაინასა და სხვა ახლადშექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში სტაბილური დემოკრატიის განვითარება და ამ ქვეყნების მშვიდობიანი და წარმატებული ინტეგრაცია მსოფლიო თანამეგობრობაში, სადაც წარმომადგენლობითი ხელისუფლება, კანონის უზენაესობა, თავისუფალი და სამართლიანი ვაჭრობა ისევე, როგორც კოოპერირებული უშიშროება, საყოველთაოდ აღიარებულ ნორმას წარმოადგენს", -- ნათქვამია მოხსენებაში. ამასთან, ამერიკის პრეზიდენტის აზრით, ამ ტენდენციის განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტია ნატო-რუსეთის ეფექტიანი თანამშრომლობა. პოსტკომუნისტური პლურალიზმის ჩამოყალიბებისათვის, ამერიკის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ დაწყებულ რეფორმებს ამ ქვეყნებში მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი. ამისათვის, თეთრი სახლის ხელმძღვანელის აზრით, ამერიკამ უნდა განახორციელოს მთელი რიგი სტრატეგიული მიზნები. კერძოდ, ბირთვული ომის საშიშროების შემცირება, ბირთვული იარაღისა და მასალების, ისევე როგორც მასობრივი მოსპობის იარაღის გავრცელების თავიდან აცილება; გარდამავალ ეტაპზე მყოფ ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის დახმარება დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში; რუსეთის, უკრაინისა და სხვა ახალი ქვეყნების შეყვანა ახალ, ცივი ომისშემდგომ ევროპული უშიშროების წესრიგში: ახლადშექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა ამ ქვეყნებში არსებული ეთნიკური და რეგიონული კონფლიქტების მოწესრიგებაში მათი სუვერენიტეტის მხარდაჭერით.

„სტაბილური და განვითარებადი კავკასია და ცენტრალური აზია ხელს შეუწყობს სტაბილურობისა და უშიშროების ჩამოყალიბებას ხმელთაშუა ზღვიდან ჩინეთამდე, ეს, თავის მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების მნიშვნელოვანი კომერციული მონაწილეობით, ხელს შეუწყობს საერთაშორისო ბაზარზე კასპიის საბადოებიდან უზარმაზარი მოცულობის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას. რეგიონის ქვეყნებმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს სუვერენიტეტისა და სტაბილურობის, საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი ადგილის მოპოვებაში, თუმცა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, განსაკუთრებით რეგიონული კონფლიქტების მოწესრიგებისათვის", — აღნიშნულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოხსენებაში.

საქინფორმი.

პირადი პრობლემის მოსაგვარებლად – საზღვარგარეთ

ესპანეთი, ნიდერლანდი და დიდი ბრიტანეთი უკვე მრავალი წელიწადია, მხსნელებად ევლინებიან ქალებს, რომლებსაც სურთ არასასურველი ორსულობა შეიწყვიტონ, მაგრამ იძულებული არიან, თავიანთი პრობლემა მოაგვარონ საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რათა გვერდი აუარონ ამ ქვეყანაში მოქმედ აბორტის ამკრძალავ კანონს, წერს ამერიკული გაზეთი „მაიამი ჰერალდი". მას შემდეგ, რაც საფრანგეთში დაიწყო აბორტის საწინააღმდეგო ოფიციალური კამპანია, ესპანეთში იხუვლა ფრანგი ქალების ნაკადმა, რომლებსაც სურთ შეიწყვიტონ არასასურველი ორსულობა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ყველა სპეციალიზებული კლინიკა თავიანთ ფრანგ პაციენტ ქალებს მომსახურებას უწევს მხოლოდ და მხოლოდ მათს მშობლიურ ენაზე. აბორტის ღირებულება ესპანეთში 300-დან 500 გირვანქა სტერლინგამდე მერყეობს. მიუხედავად ამისა, ყოველ წელიწადს ათასზე მეტი ფრანგი იკეთებს აქ აბორტს. ქალთა შორის, ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობენ ჰოლანდია და დიდი ბრიტანეთი. როგორც გაზეთი აღნიშნავს, ნიდერლანდში მუცლის მოსაშლელად ყოველწლიურად ჩადის დაახლოებით რვა ათასი უცხოელი, ხოლო დიდ ბრიტანეთში — უფრო მეტიც. ასეთი დიდი სხვაობა ესპანეთსა და ნიდერლანდ-ბრიტანეთში ჩასულ ქალთა რაოდენობას შორის აიხსნება არა სამედიცინო მომსახურების ხარისხით, არამედ ორსულობის ვადებით. მაგალითად, თუ ესპანეთში ექიმები წყვეტენ მხოლოდ 22 კვირამდე ვადის ორსულობას, ნიდერლანდსა და დიდ ბრიტანეთში ქალებს შეუძლიათ ოპერაციისათვის მიმართონ 24 კვირის თავზეც.

გასულ წელს 101 თვალსაჩინო ბულგარელმა ინტელიგენტმა მოაწერა ხელი პეტიციას თხოვნით, რომ დააბრუნონ ბულგარეთში მეფე სიმეონ II.

სურათზე: სიმეონ II და მისი მეუღლე მარგარიტა.

პატარძალიც პარლამენტმა უნდა მოიწონოს?

ბრიტანული „სანდი ტაიმსი" სტატიას უძღვნის ესპანეთის ტახტის მემკვიდრე უფლისწულის ფელიპეს პირად ცხოვრებას. წარმოსადეგი, ახოვანი, ყოველმხრივ განათლებული 29 წლის უფლისწული ფელიპე აქტიურად ეძებს ლამაზ ცოლს თავისთვის და სამართლიან დედოფალს ესპანეთისთვის. თავის მომავალ მეუღლედ მას სურს იხილოს საქმიანი, დამოუკიდებელი და უსათუოდ ტანმაღალი ქალი. როგორც სტატიის ავტორს მიაჩნია, ასეთი საპატარძლოს პოვნა ფელიპეს გაუჭირდება. ერთი, ესპანეთის მომავალი დედოფალი ინტელექტუალური ღირსებებისა და გარეგნული მონაცემების გარდა, უნდა აკმაყოფილებდეს მეფური ჩამომავლობის მოთხოვნებსაც. მეორე, იყოს კათოლიკე. და მესამე, ფელიპეს საცოლე უნდა მოეწონოს პარლამენტს. ტახტის მემკვიდრე უფლისწულის ფელიპეს მომავალი მეუღლისათვის წაყენებული ესოდენ მკაცრი მოთხოვნები სამეფო ოჯახის წევრებს აუცილებლად მიაჩნიათ. ესპანეთის მონარქია ვერ არის ისეთი მტკიცე, რომ გაუძლოს სკანდალს, როგორსაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ წააწყდა ინგლისის სამეფო კარი პრინც ჩარლზისა და პრინცესა დაინას სახით, წერს „სანდი ტაიმსი".

უთქვამთ, თავადის ქალის მოყვანა ძნელია, გლეხის ქალისა – ადვილი, შენახვა – პირიქითო...

როგორც ამტკიცებენ...

გაზეთი „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი" (გფრ): ელცინისა და მასხადოვის კრემლის შეხვედრა მოწმობს, რომ მხარეები მშვიდობას ესწრაფვიან, აგრეთვე, ადასტურებს, რომ მკაცრი გეზის მომხრეებს მოსკოვში ახლა გაუჭირდებათ თავიანთი პოლიტიკის გატარება ჩეჩნეთის მიმართ. მაგრამ რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის, მარტოოდენ ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი არ კმარა. ხელმოწერილ დოკუმენტებს კონკრეტული საქმეები უნდა მოჰყვეს.

„ამერიკის ხმა": უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა ვაშინგტონს გაემგზავრა იმ იმედით, რომ შეიპირებდა მხარდაჭერას თავისი საბაზრო რეფორმების პროგრამის განსახორციელებლად. კუჩმას ძნელი მოლაპარაკება ჰქონდა. როგორც ამერიკის პრესა იუწყება, აშშ კონგრესში სულ უფრო ხშირად გაისმის მოთხოვნები, შემცირდეს უკრაინისადმი დახმარება ამ ქვეყანაში უკანონობის თარეშის გამო, რასაც მხოლოდ ვნება მოაქვს ამერიკის საქმიანი ინტერესებისათვის.

საერთაშორისო ფრანგული რადიო: უკრაინისა და ბელორუსიის პრეზიდენტების მიერ კიევში ხელმოწერილი სახელმწიფო საზღვრის ხელშეკრულება პირველი ასეთი დოკუმენტია თანამეგობრობის სახელმწიფოთა შორის და ეს უკვე ისტორიული მოვლენაა. ერთადერთი, რაც ვერ შეძლო ლუკაშენკომ კიევში, ეს ის იყო, რომ ვერ შეძლო დაეძლია განსხვავება ბელორუსიისა და უკრაინის თვალსაზრისში ნატოსთან ურთიერთობის საკითხებზე.


ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ლონდონელმა მოლი მაქსუელმა, რომელსაც 104 წელი შეუსრულდა, ახლახან მიიღო ხელოვნების ბაკალავრის დიპლომი, თუმცა გამოსაშვები გამოცდები ჯერ კიდევ 80 წლის წინ ჩააბარა. ამ სურათზე სწორედ ქალბატონი მაქსუელია გამოსახული.

ციური ბომბები

„აქ არ დგას კითხვა „რა მოხდებოდა, რომ...?", არამედ დგას საკითხი „როდის" — ასე მიმართა ბრიტანეთის ეროვნულ-კოსმოსურ ცენტრში შეკრებილთ დოქტორმა დუნკან სტილმა. — დედამიწაზე ცნობილია სულ ცოტა 200 კრატერი, რომლებიც კოსმოსურ სხეულებთან შეტაკების შედეგად წარმოიშვა. იმის ალბათობა, რომ ასეთი სხეული დედამიწაზე დაეცემა, მცირეა, მაგრამ ასეთი დარტყმის შედეგები კატასტროფული იქნებოდა".

დოქტორმა სტილმა დაიჩივლა, რომ ინგლისი არაფერს აკეთებს ამ მიმართულებით, მიუხედავად ევროპის საბჭოს მოწოდებისა, სერიოზულად ალიქვან ეს საფრთხე. მისი თქმით, ასტეროიდები, რომლებსაც შეუძლიათ კაცობრიობის მეოთხედი ან ნახევარიც კი გაანადგურონ, დედამიწაზე ეცემა დაახლოებით 100 ათას წელიწადში ერთხელ. მეცნიერის მიერ მოყვანილი შესაძლო მსხვერპლის ციფრები მოწმობს, რომ საშუალო სტატისტიკური ადამიანისათვის ასტეროიდისაგან დაღუპვის რიცხვი შეადგენს ერთ მეხუთეათასედს, რაც ოთხჯერ მეტია, ვიდრე საავტომობილო კატასტროფაში დაღუპვის ალბათობა.

უფრო მცირე მეტეორიტების ცვენა გაცილებით უფრო ხშირია და მათი შედეგები არ არის ძალიან საშიში. 1908 წელს ასტეროიდად განსაზღვრული ობიექტი, რომლის დიამეტრი 30 მ-ს შეადგენდა, ციმბირში ჩამოვარდა და 25 კილომეტრი რადიუსით ხეები მიაწ-მოაწვინა. ასეთი მოვლენა შეიძლება საუკუნეში ერთხელ მოხდეს. ძირითადად მეტეორიტები ცვივა ოკეანეში და შედარებით უკაცრიელ ხმელეთის ნაწილებში. ქალაქში მეტეორიტის ჩამოვარდნამ შეიძლება დიდი ნგრევა გამოიწვიოს.

სხდომაზე შეკრებილი ასტრონომები შეთანხმდნენ, რომ შეჯახების შანსი მცირეა, მაგრამ საკითხი შემდგომ შესწავლას მოითხოვს. საჭიროა გაგრძელდეს კვლევა დიდი ასტეროიდებისა და განუჭვრეტელი მოძრაობის ტრაექტორიის კომეტების ძებნის მიზნით. ერთი წლის წინათ, შეერთებული შტატების მთავრობამ წამოაყენა თავისი პროგრამა, ხოლო საფრანგეთი, გერმანია და იტალია გამოეხმაურნენ ევროპის საბჭოს მოწოდებას. გასული წლის დამლევს, ედუარდ ტელერმა, ამერიკელმა მეცნიერმა, რომელსაც ხშირად უწოდებენ წყალბადის ბომბის მამას, ინგლისისა და ავსტრალიის პრემიერ-მინისტრებს გაუგზავნა წერილები, რომლებშიც შეშფოთება გამოთქვა ამ ქვეყნებში არასაკმაოდ აქტიური მოქმედების გამო.

დოქტორ სტილს ავსტრალიის მთავრობისა და შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებისაგან აქვს გრანდები ასტეროიდთა ძებნის პროგრამის განსახორციელებლად ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატში ინგლისურ-ავსტრალიური ტელესკოპის მეშვეობით. „როდესაც აქ მუშაობა დამთავრდება, სამხრეთი ნახევარსფეროდან დაკვირვება შეწყდება", — აცხადებს იგი. მეცნიერს მიაჩნია, რომ დაკვირვების სრული პროგრამის განსახორციელებლად, აუცილებელია ექვსი ორმეტრიანი ტელესკოპი, რომელთაგან თითოეული 5 მილიონი დოლარი ჯდება. ასეთი კოსმოსური დაზვერვისათვის გაწეული ხარჯები ანაზღაურდება, როდესაც გამოირკვევა, რომ ერთ-ერთი ასტეროიდი დედამიწისათვის საშიში ტრაექტორიით მოძრაობს.

თუკი მას დატაკებამდე ცოტა ხნით ადრე შევამჩნევთ, უკვე ველარაფრის გაკეთება მოესწრება, მაგრამ, თუკი ჩვენ წინასწარ დავიჭერთ თადარიგს, მაშინ გვექნება დრო, შევიმუშაოთ გეგმა, როგორ ავიცილოთ თავიდან კატასტროფა. საუკეთესო ვარიანტია ბირთვულმუხტიანი საბრძოლო რაკეტის გაშვება და ასტეროიდის გვერდით აფეთქება. იდეის არსი ის არის, რომ ასტეროიდის აუფეთქებლად (აფეთქებამ შეიძლება კიდევ უფრო მძიმე შედეგები გამოიწვიოს), შეიქმნას საკმარისი ძალის ბირთვი მისი ტრაექტორიის შესაცვლელად და დედამიწასთან დაჯახების თავიდან ასაცილებლად.

„ნურავის ეგონება ეს მეცნიერული ფანტასტიკა, — აცხადებს სტილი. — ჩვენ ამას მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ. მეცნიერებმა თავიანთი საქმე გააკეთეს. ახლა, ჯერი მთავრობაზეა".

* * *

მას შემდეგ, რაც დედამიწის ირგვლივ ასტეროიდებზე რეგულარული დაკვირვება დაიწყო, უკვე აღირიცხა მრავალი ასტეროიდი, რომლებმაც გვერდით ჩაგვიქროლეს.

1991 წლის 15 იანვარი: ცხრა მეტრი განივკვეთის ასტეროიდმა დედამიწას 150 ათასი კილომეტრზე ჩაუფრინა — ეს მთვარემდე მანძილის ნახევარზე ნაკლებია.

1993 წლის 20 მაისი: ხუთიდან თერთმეტ მეტრამდე განივკვეთის ასტეროიდი დედამიწიდან 130 ათას კილომეტრზე იყო. იგი მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს, როდესაც დედამიწას ჩაუქროლა.

1994: ორმა ასტეროიდმა დედამიწას 160 ათას კილომეტრზე ჩაუფრინა.

1989: მართლაც დიდმა ასტეროიდმა, 1989 FC, რომლის განივკვეთი 500 მეტრს აღწევდა, დედამიწას 720 ათასი კილომეტრით ჩაუქროლა. არ გეგონოთ, რომ ეს ძალიან შორს იყოს. დედამიწა მოცემულ წერტილში სულ ექვსი საათის წინ იმყოფებოდა.

„ოტელოს სინდრომი" უმუშევრობის ფონზე

მზაკვარი იაგოს და ეჭვიანი მავრის კლასიკური სახეები ინგლისური ფილმიდან „ოტელო".

უკიდურეს შემთხვევას, ტრაგედიას – ეჭვიანობას ხშირად არა აქვს საფუძველი, რომელიც ქმარს აიძულებდა სიცოცხლე მოესწრაფა ცოლისათვის. მაგრამ რა წარმოშობს უბედური კაცის სულში ამ მწვანეთვალა ალქაჯს, როგორც ვიღაცამ უწოდა ეჭვიანობის გრძნობა? დოქტორმა ჯეიმს დანლოპმა, რომელიც კვლევას ეწევა კალიფორნიის უნივერსიტეტსა და ინგლისის ქალაქ გუნის უნივერსიტეტში, გამოიტანა დასკვნა: ეს არის ისეთი სოციალური ბოროტება, როგორიც უმუშევრობაა. სხვა მიზეზებს შორის დასახელებულია იმპოტენცია, სმას გადაყოლა, წამლების ბოროტად გამოყენება. მაგრამ, რატომ, – უწინარეს ყოვლისა, უმუშევრობა? იმიტომ, წერს ლონდონის „ექსპრესი", რომ უმუშევარი მამაკაცი კარგავს საკუთარი თავის პატივისცემას. იგი თავს ხელმოცარულად თვლის. და თუ ქალი „ოტელოს სინდრომს" წააწყდება, მას უნდა ეკითხოთ: ხომ არ დაუკარგავს თქვენს მეუღლეს სამუშაო? სმას ხომ არ მიჰყო ხელი? უფრო ხშირად ხომ არ მიმართავს ტრანკვილიზატორებს? და ხომ არ არის ეს პრობლემები დაკავშირებული მისი მამაკაცური უნარის შესუსტებასთან? მის ასაკთან (40 და 50 წელიწადს შუა ამგვარი კრიზისი ყველაზე ხშირად იჩენს ხოლმე თავს)? ხომ არ აწუხებს თქვენს მეუღლეს დეპრესიულობა? და ხომ არ მიგიციათ მისთვის ეჭვიანობის საფუძველი? თუ პასუხი ორ ან მეტ კითხვაზე დადებითია, მაშინ ფრთხილად იყავით, ურჩევს ქალებს გაზეთი.

„დეილი ტელეგრაფი": თაფლთან ფრთხილად იყავით

ფუტკრის თაფლი ვნებს ადამიანის ორგანიზმს, ასეთი დასკვნა გამოაქვს „დეილი ტელეგრაფს", (ეს ის გაზეთია, ამ ცოტა ხნის წინათ ალკოჰოლიანი სასმელების მარგებლობაზე რომ წერდა. – რედ.), ბრიტანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ბავშვებისათვის თაფლის ხშირად მიცემამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული კვებითი მოწამვლები, აგრეთვე ბოტულიზმი. საქმე ის არის, რომ ფუტკრის თაფლს არცთუ იშვიათად აქვს ბაქტერიული სპორების წინააღმდეგ დაცვის დაბალი დონე. და თუ, ზრდასრული ადამიანის იმუნურ სისტემას შესწევს უნარი, დამოუკიდებლად ებრძოლოს მათ, ბავშვის ორგანიზმი ამას ხშირად ვერ უძლებს. ამასთან დაკავშირებით, მეცნიერები აყენებენ წინადადებას, შეიზღუდოს ადრეულ ასაკში თაფლის მოხმარება, ან საერთოდ გამოირიცხოს იგი ბავშვის ულუფიდან.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას" და „პლანეტა-ფორტეს" მასალების მიხედვით

უძღვება

არჩილ მანჯგალაძე.

საქართველო და გარე სამყარო

წარმატებული საგარეო პოლიტიკა არ გამორიცხავს ანალიტიკური კვლევის აუცილებლობას

რა არის კონცეფცია?

რამდენჯერ გვსმენია, ჩვენში ფეხბურთსა და საგარეო პოლიტიკაში ყველა ერკვევაო. ცხადია, „გარკვევაში“ დილეტანტური ენთუზიაზმი და უსაგნო კამათის დაუოკებელი ენერგია იგულისხმებოდა. ფეხბურთზე კამათმა კარგა ხანია, რაც ჭირი მოგვჭამა — წელიწადში თითოოროლა სანახევროდ წარმატებული თუ სრულიად წარუმატებელი საერთაშორისო შეხვედრა განსჯისა და ცხარე დებატების იმპულსად არ გამოდგება. აი საგარეო პოლიტიკისადმი ინტერესი კი გაასკეცდა. ეს მოსალოდნელიც იყო: ქვეყანას საშუალება მიეცა თვითონ განესაზღვრა თავისი პრიორიტეტი გარე სამყაროსთან ურთიერთობაში.

დამოუკიდებლობის პირველმავე წელმა ცხადყო, რომ არაკომპეტენტურობასა და რომანტიზმს, რეალობის იგნორირებას ვერც საგარეო პოლიტიკა ეგუება. სულ რამდენიმე თვეში ტოტალურ საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდა საქართველო, ქვეყანასთან, რომლის წარსულსაც და თანამედროვე კულტურასაც (სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ), მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში იცნობდნენ და აფასებდნენ, არავის სურდა ურთიერთობა. საბედნიეროდ, არცთუ ხანგრძლივი აღმოჩნდა ეს პერიოდი. კარგადაა ცნობილი, თუ როგორ და ვისი წყალობით მოხერხდა ქვეყნის გამოყვანა საშიში იზოლაციიდან და საერთაშორისო ავტორიტეტის აღდგენა. ეროვნული კონსენსუსი ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის სფეროში, ლოგიკურად და ბუნებრივად გამოიყურებოდა და თითქოს გარანტირებულიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ „შეურიგებელმა ოპოზიციამ“ სწორედ საგარეო პოლიტიკა აირჩია მთავარ სამიზნედ, რაც მის გამოუსწორებელ შეცდომად იქცა. რეალობა იმდენად რთული და არახელსაყრელი, ხოლო მიღწევები კი იმდენად ცხადი იყო, რომ „შეურიგებელთა“ მძვინვარებამ ვერანაირი ეფექტი ვერ იქონია ელექტორატზე. ამიტომაც იყო კანონზომიერი „შეურიგებელი“ ოპოზიციის სრული კრახი მორიგ არჩევნებში.

... წინა პარლამენტის ერთ სხდომაზე „შეურიგებელმა“ ოპოზიციამ განსაკუთრებული „დაუნდობლობით“ შეუტია სახელმწიფოს მეთაურს, — საგარეო პოლიტიკის კონცეფცია რატომ არა გაქვთო. ე. შევარდნაძე თავის მართლებას არ შეუდგა და იქვე შეეკითხა, — ეგებ ამიხსნათ რა არის კონცეფციაო? კამათი იქვე შეწყდა, ვინაიდან ვერც ერთმა „შეურიგებელმა“ ვერ ითავა კონცეფციის არსისა და დანიშნულების ახსნა. დილეტანტთა დემაგოგიური პოპულიზმის ჩარჩოებში ვერ „ჩაჯდებოდა“ პროფესიონალთათვის (მათ შორის შეკითხვის ავტორისათვის) კარგად ცნობილი ჭეშმარიტება: ნებისმიერი კონცეფცია მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ მოვლენაზე შეხედულებათა სისტემაა და არა დროსა და სივრცეში კონკრეტული მომენტებით მკაცრად განსაზღვრული ქმედების პროგრამა. სახელმწიფოს მეთაურისგან კი სწორედ უკანასკნელს მოითხოვდა ოპოზიცია, რათა დაუსრულებელ და უაზრო დისკუსიათა ქსელში გაეხლართა ხელისუფლება.

დღეს, საბედნიეროდ, სხვა ვითარებაა: პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკური კურსის კრიტიკა ისეთ აბსურდად იქცა, რომ „ფრონტალური შეტევების“ ქრონიკული ენთუზიასტებიც კი სდუმან. ერთი სიტყვით, იქმნება გარე სამყაროსთან საქართველოს მრავალწახნაგოვანი ურთიერთობისა და რეგიონში (ასევე მსოფლიოში) საქართველოს ადგილის თაობაზე აკადემიური, თეორიული ხასიათის მშვიდი და აუჩქარებელი კვლევისათვის ხელსაყრელი პირობები. ასეთი პრაქტიკა მთელ ცივილიზებულ მსოფლიოშია დამკვიდრებული და, უმეტეს შემთხვევაში, თვითონ აღმასრულებელი ხელისუფლება გამოდის მეცნიერული განხილვა-დისკუსიების ინიციატორად. საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებათა ანალიტიკურ გააზრებას და ალტერნატიულ ვექტორთა თეორიულ დახვეწა-დაზუსტებას სულაც არ გამორიცხავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შთამბეჭდავი წარმატება და მოსახლეობის საყოველთაო მხარდაჭერა.

დიდი ხნის მანძილზე საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე ნებისმიერი დისკუსია თუ მსჯელობა იწყებოდა და მთავრდებოდა „რუსული“ და „ევროპული“ ორიენტაციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა დაპირისპირებით და საკუთარ პოზიციათა ჰიპოთეტური არგუმენტირებით. სპეციალიზირებული მეცნიერული კვლევითი დაწესებულების უქონლობამაც განაპირობა ის ფაქტი, რომ პროფესიულ ანალიზს დღემდე ხშირად ცვლის დილეტანტური კამათი იმაზე, თუ ვისი გავლენის ქვეშ და ინტერესების ფარვატერშია საქართველოს ისტორიული ადგილი. არამეცნიერული (მცდარი) დასკვნებისა და განზოგადებების წყაროდ იქცა ქვეყნის გეოპოლიტიკური ფაქტორიც. მართალია ჯერ კიდევ ნაპოლეონს სწამდა, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკას მისი გეოგრაფია განსაზღვრავს, მაგრამ ეს სტრატეგიული ჭეშმარიტება მხოლოდ საბაზო წინაპირობად თუ გამოდგება სერიოზული ანალიზისა და დასკვნებისათვის.

ისიც ცნობილი ფაქტია, რომ ყოველი სახელმწიფო ცდილობს ისეთი პოლიტიკური თუ სამხედრო რეალობის შექმნას, რომელიც საიმედოდ დაიცავს მეზობლების მხრიდან ყოველგვარი მოსალოდნელი თუ მოულოდნელი უსიამოვნებისაგან. ამ მხრივ საქართველოს დიპლომატიამ უკვე შესძლო ნორმალური ურთიერთობის უზრუნველყოფა მეზობლებთან: არც ერთ მათგანს არა აქვს ტერიტორიული ან სხვა ხასიათის პრეტენზია საქართველოს მიმართ. ამავე დროს თავის ლოგიკურ დასასრულს ელის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა — ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ჩვენს სინამდვილეში, როდესაც სახელმწიფო ჯერ მზად არ არის მძლავრი სამხედრო პოტენციალით გაამაგროს წმინდა პოლიტიკური ხასიათის ძალისხმევა, სიმძიმის ცენტრი, უპირველესად, დიპლომატიისაკენ ინაცვლებს, ვინაიდან გარე ფაქტორებზე უფროა დამოკიდებული ტერიტორიული კონფლიქტის მოგვარება (ესეც მწარე რეალობაა). ბუნებრივია, რომ გარე ფაქტორებიდან, გაეროსა და ევროთათბირის როლის ნაკლებეფექტურობის პირობებში, დომინირებული რჩება რუსეთის ფაქტორი. აქედან გამომდინარე კი ფაქტია, რომ უახლოეს წლებში ქართული დიპლომატიის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რუსეთის მიმართულება დარჩება. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, მხოლოდ კონკრეტული ხასიათის სიმპტომებსა და ტენდენციებზე შეიძლება საუბარი.

ჩეჩნეთის ავანტიურის სამარცხვინო, თუმცა ლოგიკური ფინალი, უშიშროების საბჭოს მდივნის გავლენიანი მოადგილის ბერეზოვსკისა და სხვა მაღალი რანგის რუს პოლიტიკოსთა ვიზიტები თბილისში, გარკვეული სიფრთხილით, მაგრამ მაინც შეიძლება შეფასდეს, როგორც საქართველოსადმი ინტერესის გაძლიერება. ურთიერთობათა სრულ ნორმალიზაციაზე და თვითონ რუსეთის რეალური ეროვნული ინტერესების ჭრილში საქართველოსთან კეთილმეზობლური კურსის დამკვიდრებაზე, რაც იმანენტურად გულისხმობს უკანასკნელის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებასაც, ჯერ ნაადრევია საუბარი. ამ მხრივ აფხაზეთის პრობლემა უკვე იქცა თავისებურ ლაკმუსის ქაღალდად. ელცინის ადმინისტრაცია, რომელიც ოფიციალურ დონეზე აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას (საწინააღმდეგო პოზიციას საჯაროდ ვერც ზიუგანოვი დაიკავებდა), თავს იკავებს ქმედითი ნაბიჯებისაგან და სეპარატისტთა ყოველ მორიგ პროვოკაციაზე ფორმალური განცხადებებით კმაყოფილდება.

საკმარისია ითქვას, რომ მოსკოვში დღემდე ოფიციალურად არსებობს სოხუმის რეჟიმის „წარმომადგენლობა“, ხოლო რუსეთის სამთავრობო ტელევიზია ტენდენციურად და ანტიქართულ ტონალობაში აშუქებს აფხაზეთის მოვლენებს (იგივე „ვესტი“ სეპარატისტთა „არჩევნებზე“ და სხვ.). რაც შეეხება ჩვენს საზოგადოებრიობას, აქ უკვე ბევრს სჯერა, რომ მოსკოვი დიდად არ არის დაინტერესებული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემის საბოლოოდ მოგვარებით. არც ისაა ძნელად მისახვედრი, თუ ვის გულისხმობდა საქართველოს პრეზიდენტი, როდესაც ლისაბონის ცნობილ სამიტზე გამოსვლისას, სეპარატისტულ რეჟიმებთან მიმართებაში „თავზე ხელის გადასმასა და გაუმართლებელ წაყრუებაზე“ ლაპარაკობდა. იმავე გამოსვლაში ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, ახალი საერთაშორისო მექანიზმების შექმნის საკითხიც დააყენა, რომელიც რეალურ ძალად აღუდგება სეპარატიზმისა და აგრესიული ნაციონალიზმის ყოველ რეციდივს. ინიციატივა დროული და გადაუდებელია, მაგრამ ახლო მომავალში მისი რეალიზაცია საეჭვოდ გამოიყურება. მეორეს მხრივ, ისიც ცხადია, რომ ამ ჭირთან ბრძოლა მხოლოდ დიალოგისა და დაჯერების მეთოდით, არათუ ნაკლებად ეფექტიანი, საერთოდ, არაეფექტიანია.

იგივე ლისაბონის სამიტთან დაკავშირებით, მეხვედრის შედეგები ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ქართული დიპლომატიის მიღწევად შეფასდეს. ერთდროულად იგი ახალი ამოცანების წინაშეც აყენებს უკანასკნელს; როგორც საქართველო, ასევე რუსეთი, დაინტერესებული არიან ორგანიზაციის (ეუთო-ს) მყარი სამართლებრივი ბაზის შექმნით, მისი რეალური უფლებამოხილების გაზრდით. მაგრამ ამ საერთო პოზიციას თავისი ნიუანსებიც აქვს, კერძოდ, თუ ქართული დიპლომატიის მთავარ საზრუნავს სეპარატიზმსა და აგრესიულ ნაციონალიზმთან ბრძოლა წარმოადგენს და ამ ჭრილში განიხილავს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მომავალს, მოსკოვი ეროვნულ უმცირესობათა პრობლემას აყენებს წინა პლანზე, რაც მას ყველაფერთან ერთად, ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა (არა მარტო ბალტიისპირეთის) საშინაო საქმეებში ჩარევასაც გაუადვილებს. გარდა ამისა, ორგანიზაციის როლის პრიმატი საერთო ევროპულ საკითხებში, თავისთავად შეასუსტებს ნატოს გავლენას კონტინენტზე, რისკენაც მიზანდასახულად ისწრაფვის რუსეთი და რასაც ასევე მიზანდასახულად ეწინააღმდეგება ვაშინგტონი. ბუნებრივია, საკუთარი ინტერესების გარეშე არც ქართული დიპლომატიაა, რაც სულაც არ გულისხმობს რომელიმე მხარესთან დაპირისპირებას. იგულისხმება მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოთა ურთიერთობებში დამკვიდრებული ნორმა, როდესაც საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, სტრატეგიული მოკავშირენიც კი არ თაკილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ პარტნიორზე ზემოქმედების ყველა ცივიზებული საშუალება.

სულ უფრო და უფრო რეალური პერსპექტივები იბადება საქართველოს საგარეო პოლიტიკის „ევროპულ მიმართულებაში“; ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტი თბილისში და საქართველოს პრეზიდენტისა — პარიზში — აღნიშნული მიმართულებით გადადგმული სერიოზული ნაბიჯებია.

ნატო – რუსეთი – საქართველო – ისლამი

თუმცა არავინ უარყოფს ეუთოს როლსა და მნიშვნელობას, მაგრამ როგორც ჩანს, ჯერ ნაადრევია საერთო ევროპულ საქმეებში მის აბსოლუტურ უზენაესობაზე ლაპარაკი. ასე რომ, განჭვრეტ მომავალში ნატო კვლავ რჩება მთავარ რეალურ ძალად კონტინენტზე. რუსეთის იდეა — ურთიერთშემაკავშირებელი ხელშეკრულებების ახალი სისტემით დაკონკრეტებულიყო ევროპაში მოქმედ ინსტიტუტთა (ეუთო, დსთ, ევროსაბჭო და ა.შ.) ფუნქციები, პრინციპშივე მიუღებელი აღმოჩნდა ვაშინგტონისათვის, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. სერიოზული ანალიტიკური კვლევა არ არის საჭირო თუნდაც იმის დასადგენად, რომ აშშ არ დაუშვებს კონსენსუსის პრინციპს (ე.ი. რუსეთის ვეტოს უფლების დაკანონებას) ევროპის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემების განხილვისას. მართალია ლისაბონის დასკვნით დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ არც ერთი სახელმწიფო, ორგანიზაცია თუ გაერთიანება არ შეიძლება უპირატესი უფლებით სარგებლობდეს ეუთო-ს რეგიონში მშვიდობის დაცვის საქმეში, ან თავისი გავლენის სფეროდ განიხილავდეს ამ სივრცის ნებისმიერ ნაწილს, მაგრამ ეს ფუძემდებელი პრინციპი, ბევრის აზრით, ჯერ რუსეთს ეხება და შემდეგ ნატოს. ნებისმიერ შემთხვევაში ერთი რამაა უდავო: საქართველოს საშუალება ეძლევა აქტიურად გამოიყენოს ეუთო საკუთარი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დასაცავად. რაც შეეხება ნატოს, აქ ჩვენ გვაკავშირებს ინდივიდუალური თანამშრომლობის პროგრამა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. ვფიქრობ, რომ თანამედროვე ეტაპზე არ ღირს ლოგიკური პროცესების ხელოვნური ფორსირება. მით უმეტეს, რომ უახლოეს წლებში არც ბრიუსელში, ორგანიზაციის შტაბ-ბინაში, არიან მზად ფართომასშტაბიანი კავშირისა და შორსწარმავალი თანამშრომლობისათვის.

საქართველოს აქტიური ჩართვა საერთო ევროპულ პროცესში არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც „ავტონომიური რეჟიმის“ ფაქტი, მას რეალური შეხების წერტილები ექნება რუსეთის ინტერესებთანაც. როგორც ცნობილია, წლეულს დაიწყება მოლაპარაკება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების 1990 წლის ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლის გადასინჯვის თაობაზე. რუსეთის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მის სამხრეთ საზღვრებთან შექმნილი ვითარება, სადაც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და საბჭოთა კავშირის ლიკვიდაციის შემდეგ, თვისობრივად ახლებური რეალობა შეიქმნა. ბუნებრივია: რა ჭრილსა და ტონალობაში უნდა წარიმართოს მომავალ მოლაპარაკებათა პროცესი, იგი საქართველოსაც შეეხება ამა თუ იმ კონტექსტში. გარდა ამისა, ევროპის გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში სულ უფრო და უფრო მზარდ ინტერესს (რომ არა ვთქვათ, — თავის ტკივილს) იწვევს ჯერჯერობით მკრთალად გამოკვეთილი კონტურები ღერძისა: მოსკოვი-ერევანი-თეირანი.

რუსეთ-ჩეჩნეთის ომმა და მისმა შედეგებმა (როგორც დღევანდელმა, ასევე მოსალოდნელმა), ძალთა ახალ თანაფარდობასაც დაუდო სათავე კავკასიაში. ცხადია, რომ ახალი რეალიები სულ მალე მოითხოვს ადეკვატურ კორექტივებს საქართველოს საგარეო პოლიტიკაში: „კავკასიური მიმართულების“ ქვეკუთხედად შეიძლება იქცეს ჩეჩნეთთან ურთიერთობა. გარდა იმისა, რომ ჩეჩნები ჩრდილოეთ კავკასიის ყველაზე მრავალრიცხოვანი მკვიდრნი არიან, ჩეჩნეთის მოვლენები პრაქტიკულად უკვე განსაზღვრავს რეგიონის მთელ პოლიტიკურ კლიმატს. ამავე დროს, ჩვენის მხრიდან შეცდომა იქნებოდა ახლო მომავალში, ჩეჩნეთის, როგორც საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან და აღიარებულ სუბიექტად პროგნოზირება. როგორიც უნდა იყოს ჩეჩნეთის რეალური სტატუსი, მოსკოვი კიდევ დიდხანს არ სცნობს ოფიციალურად მის სრულ დამოუკიდებლობას. თავის მხრივ ომით გაჩანაგებული ქვეყნის აღდგენის გადაუდებელი აუცილებლობა პრაგმატიზმისაკენ უბიძგებს ჩეჩნეთის ნებიმიერ ხელმძღვანელობას. მიახლოებითი სიზუსტით ჩეჩენ ლიდერთა კომპრომისის ჩარჩოების პროგნოზირებაც შეიძლება: თუ რუსეთი წავა (სხვა გზა კი მას არა აქვს) მის მიერ დანგრეული ქალაქების, დასახლებული პუნქტებისა და მრეწველობის აღსადგენად საჭირო მრავალტრილიონიან ფინანსირებაზე, ჩეჩნები თავს შეიკავებენ საკუთარი, ისედაც რეალური სუვერენიტეტის ფართოდ აფიშირებისა და მოსკოვის დამამცირებელი დემონსტრაციული აქციებისაგან. რაც შეეხება ქართულ დიპლომატიას, ბუნებრივია იგი არ შეეცდება რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოიყენოს შექმნილი სიტუაცია, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში (თუკი ამას ცალსახად მოითხოვს ქვეყნის ეროვნული ინტერესები) თუ ობიექტური რეალობით განპირობებულ და მის ხელთ არსებულ მექანიზმებს აამუშავებს, ამაში არაფერი იქნება უჩვეულო და მიუღებელი.

შედარებით ახალი და დღითი-დღე მზარდმნიშვნელოვანი მომენტია ისლამური ფაქტორი და ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობა. თუ რა სიფრთხილე და წინდახედულებაა აქ საჭირო, ამაზე თუნდაც ისეთი ლოკალური მნიშვნელობის ფაქტიც მეტყველებს, როგორიცაა ერთ-ერთი რუსული გაზეთის მიერ საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწის დამახინჯებული ინტერვიუს რეზონანსი, ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს ჟურნალისტთა წრეებში. ისლამური აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას, გარდა ერცელი ტერიტორიისა და მოსახლეობის გიგანტური რესურსებისა, რეგიონის სტრატეგიული მდებარეობაც განსაზღვრავს. დასავლეთის ანალიტიკური კვლევითი ცენტრები უკვე ახლო მომავალში პროგნოზირებენ ისლამურ სახელმწიფოთა ახალ-ახალი ორგანიზაციებისა და კავშირების შექმნას, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, შუა აზიასა და კავკასიის რეგიონს მოიცავს. დასავლელივე ექსპერტები ცალკე განიხილავენ „ისლამური ნატოს“ პერსპექტივას, რომელიც მათი ვერსიით, თურქეთისა და პაკისტანის ხელმძღვანელობით გეგმაზომიერად უახლოვდება რუსეთის საზღვრებს. სავსებით უსაფუძვლო არც რუს ანალიტიკოსთა მტკიცება უნდა იყოს — სწორედ სამხრეთიდან ელის რუსეთის ინტერესებს რეალური საფრთხე (სხვა საკითხია თუ რომელ ინტერესებს). შეიძლება დღეს ჰიპოთეტურად გამოიყურება „რეალური საფრთხე“, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის სამხრეთ საზღვრებს მიჰყვება ე.წ. „არასტაბილურობის რკალი“.

სოსო ცინცაძე,
დიპლომატიური აკადემიის
რექტორი.

(გაგრძელება იქნება).

რეცენზია

ძმანი ჩვენნი

ქართველთა დიასპორა თურქეთში

ქართველთა დიასპორის შესწავლას დიდი ტრადიცია აქვს, მაგრამ საფუძვლიანად გამოკვლეულია მხოლოდ ზოგ ქვეყანაში მათი განსახლება-მოღვაწეობა.

ჩვენს დროში უცხოეთში მცხოვრებ ქართველებზე მრავალი საინტერესო ნაშრომი შეიქმნა. ძირითადად, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსა და ამერიკაში ემიგრირებულ ქართველ მოღვაწეებს მიეძღვნა პროფესორ გურამ შარაძის სამტომეული „უცხოეთის ცის ქვეშ“.

მეზობელი ქვეყნებიდან ყველაზე მეტი ქართველი თურქეთსა და ირანშია. მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა რეგიონში მკვიდრმა ჩვენმა წინაპრებმა მეურნეობის, ხელოსნობის სხვადასხვა დარგში მაღალკულტურულობით, მხედრული თუ მუსიკალური ხელოვნებით მორეულ ეპოქებში მიიპყრეს ყურადღება, მაგრამ ხანგრძლივი დროისა, იმ მიდამოებში ხალხთა მიგრაციების, მერევისა და ომების გამო შემოგვრჩა მხოლოდ მათი მრავალმხრივი მოღვაწეობის ნაშთები, რომლებსაც ევროპელი ორიენტალისტები დიდი ხანია წარმატებით ავლენენ.

იმპერიათა შემქმნელები, სასტიკი დამპყრობლები და ცბიერი პოლიტიკოსები ქართველთა ნიჭს, უნარს ძველადაც კარგად ამჩნევდნენ და ვერაგობა-ძალადობით, პროპაგანდით მათ თავიანთ ერცელ სამფლობელოებში ამკვიდრებდნენ.

ამ ხანგრძლივი პროცესის უარყოფითი და დადებითი მხარეების გაანალიზება საშურია. აქ, ძირითადად, იმას აღვნიშნავთ, რომ „ძლიერთა ამა ქვეყნისა“-თა მეოხებით ახალ დროში ჩვენი მოძმენი მახლობელი აღმოსავლეთის მრავალი ქვეყნის დაბა-სოფლების დამფუძნებელნი, გადაბუგული ველების, ხეობების მომშენებელი ადვილად შესამჩნევი კულტურული მოსახლენი შეიქმნენ და მალე დაწინაურდნენ იმ სახელმწიფოთა პოლიტიკურ-კულტურულ თუ სხვა სარბიელზე.

უკანასკნელ წლებში წარმატებული ნაბიჯები გადაიდგა თურქეთში მცხოვრებ მოძმეთა წარსულისა და თანამედროვე მდგომარეობის შესასწავლად. მათი მეტყველების, ყოფის, ისტორიისა და სხვა საკითხების ნაყოფიერი კვლევის თვალსაჩინო მაგალითია პროფესორ შუშანა ფუტკარაძის სოლიდური ნაშრომი „ჩვენებურების ქართული“. შესანიშნავი მკვლევარისა და დიპლომატის, ახლახან გარდაცვლილი ნოდარ კომახიძის „მეზობელო კარისაო“, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა „საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა“, მოთა ჯაფარიძის „მუსტაფა ქემალი — ათა თურქი“, აგრეთვე, თარგმანები: ევგენი დალეჯო დ'ალესიოს „ქართველები კონსტანტინოპოლში“, გიორგი ყაზბეგის „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ და სხვა.

ახლახან დაისტამბა კრებული, რომელშიც მოთავსებულია პროფესორ მიხეილ სვანიძის „ქართველები თურქეთში“, ისმეთზადე დოქტორი მეჰმედ არიფის „ქართული სოფლების“ მარინე ილურიძისეული თარგმანი და შესავალი.

დედასამშობლოსთან ერცელი სამხრეთ საქართველოს ნაწილის დაბრუნებისთანავე, გასულ საუკუნეშივე დაიწყო მკვიდრთა მასობრივი გადასახლება ოსმალეთში.

თავის ნარკვევში მ. სვანიძეს მრავალი საგულისხმო ფაქტი მოუტანია ქართველთა აღტაცების გამო, რაც ხანგრძლივად განმორებულ ძმებთან შეხვედრებს მოჰყოლია.

სამწუხაროდ, ამას შემდგომ დაერთო მკვიდრი მოსახლეობის ადგილებიდან აყრა და ბედის საძიებლად უცხოეთში გადახვეწა.

არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, პერიოდიკის მონაცემებით მკვლევარი ადგენს ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ოსმალეთში გადასულთა რაოდენობას. აღწერს ოსმალეთის იმპერიაში ქართველ მუჰაჯირთა მაშინდელ მდგომარეობას.

ზ. ჭიჭინაძის შრომების, კონსტანტინოპოლის გაზეთ „ტარკში“ XIX საუკუნის მიწურულს გამოქვეყნებულ ისმეთზადე დოქტორი მეჰმედ არიფის „ქართული სოფლებისა“ და სხვა მასალების მიხედვით გ. სვანიძე განსაზღვრავს ოსმალეთის იმპერიის ვილაიეთებში (გუბერნიებში) ქართველთა განსახლებას, კომლთა რაოდენობას, ჯეროვნად აფასებს მეჰმედ არიფის ცნობებს და ა.შ.

ასევე მდიდარი წყაროების მონაცემებით მ. სვანიძე ახასიათებს XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ქართველ კათოლიკეთა კულტურის კერაში გაწეულ მრავალმხრივ ნაყოფიერ მოღვაწეობას.

თურქეთში ქართველთა ასიმილაციას ნაშრომი მიუძღვნა ჰარვარდის უნივერსიტეტის დოქტორმა პ. ჯ. მაგნარელმა. ამერიკელმა მკვლევარმა რუდუნებით გამოიკვლია თურქეთში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესებისა და კერძოდ, ქართველთა ასიმილაციის, გამრავლების საკითხები. ავტორმა ჯეროვნად გააშუქა ეროვნული საოჯახო ადათ-წესების შენარჩუნებისათვის თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ბრძოლა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მათი წარმატებანი.

ინდიანის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა პ. გოლდმანმა, ფ. გილსმა შეისწავლეს ართვინში, არმუთალანში, ბურსაში, პაირიესა და სხვაგან მოსახლე ქართველთა მუსიკალური კულტურა და ფოლკლორული ნიმუშები, ნოტებზე გადატანილი მრავალი ქართული სიმღერა გრამფირფიტებით გამოსცეს. ამ შესანიშნავ მოვლენას მოხსენება ადრევე უძღვნა პროფესორმა ალექსანდრე ღლონტმა, 1995 წელს თავისი „ტოპონიმიკური ძიებანი“ IX ნაკვეთში მანვე დაბეჭდა ზემოხსენებული წიგნის განხილვა.

ამასთან ერთად გ.სვანიძე გვამცნობს ამერიკელი ეთნოგრაფის პროფ. ენდრიუს მონოგრაფიაში („ეთნიკური ჯგუფები თურქეთში“) მესულ თურქეთის რესპუბლიკის 15 ვილაიეთის 242 ქართულ სოფელს, რომელთაგან 84 სოფელში ქართველები სახლობენ აფხაზებთან, ლაზებთან, ჩერქეზებთან ერთად, ხოლო 158 მხოლოდ ქართულ ენაზე მოსაუბრე თანამოძმეებით არის დასახლებული.

გ. სვანიძის საყურადღებო ნარკვევში მეტანილია ცნობები 1959 და 1962 წლებში თურქეთის ქართველთა სოფლებში ინგლისური ალპინისტის დენის ხესილ პილსის მოგზაურობის შედეგად მეკრებილი მასალები (გვ. 61). მკვლევარი განიხილავს თურქეთში 1935 წლის გვარის კანონმდებლობის შედეგებს, თურქული აღწერების ქართულენოვანი მოსახლეობის მონაცემებს. აფასებს 90-იან წლებში საქართველო-თურქეთის პოლიტიკურ-კულტურულ დამოკიდებულებაში მიღწეული პროგრესის თვალსაჩინო ფაქტებს.

კრებულის მეორე ნაწილში მოთავსებულია ისმეთზადე დოქტორი მეჰმედ არიფის „ქართული სოფლების“ მარინე ილურიძისეული თარგმანი და შესავალი წერილი.

1893 წლის ეს გამოცემა ფ. ჩილოღლუს (ჭილაშვილი), რ. ბაქრაძისა და სხვათა მეოხებით გახდა ცნობილი. ქალბატონმა ლია ჩლაიძემ თურქეთიდან ჩამოტანილი ნაშრომი უსახსოვრა თურქოლოგ მ. ილურიძეს.

მთარგმნელმა ბათუმში განზრახულ სამეცნიერო კონფერენციაზე წასაკითხი მოხსენების თეზისებში ადრევე შეაფასა ეს ახლადმოპოვებული წყარო. ახლა კი მანვე შესავლით გამოსცა თარგმნილი ტექსტი.

ისმეთზადეს გამჭრიახი თვალით დანახული და წრფელი გულით აღწერილი ეს ძვირფასი ცნობები, რომლებიც შეეხება თურქეთში ქართველთა განსახლებას, მათს მაღალ სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და სხვა კულტურას, ჯეროვნად დაფასდება საქართველო-თურქეთის მრავალმხრივი ურთიერთობ
სახველ წყაროებში.

მისი ქართულად გადმოც
მკვლევარმა მარინე ილურ
მცირე შრომა როდი გასწ

შესავალ გამოკვლევაში
რგმნელი მკითხველებს მი
თებს ისმეთზადე დოქტორ მე
არიფის კეთილსინდისიერ
მის მიერ გადმოცემული ფ
ბის მნიშვნელობაზე ქართვე
სამეურნეო თუ შემოქმედე
ნიჭის დასახასიათებლად და

მისასალმებელია, რომ მ
რხდა ესოდენ საინტერესო
როსა და ნარკვევების ერ
ლივი პუბლიკაცია.

ეს გამოცემა იმედებს აღძ
რომ უახლოეს მომავალში
თველი სწავლულები შეძლ
თურქეთის რესპუბლიკაში მ
ვრებ ქართველებთან სახელ
ფოს დამოკიდებულების ეტ
ბრივად გამოკვლევას და ს
სოდ მოიმველიებენ უშუალოდ
რქეთის მდიდარ სიძველეთს
ვების საარქივო დოკუმენტებს
სხვა.

ავტორებთან ერთად საზ
დოებამ ჯეროვნად უნდა და
სოს რედაქტორების — ცნობ
თურქოლოგის, პროფესორ ც
აბულაძისა და ისტორიის მე
ერებათა კანდიდატის, ჟურნა
აბესალომ იმედაშვილის თა
გომა. მადლობას მოვახსენ
ყველას, ვინც ხელი შეუწყ
წიგნის დაბეჭდვას.

ამ საახალწლო ძვირფას
ბათზე ქართველი მოღვაწენ
უნდა შეჩერდნენ. შოთა რუს
ვლის სახელობის ბათუმის
ხელმწიფო უნივერსიტეტის ს
რთველოს ისტორიის კათედ
დიდი ხანია მომზადებული ა
მთლიანად ჩვენებურების პ
ბლემისადმი მიძღვნილი სამ
ნიერო კონფერენციის მასალ
ასეთი მნიშვნელოვანი თემ
დმი მიძღვნილი სამეცნიერო
ნფერენცია მაღალ დონეზე
ეწყობა ბათუმის უნივერსიტ
საიუბილეო დღეებში.

აქვე დავძენთ, რომ 1996
დეკემბერში ბათუმში წარ
ბით ჩატარდა „ყოველთა ქარ
ველთა“ კონფერენცია. იმედია,
რლამენტის შესაბამისი კომი
„ყოველთა ქართველთა“ საზ
დოების პრეზიდიუმი, საქართ
ლოს რესპუბლიკის მეცნიერებ
აკადემია და დარგობრივი ა
დემიები, განსაკუთრებით ახ
დმექმნილი ეროვნული აკად
ჩაერთვებიან ამ პატრიოტულ
ნისძიებაში, აქტიურ მონაწი
ობას მიიღებენ უცხოეთში მ
ონობით მცხოვრებ ჩვენებურ
კულტურულ-საგანმანათლებ
დონის ასამაღლებლად შესა
მავებელი, მეცნიერულად და
ბუთებული რეკომენდაციების
მზადებასა და განხორციელე
ში.

ეს იქნება მიმდინარე წლის
თავრესი ამოცანა უცხოეთში
ხოვრებ მოძმეებთან ჩვენს
მოკიდებულებაში.

ფრიდონ სიხარული
ისტორიის მეცნიერებ
დოქტორი, პროფესო

სააქციო საზოგადოება „სასტუმრო აჭარის“
აქციონერთა საყურადღებოდ
მ.წ. 11 ივნისს 3 სთ-ზე სასტუმროში ტარდება სს „სასტუმრო აჭარის“ აქციონერთა საერთო კრება.
აქციონერებს ვთხოვთ თან იქონიონ აქციათა სერტიფიკატები და პირადობის მოწმობები.
სს-ის სამეთვალყურეო საბჭო.

განცხადება
აკადემიკოს ი.ნ. ვეკუას სახელობის ქ. თბილისის 42-ე ფ
ზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლის დირექტორი ბოდი
უხდის მკითხველებს 1997 წლის მაისის ნომერში გამოქვე
ნებულ განცხადებაში დაშვებული შეცდომისათვის.
გამოქვეყნებულია — VII-VIII კლასებში სწავლება ფასიანი
სინამდვილეში სკოლის VII-VIII კლასებში სწავლება უფასო
ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ ტელ: 99-82-10.
42-ე სკოლის დირექტორ

ბინები.
აგარაკები

იყიდება

იყიდება ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მეტრო „გოცირიძესთან“ 5-სართულიან სახლზე დაშენებული 120 კვ.მ. ფართი. შიგა სამუშაოები გასაკეთებელია, ფასი 10. 000 დოლარი. ტელ. 39-61-30.

იყიდება სოფელ უჯარმასთან, ტბასთან ახლოს დასახლებაში აგარაკი ორსართულიანი კაპიტალური სახლით 10X8-ზე. გარშემო დახურული აივნით, ავეჯით და სამშენებლო მასალით 1000 მ². ყველანაირი მსხმოიარე ხეხილით, დიდი ტალავერით, 7-ტონიანი ავზით, წყალი და შუქი მუდმივადაა. საწყისი ფასი 8000 ლარი. ტელ: 30-12-41; 30-23-18, მზია.

გვესაჭიროება დურგლები მასიური ხისაგან ავეჯის დასამზადებლად.
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 62.
ტელ: 22-22-27; 29-47-59.

იყიდება ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩაზე გარემონტებული, ოთხოთახიანი ბინა. საერთო ფართია 142 კვ.მ. აქვს სამი აივანი, ჭერი 3.30, მანქანის დასაყენებელი ადგილი. ფასი 100.000 დოლარი. ტელ: 22-18-31, ლილი, გია.

სასწრაფოდ იყიდება ჩუღურეთის რაიონში 4-ოთახიანი კეთილმოწყობილი, სარემონტო ბინა ტელეფონით და ავტოფარეხით. საერთო ფართი 95 კვ.მ. ტელ: 96-30-97.

სასწრაფოდ იყიდება ბოლნისში, ოთხსართულიანი სახლის მეორე სართულზე, ოროთახიანი იზოლირებული სუფთა ბინა (დ. აღმაშენებლის 27). ბინიდან 200 მეტრში მდებარეობს მისი მფლობელის 1200 კვ. მ.-იანი ხეხილის ბაღი, რომელშიც აშენებულია ერთოთახიანი აივნიანი ბინა. ფასი 3000 დოლარი. ტელ: 93-34-44. ციცო.

ვყიდი სამოთახიან ბინას რვასართულიანი სახლის მესამე სართულზე ბინას აქვს სარდაფი, გარაჟი, ტელეფონი. ლოჯი გაფართოებულია. ბინა არის თემქაში, მესამე ბავშვთა სააავადმყოფოსთან. ტელ: 60-23-59.

იყიდება სასწრაფოდ სამოთახიანი, იზოლირებული, კუთხის, სუფთა ბინა ვაჟა-ფშაველას გამზ. მე-6 კვარტალის Iა კორპუსში, აგურით ნაშენ, რვასართულიანი სახლის მეოთხე სართულზე, ბინა № 53, არის რკინის კარები და ტელეფონი. ბინას აქვს ერთი შემინული ლოჯი და სხვადასხვა მხარეს ორი ღია აივანი. სამზარეულო, აბაზანა და ტუალეტი მოპირკეთებულია კაფელით. მოწყობილია წყლის ელექტროგამაცხელებელი. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 30-46-33, დავითი.

ს/ს „მზიურ“-ში კონტროლის პალატის მიერ მიმდინარე რევიზიის გამო ადრე გამოცხადებული აქციონერთა კრება ნაცვლად 16 მაისისა, შედგება 1997 წ. 6 ივნისს დღის 15 საათზე.
ს/ს „მზიური“-ს სამეთვალყურეო საბჭო.

სხვადასხვა

იყიდება ინვალიდის დასაკეცი სავარძელი შეღავათიან ფასში, უნივერმაღ „თბილისში“, IV სართულზე, ბავშვთა სათამაშოების განყოფილებაში.

იყიდება ბულგარული საწოლი გარნიტური, ოთხკარიანი კარადით, სულ 7 ნაჭრით (საწოლი კარგ მდგომარეობაშია). ფასი შეთანხმებით. ტელ. 23-02-23. მალხაზი.

შევიძენ 7-10 წლის ავტომანქანა „ვაზ-2108“-ს 1500 დოლარის ფარგლებში. დარეკეთ: 98-25-63.

სწრაფად, უმტკივნეულოდ ვაკეთებთ ყურის ბიბილოების გახვრეტას ამერიკული „პისტოლეტით“ და ჩვენივე ამერიკული ოქროს საყურეებით. ფასი 10 ლარი. ტელ. 51-53-29. მისამართი: მეტრო დიღუბე, დიღმის მასივის 2 კვარტალი, 16 კორპუსი, I სართული. მიღება ყოველ დღე 2-6 საათამდე. მედეა.

იყიდება რუმინული სასადილო მინი — ტულპანი. ფასი 2500 დოლარი. ჩეხური სამეული 800 დოლარი. ტელ. 95-41-77, 99-35-65, თინიკო.

იყიდება გერმანული მავ
რის პიანინო „შრედერი“ ან
კვარული შანდლებით. დარ
95-74-60, გოგი.

იყიდება საკერავი მანქ
„ზინგერი“, რომელიც კერა
ტყავსაც. ტელ: 95-74-60, გ
გი.

იყიდება 15-ტონიანი კონტ
ნერი. ფასი შეთანხმებით, შე
რებით ნაკლებ ფასში. ტელ: 9
38-87. იკითხეთ მაია 5სთ-ის შ
დეგ.

გირავდება

გირავდება სასწრაფოდ გლ
ნის რაიონში ოროთახიანი ს
კუთარი სახლი ორი წლის ვ
დით. ფასი 1200 დოლარი. ტე
62-03-64, საღამოს 8 საათის
მდეგ, იკითხეთ ალეკო.

ავტომანქანები

იყიდება ავტომანქანა „მო
ვიჩი“ 412 მარკის, 1980 წლ
მოშვებული. ფასი შეთანხმებ
ტელეფონი 37-51-91.

ნაღდ ანგარიშზე შევიძენ
7 წლის ავტომანქანებს: „ჟ
ლი- 2104“, „ტავრიას“, „რენო
სკვიჩს“, ტელ: 98-25-63.

ვყიდი სასწრაფოდ ხაზზე
მუშავე საკუთარ ავტობუსს „
695“. მანქანა ბუნებრივ ს
ვზეა. ტელ; 39-47-96.

სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური გვერდი

ცხენოსნობა

ცხენოსნობა ოდითგანვე ქართველი კაცის ჭირისა და ლხინის თანაზიარი იყო, ცხენოსნობაში იწრთობოდა ჩვენი წინაპრების ვაჟკაცობა და მის დასაუფლებლადაც ისინი ძალღონეს არ იშურებდნენ.

ცხენოსნობაში იწრთობოდა ქართველი კაცის სულიერი სამყაროც.

ქართულმა მეცხენეობამ და ცხენოსნურმა სპორტმა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო არნახული დარტყმა მიიღო. ქვეყნის რაიონებში მანამდე არსებული საცხენოსნო-სპორტული კლუბები დაშლილია და განადგურებულია...

ქალაქმა ფოთმა, კოლხეთის ამ უძველესმა დედაქალაქმა, ფაზისის სახელწოდებით რომ არის ცნობილი, მამა-პაპის ტრადიციებს ამ ძნელბედობის დროსაც არ უღალატა. ფოთი ათეული წლების წინათ საუკეთესო ასპარეზობებით გამოირჩეოდა — უწყვეტად მუშაობდა საცხენოსნო-სპორტული კლუბი, ასეა ამჟამადაც, მაგრამ...

ამ დღეებში ვეწვიეთ ფოთის იპოდრომის დირექტორს, სპორტის ოსტატ ვალერიან (ვალიკო) მაქაცარიას. ჩვენი ჩასვლა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მიმდინარე წლის 26-28 მაისს აქ ტარდება საქართველოს ჩემპიონატი ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში (დაბრკოლებათა გადალახვაში). ფოთის შედარებით ახალი იპოდრომი უკანასკნელი წლების მანძილზე ხშირად მასპინძლობს სხვადასხვა საცხენოსნო ფორუმს და სწორედ ამანაც განაპირობა ჩვენი ინტერესი.

გიწვევთ განახლებული ფოთის იპოდრომი



ძველ ფოთელთაგან ვალიკო მაქაცარია ერთადერთია, რომელიც წლების განმავლობაში შემორჩა ქართულ ცხენოსნობას. სამოცდაცხრა წლის ვეტერანი ერთი დღითაც არ მოშორებია საყვარელ საქმეს.

ფოთის იპოდრომის დირექტორად 1960 წლიდან მუშაობს. ვალიკო მაქაცარიას ღვაწლმოსილ მასწავლებელთაგან გვინდა დავასახელოთ საქართველოში ცხენოსნობის ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ ფოთელი კოსტა მურღაია და ქართული ცხენოსნური სპორტის დიდი სპეციალისტი რევაზ (ბიკა) კორძაია. კოსტა მურღაია, როგორც დირექტორი ძველი ფოთის იპოდრომისა, მოღვაწეობდა 1946 წლიდან 1960 წლამდე. ფოთელი მხედრები ადგილობრივი ჯიშის — მეგრული ცხენებით გამოირჩეოდნენ ქართულ ეროვნულ სახეობებში — ისინდში, ცხენბურთში, დოლში და მარულაში. ვალიკო მაქაცარია იყო საქართველოს ცხენოსანთა ნაკრები გუნდის წევრი წლების განმავლობაში, საქართველოს ჩემპიონი ცხენ „ტიტანით“ დაბრკოლებათა გადალახვაში, რიგი საკავშირო პირველობების მონაწილე და პრიზიორიც.

ვალიკო მაქაცარიას ცხენოსნურ თამაშს „ფუმბოლში“ სპეციალური პრიზიც კი აქვს საკავშირო მასშტაბით დასაკუთრებული. საკავშირო სარბიელებზე მისი თანამეინახენი იყვნენ გვეჯე ივანიძე, აფხაზი ზოლოტინსკი ანშბა, გივი და ლასი ლაშქარაევები და სხვა.

ფოთის წინანდელი იპოდრომი 1946 წელს აშენდა ცხენოსნობის დიდი მეცენატის გრიშა კოკაიას ხელმძღვანელობით. 1947 წელს კი ფოთში გამართულა საქართველოს პირველობა, მეტად გრანდიოზული, რომელშიც მონაწილეობა მიუღია ფოთის, სენაკის, ზუგდიდის, აბაშის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, სიღნაღის, გუდაუთის, გალის, ოჩამჩირის, ქობულეთის, გულრიფშის, სოხუმის, ქალაქ გორის, თბილისის მილიციის ლეგიონის მხედრებს.

ამჟამინდელი იპოდრომი აშენებულია 1975 წელს ჯულაშვილის ქუჩაზე, პალიასტომის ტბის სიახლოვეს. იპოდრომს აქვს საუკეთესო მინდორი — რვაასმეტრიანი სარბენი წრით.

და აი, წლეულს, 26 მაისს ქალაქ ფოთში სტარტს აიღებს საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონატი ცხენოსნობაში.

შეჯიბრების პროგრამა ითვალისწინებს დოლსა და მარულას მეგრული ცხენებით.

— როგორ ხვდება თქვენი იპოდრომი ამ ღონისძიებას? — ვეკითხებით ვალიკო მაქაცარიას.

— ფოთს არასოდეს არ დაუყრია ფარ-ხმალი, — გვიპასუხა მან, — იპოდრომის ტრიბუნები 800 მაყურებელს იტევს. ვფიქრობთ, მომავალში სკამების რიცხვის გაზრდას 2000 მაყურებლისათვის. უნდა დავამთავროთ სამსაჯო ტრიბუნის გადახურვაც. მთავარ პრიზებთან ერთად გათამაშდება ფოთის საცხენოსნო ფედერაციის პრიზებიც. მხედრებს ფულადი ჯილდოებიც გადაეცემათ.

წლების განმავლობაში ფოთის იპოდრომს მხარში ედგა წისქვილქარხანა, რომელიც ბედაურებს საკვებით ამარაგებდა. დიდ ყურადღებას იჩენდა ბედაურების მიმართ ცხონებული ზეიმ ტაბიძე. — ერთი რამ უნდა განვაცხადო, — განაგრძო ბატონმა ვალიკომ, — კვების საკითხი კვლავ მოუგვარებელი რჩება. გიზო ხარჩილავა, ფოთის ცხენოსნობის ფედერაციის ამჟამინდელი თავმჯდომარე, ჰიდრომექანიზმების ქარხნის დირექტორი რატომღაც პასიურობას იჩენს. იპოდრომის საშტატო ერთეული თექვსმეტი კაცისაგან შედგება და, რასაკვირველია, ასეთი პატარა კოლექტივით ასეთი დიდი სპორტული ობიექტის გაძღოლა ერთობ ძნელია. თითოეული მუშაკის ხელფასი 10 ლარია, მაგრამ საქმის სიყვარულმა ბევრი რამის მოგვარებაც იცის. მოქმედი სპორტსმენებიდან გვყავს სერგო ზინენკო და გოჩა ჯალაღონია. მწვრთნელად ენერგიულად მუშაობს ზაურ ტოტიკოვი. ფოთის იპოდრომზე ჩამოყალიბებულია ახალბედა სპორტსმენთა ჯგუფებიც. ვარჯიშები, გარდა კვირა დღისა, სისტემატურად ტარდება.

— ქალაქის მერიიდან ვინ გიდგათ მხარში?

— მერიის წარმომადგენლებიდან უნდა დავასახელოთ გია დარჯანია და ჯემალ გურგენაძე. ფოთის იპოდრომს დიდ ყურადღებას აქცევენ.

და ერთი უმთავრესი პრობლემათაგანი. ფოთის იპოდრომს აქვს საკვების შარშანდელი დავალიანება, ცხენებისათვის მოტანილი საკვების ფული გადაუხდელია, ბიუჯეტიდან თანხა დღესაც არაა გადარიცხული. ასეთი შეფერხებებია კაპრემონტის მხრივაც, თაველაში კი 14 სპორტული ბედაური გვყავს.

ერთი ფაქტიც. ფოთის საცხენოსნო კლუბში ბევრს ჰყავს საკუთარი ბედაური. სპორტის ოსტატ ზაურ ტოტიკოვს ორი ბედაური ჰყავს. საკუთარი ცხენი ჰყავს ფოთელ ოთარ კიკალეიშვილს, ფოთის წისქვილქარხნის თანამშრომელს ბადრი ოსხვას კი — ყაბარდოს ჯიშის ბედაური, ფოთის იპოდრომს აბაშიდან და ზუგდიდიდან ბევრი საკუთარი ცხენების მფლობელი ეწვევა, 26-28 მაისს დანიშნულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. სხვათა შორის, ივნისში ქალაქ სენაკში დაგეგმილია რესპუბლიკური პირველობა ეროვნულ ცხენოსნურ სახეობებში.

აქ ერთი რამაც გვაქვს აღსანიშნავი — ბატონ ვალიკო მაქაცარიას შვილიშვილი რომანი ლონდონში სწავლობს ეკონომიკურ ფაკულტეტზე და იქვეა გატაცებული ცხენოსნობითაც...

ფოთის იპოდრომს გამოყოფილი აქვს 20 ჰექტარი მიწა. აქედან გამოყენებულია ნაწილი კლასიკური სახეობებისათვის (დაბრკოლებათა გადალახვაში), ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი მოსაზვინია. ფოთის იპოდრომს კვლავ ყურადღება სჭირდება: ტრიბუნა, როგორც აღვნიშნეთ, უნდა გაიზარდოს 2000 მაყურებლისათვის, მაგრამ დაპირებებს საქმის დაწყება როდი მოჰყოლია. მოსაგვარებელია ტოტალიზატორის მუშაობის საქმეც.

ფოთში ჩვენი ყოფნის დროს საცხენოსნო სპორტისა და ჩასატარებელი ჩემპიონატის შესახებ ვრცელი საუბარი გვქონდა ქალაქ ფოთის ახალ მერთან, ბატონ ივანე ზოდელავასთან. მოგახსენებთ, რომ იგი სულ ახლახან დაინიშნა ქალაქის მერად. ვერ წარმოიდგენთ, რა გასახარი იყო მისი განცხადება იმის შესახებ, რომ ფოთის იპოდრომს და ფოთელ ცხენოსნებს უახლოეს დღეებში აღმოუჩენდა საჭირო ფინანსურ დახმარებას.

დიახ, კოლხეთის უძველეს ქალაქს მუდამ უნდა ამშვენებდეს მამა-პაპური ცხენოსნური საასპარეზო — იპოდრომი. ეს გვჭირდება დღესაც და ხვალაც — ცხენოსნობა ხომ ოდითგანვე იყო ქართველი კაცის ჭირისა და ლხინის თანაზიარი.

მაშ, მობრძანდით 26-28 მაისს ფოთის იპოდრომზე საქართველოს ჩემპიონატზე დასასწრებად ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში!

თამაზ ძიძავა,
„სრ“ სპეც. კორ.

სურათზე: სპორტის ოსტატი ვალიკო მაქაცარია (ცენტრში) ახალგაზრდა ფოთელ მხედრებთან ერთად.

ავტორის ფოტო.

კალათბურთი

კვიპროსზე, ისრაელის გავლით

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე სათამაშოდ კუნძულ კვიპროსზე ამ დღეებში გაემგზავრა საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები. ჩვენი გუნდის მატჩების განრიგი ასეთი გახლავთ: 23 მაისი. საქართველო-ჩეხეთი; 24 მაისი. საქართველო-კვიპროსი; 25 მაისი. საქართველო-ავსტრია. ამ ჯგუფიდან შესარჩევი ტურნირის საგზურს ორი საუკეთესო კოლექტივი მოიპოვებს.

მანამდე ბესიკ ლიპარტელიანის ბიჭები რამდენიმე დღით „აღქმულ მიწაზე“ ჩამოხდებიან, სადაც ამხანაგური შეხვედრების გამართვას ვარაუდობენ ისრაელის კლუბებთან, და, შესაძლოა, ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებთანაც.

მთავარმა მწვრთნელმა ამჯერად არჩევანი შემდეგ კალათბურთელებზე შეაჩერა: დავით თორთლაძე, მამუკა ტურამშვილი, გია სანაძე, რევაზ ჩხეიძე, ვახტანგ ნაცვლიშვილი, ლევან ქარაბაკი („ვითა“), ირაკლი მაისურაძე, ირაკლი ხომტარია, ვლადიმერ ბექანიშვილი („დინამო“) და დავით ბერძენიშვილი (სლოვაკეთის „ფარმაკოხიმია“). ეს უკანასკნელი ახლახან თავის ახალ კლუბში სლოვაკეთის ჩემპიონი გახდა.

საქართველოს ეროვნული გუნდის ლიდერი, სლოვენიის „ოლიმპიას“ თავდამსხმელი ვლადიმერ სტეფანია თანამემამულეებს კვიპროსზე შეუერთდება.

როგორ შეიძლება შევაფასოთ შემდგომ წრეში გასვლის შანსი? სპეციალისტთა აზრით, ბრძოლა კონტინენტის ელიტაში დასამკვიდრებლად ჩეხებმა და ქართველებმა უნდა განაგრძონ, თუმცა მასპინძელთა ამბიციებიც ერთობ მნიშვნელოვანია — მათ ხომ ფანატიკური გულშემატკივრები ეყოლებათ.

ჭადრაკი

ადგილებს კოეფიციენტის ანაწილებს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 14 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა. ჩემპიონობისათვის 34 გოგონა იბრძოდა. დაძაბული პაექრობების შემდეგ ქუთაისის 22-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელ ინგა ჭარხალაშვილსა (მწვრთნელი გია მენაბდე) და თელავის მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლეს ანა მათნაძეს (მწვრთნელი ნონა გაფრინდაშვილი) 9 შესაძლებლიდან 7,5-7,5 ქულა დაუგროვდათ. კოეფიციენტით პირველობა წილად ხვდა ჭარხალაშვილს. 6,5 ქულით მესამე ადგილზე გავიდა თბილისელი სოფიკო ხუხაშვილი, რომელმაც ამას წინათ 12 წლის მოჭადრაკეთა პირველობა მოიგო.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში 48 მოჭადრაკე ჩაება. შვიდი მოგებითა და ორი ყაიმით საქართველოს ჩემპიონი გახდა გალელი ბაადურ ჯობავა (მწვრთნელი გურამ მაჭავარიანი), რომელიც უკვე სამი წელიწადია უკრაინაში ცხოვრობს მშობლებთან ერთად, სწავლობს ხარკოვის 32-ე საშუალო სკოლის VII კლასში, პერიოდულად ჩამოდის თბილისში. მან შარშან 12 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზეც მიაღწია წარმატებას, ხოლო ამავე ასაკში უკრაინის პირველობის მესამე პრიზიორიც გახლავთ.

გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილზე გავიდა ხონის I გიმნაზიის მერვეკლასელი ზვიად იზორია (მწვრთნელი ბესიკ ხეცურიანი).

ოთხმა მოჭადრაკემ — დავით არუთინიანმა, გივი გოცაძემ, ნიკოლოზ შავთვალაძემ და კონსტანტინე შანავამ 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს. უკეთესი კოეფიციენტით მესამე ადგილი წილად ხვდა თბილისის 108-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელ არუთინიანს. დანარჩენ სამ მოჭადრაკეს შორის IV-VI ადგილები შესაბამისი თანმიმდევრობით განაწილდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პირველობა შესარჩევი ტურნირიც გახლდათ: ჩემპიონები — ჭარხალაშვილი და ჯობავა მსოფლიო პირველობაზე იასპარეზებენ, ხოლო ვიცე-ჩემპიონები მათნაძე და იზორია ევროპის პირველობაზე გამოვლენ.

ვიმედოვნებთ, მათი სრულფასოვანი მომზადებისათვის ჭადრაკის ფედერაციასთან ერთად ადგილობრივი გამგეობებიც გაირჯებიან.

ვაჟა დანელია.

სურათზე: გამარჯვებულთა კვარტეტი — ინგა ჭარხალაშვილი (მარცხნივ), ანა მათნაძე, ბაადურ ჯობავა და ზვიად იზორია.

ავტორის ფოტო.

შესამჩნევი უპირატესობით

ვიქტორ გოგლიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სპორტულ სკოლაში 10 დღეს გრძელდებოდა დედაქალაქის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ჭადრაკში.

მონაწილეობდა თბილისის 9 რაიონის (მხოლოდ მთაწმინდის რაიონმა ვერ შეძლო გუნდის გამოყვანა) კოლექტივი. 35 ქულით პირველ ადგილზე გავიდა საბურთალოს ნაკრები, რომელიც ძირითადად 162-ე სპეციალიზებული საჭადრაკო სკოლის (დირექტორი ირაკლი ახალაია, მწვრთნელები მიხეილ ჭიპაშვილი და დავით პაქსაშვილი) მოსწავლეებით (ოთარ ჯირკვალიშვილი, აკაკი შარაშენიძე, ნიკა შავთვალაძე, თამარ ბალხამიშვილი, ნანა წიქარაშვილი) იყო დაკომპლექტებული. გამარჯვებულს 10-10 ქულით ჩამორჩნენ ნაძალადევისა და ჩუღურეთის რაიონის გუნდები, რომლებმაც შესაბამისად მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს.

ვაჟა დანელია.



რაგბი

ითამაშეთ, ბიჭებო, ვაჟკაცურად!

სპორტის ვაჟკაცურმა სახეობამ — რაგბიმ ჩვენში საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი, რამიც მრავალწლიან ტრადიციასთან ერთად ენთუზიასტებსაც უძევთ წვლილი. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ საქართველოში ძნელბედობის ჟამსაც აქტიური სარაგბო ცხოვრება გრძელდებოდა...

ამ მხრივ, გამონაკლისს არც ჭაბუკები წარმოადგენენ. ახლახან დასრულებულმა დედაქალაქის ჩემპიონატის პირველმა წრემ მრავალი პერსპექტიული მოზარდი გამოავლინა. შემოთავაზებულ ფოტოზე აღბეჭდილია 1983-1984 წლებში დაბადებულთა ტურნირის ლიდერის „ლელოს“ (ამ გუნდმა ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა) წამყვანი მოთამაშე, ჩვენი კოლეგის კორესპონდენტ შახვალად აივაზოვის ვაჟი, შეტევით გართული შახინ აივაზოვი.

დავძენთ, რომ ამ დღეებში ნორჩების ერთ-ერთ შეხვედრას ვარკეთილის სტადიონზე რაგბის სამშობლოს, დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი სტივენ ნეში დაესწრო.

მათი ოსტატობითა და სპორტული ჟინით აღფრთოვანებულმა საპატიო სტუმარმა თითოეული გუნდი ჩვენში დეფიციტურად ქცეული სამ-სამი სხვადასხვა ზომის ოვალური ბურთით დაასაჩუქრა.

გია პლატონიშვილი.

ტურიზმი

მისი სახელია ვიკას სინგი. დაიბადა 1965 წლის 23 მარტს, ინდოეთის შტატ ოტერპროდეის ქალაქ ლასნაუში. აქვს უმაღლესი საინჟინრო განათლება. არც კოლეჯში, არც ინსტიტუტში არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ 21 წელს რომ გადააბიჯა, უფრო ზუსტად 1989 წლის 30 ოქტომბერს (პარასკევს) დილაადრიან, ჩააწყო რა რიკშაში საგზალი და პირადი ნივთები, დაჰკრა ფეხი და აგერ უკვე ათი წელია მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს. 10 წლის განმავლობაში 52 ქვეყანა მოიარა და 53 წყვილი ფეხსაცმელი გაცვითა. წინ კიდევ 15 წელია. სწორედ, ამ პერიოდში აპირებს იგი დედამიწის შემოვლას მთლიანად. ცოცხალი ლეგენდა საქართველოს 14 მაისს, ხოლო ფოთს, მეორე დღეს, 15 მაისს ეწვია თურქეთიდან. სახეზე დაღლილობის ნატამალიც არ ეტყობა. ჩვენს მიერ დასმულ შეკითხვებს დიპლომატიურად პასუხობს.

ინდოელი მოგზაური საქართველოში

10 წელი მსოფლიოს გარშემო

— ვიკას, რა მიზანს ისახავს თქვენი, ცოტა არ იყოს, უცნაური გადაწყვეტილება?

— მინდა კეთილი ურთიერთობა დავამყარო იმ ქვეყნებთან, რომლებშიც ვმოგზაურობ. რიკშაზე გაკეთებული წარწერაც ამაზე მიუთითებს: „მსოფლიოს მეგობრული და სამშვიდობო მისია“.

— ჰო, მაგრამ ამ მისიას ძალიან დიდ დროს ხომ არ ანდომებთ?

— დიახ, მე რომ მოსკოვში ვიყავი, თქვენი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე საგარეო საქმეთა მინისტრი იყო.

— მოგზაურობის დამთავრების შემდეგ რას აპირებ?

— არ ვიცი, ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რა იქნება 15 წლის მერე.

— დღეში რამდენ კილომეტრს გადიხართ?

— დაგეგმილი მაქვს გავიარო 30 კილომეტრი, მაგრამ თუ ვერ მოვახერხე, დიდი ტრაგედია არ არის.

— ყოველდღე 30 კილომეტრი, თითქმის დაუჯერებელია.

— ეს არც ისე ძნელია, თუ ჯანმრთელი ხარ.

— რიკშაზე რა გიდევთ?

— ყველაფერი, რაც ოჯახს სჭირდება.

— ფული თუ გაქვთ?

— დიახ.

— რაში ხარჯავთ?

— ყველაფერში, როგორც თქვენ.

— რომელიმე ქვეყანას ხომ არ გაიხსენებდით?

— არა, ყველა ძალიან მომეწონა.

— გაქვს თუ არა კონტაქტი თქვენს მთავრობასთან?

— მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.

— რა წინააღმდეგობები გხვდებათ?

— მოგზაურობაში ძალიან მიშლის ხელს კლიმატური პირობები, გაუმართავი გზები და ენობრივი ბარიერი.

— ჩანაწერებს ხომ არ აკეთებთ?

— არა!

— სად გძინავთ, საჭმელს სად ჭამთ?

— სადაც შესაძლებელია.

— როგორ შეხვდა თქვენს გადაწყვეტილებას ოჯახი, და-ძმა?

— ჩვეულებრივ.

— არ გენატრებათ ისინი?

— ჩვენ ერთმანეთთან კავშირი გვაქვს.

— ბედნიერი ხართ?

— დიახ.

— თბილისიდან საით მიემგზავრები?

— უახლოესი მარშრუტია სომხეთი, აზერბაიჯანი, ირანი...

ზურაბ აბრალავა,
„სრ“ კორ.

ავთანდილ ბაღათურიას ფოტო.

მძლეოსნობა

ბენ ჯონსონი რეაბილიტაციას მოითხოვს

ჩვენს მკითხველებს კარგად ახსოვთ, რომ 1988 წელს სეულის ოლიმპიადაზე კანადელმა სპრინტერმა ბენ ჯონსონმა ჯერ გასაოცარ შედეგს მიაღწია, შემდეგ კი ოქროს მედალი ჩამოართვეს და ორი წლით დისკვალიფიკაცია მისცეს. მიზეზი იყო დოპინგის გამოყენება.

საბოლოო განაჩენი ბენ ჯონსონს მაინც 1993 წელს გამოუტანეს, როდესაც მის ტესტირებას უკვე სამუდამო დისკვალიფიკაცია მოჰყვა, რადგან სპინტერმა ჭკუა ვერ ისწავლა და კვლავინდებურად დოპინგს იღებდა.

ახლა ჯონსონმა პრესის წარმომადგენლებთან გააკეთა განცხადება, რომ 1993 წელს (სეულის ოლიმპიადაზე იგი უკვე აღარ ლაპარაკობს) მას, უბრალოდ, პროვოკაცია მოუწყვეს გზიდან საბოლოოდ ჩამოშორების მიზნით, მთელი სადოპინგო ანალიზი გაყალბებული იყო. ამიტომ სპრინტერმა (თუ ყოფილმა სპრინტერმა) გადაწყვიტა უჩივლოს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციასა და კანადის მძლეოსნობის ასოციაციას. იგი იმედოვნებს, რომ კვლავ მისცემენ სარბენ ბილიკებზე გამოსვლის შესაძლებლობას.

ბენ ჯონსონი 35 წლისაა. საეჭვოა, რომ მან შეძლოს თანამედროვე უძლიერეს სპრინტერებთან სერიოზული კონკურენციის გაწევა, მაგრამ დისკვალიფიკაციის მოხსნა სპორტსმენს, უბრალოდ, საარსებო წყაროების შოვნის საშუალებას მაინც მისცემს.

კობა თუთბერიძე.

ალპინიზმი

ევერესტთან, 8300 მეტრის სიმაღლეზე...

გამარჯვების დღის დადგომის წინალამე სამი რუსეთელი მთამსვლელისათვის მძიმე შედეგით აღინიშნა: მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალიდან დაშვებისას ისინი დაიღუპნენ. სამივენი ბარნაულიდან იყვნენ, ევერესტის დალაშქვრას კი ყაზახეთის ნაკრების შემადგენლობაში ლამობდნენ.

ამ სამეულიდან ყველაზე სახელოვანი 37 წლის ივან პლოტნიკოვი ადრე სამჯერ ასულა „რვაათასიანებზე“. 53 წლის ნიკოლაი შევჩენკო, წარსულში ცნობილი მთამსვლელი, ბოლო წლებში ალტაის მხარის მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარე გახლდათ. 46 წლის ალექსანდრე ტორომჩინი მანამდე არც ერთი გახმაურებული ასვლით არ გამორჩეულა. ცოცხალი გადარჩა ტორომჩინთან დაწყვილებული ვლადიმერ ტუმიალისი: 8300 მეტრის სიმაღლეზე (შეგახსენებთ, ევერესტის საერთო სიმაღლე არის 8848 მ.) მას შეუძლოდ უგრძნია თავი და უკან დაბრუნებულა.

მთამსვლელობაში რუსეთის მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ შატაევმა ჟურნალისტებს ასეთი ინფორმაცია მიაწოდა: რვა მაისს, სადღაც საღამოს შვიდის ნახევარზე, პლოტნიკოვი და შევჩენკო მწვერვალზე ავიდნენ; რაკი დრო უკვე საკმაოდ გვიანი იყო, მაშინვე დაშვება დაიწყეს; მწვერვალიდან ასე 200 მეტრის დაშორებით გრიგალი ამოვარდა. მთამსვლელებთან კავშირი შეწყდა და აქამდე ეს ორნი უგზოუკვლოდ დაკარგულებად ითვლებიან. ტორომჩინმა, როგორც ყველაფრიდან ჩანს, მწვერვალამდე ვერ მიაღწია და დაახლოებით 8700 მეტრის სიმაღლიდან დაიწყო დაშვება; ერთობ სარწმუნოა, რომ იგი თოვლის ქარბუქმა მოისროლა. ტორომჩინის გვამი მეორე დღეს მოიერიშე ბანაკის მორიახლო იპოვეს იმავე მარშრუტით მიმავალმა ფრანგებმა.

ამჟამად ევერესტის ფერდობებზე რუსეთისა და ყაზახეთის მთამსვლელთა ორი სხვა ჯგუფიც იმყოფება. შესაძლოა, მათ მოახერხონ პლოტნიკოვისა და შევჩენკოს რაიმე კვალის ან კუთვნილი საგნების მიგნება; ასე თუ ისე, ტრაგედიის დეტალები გაცხადდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შინ დაბრუნდებიან რუსეთელი და ყაზახი მოლაშქრეები, აგრეთვე მომხდარის მთავარი მოწმე ვლადიმერ ტუმიალისი.

მოამზადა
თამაზ ილმელმა.

ნარდი

ემზარ ლაითაძე - ნევადის ჩემპიონი!

აზარტული სამყაროს ციტადელში — ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ლასვეგასში დასრულდა ნევადის შტატის ღია ჩემპიონატი სპორტულ ნარდში.

ოკეანის გაღმა ოთხმა ქართველმა ოსტატმა იასპარეზა. მათგან შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ქვეყნის ორგზის ჩემპიონმა, ფოთელმა ემზარ ლაითაძემ — იგი ნევადის შტატის ჩემპიონი გახდა!

ილია ჭავჭავაძე — 160

აფხაზეთიდან დევნილ მეცნიერთა კონფერენციაზე

ილია ჭავჭავაძის დაბადების 160 წლისთავს მიეძღვნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-აფხაზური ენებისა და ლიტერატურათმცოდნეობის განყოფილების თაოსნობით შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გამართული სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაზე შეიკრიბნენ აფხაზეთიდან იძულებით გამოდევნილი მეცნიერები, რომლებიც დედაქალაქში მასპინძელ მეცნიერთა დახმარებით კვლავ განაგრძობენ მუშაობას, კონფერენციის მომზადებაში ლტოლვილთ დიდი დახმარება გაუწია აკადემიკოსმა დავით თევზაძემ, რომელიც დიდხანს მუშაობდა სოხუმში და არაერთ იქ მცხოვრებ აფხაზ თუ ქართველ მეცნიერთა აღზრდაში მიუძღვის წვლილი. ასე რომ, მიუხედავად ლტოლვილობისა, აფხაზეთში მოღვაწე მეცნიერთა, მათ შორის ზოგიერთი აფხაზი მეცნიერის მუშაობა დედაქალაქში კვლავ გრძელდება.

კონფერენცია გახსნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა შოთა მისაბიშვილმა.

კონფერენციის მონაწილეებმა პატივი მიაგეს აფხაზეთში დაღუპულთა ხსოვნას. როგორც აკადემიკოსმა შოთა მისაბიშვილმა აღნიშნა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის შექმნას სოხუმში მცხოვრები ზოგიერთი აფხაზი მეცნიერი სამეცნიერო საქმიანობის კვლავ ერთად გაგრძელების მოლოდინით გამოეხმაურა.

ლიტერატურის ინსტიტუტის ჭერქვეშ აფხაზეთიდან ლტოლვილი მეცნიერების თავშეყრა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მის კედლებში წლების მანძილზე ცნობილმა მეცნიერებმა დიდი ამაგი დასდეს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის შექმნა შესაძლებლობას იძლევა ახალგაზრდა მეცნიერებმა თავიანთი სიტყვა თქვან აფხაზურ-ქართული ჯანსაღი ურთიერთობის განვითარების საკითხში. როგორც იქ აღინიშნა, აკადემიის შექმნაში დიდი დამსახურება მიუძღვის ბატონ ლორიკ მარშანიას და სხვათა თანადგომასა და მონდომებას. აფხაზეთის მინისტრთა საბჭომაც გარკვეული კაპიტალი გაიღო მისი არსებობისათვის.

კონფერენცია დაიწყო აკადემიკოს ოთარ ჭურღულიას მოხსენებით „ილია ჭავჭავაძე და აფხაზეთი“. აღსანიშნავია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტის, აფხაზური ენის მცოდნისა და სპეციალისტის ინგა შადურის მოხსენება — „ზმნის კატეგორიათა ურთიერთმიმართება აფხაზურში“, აკადემიკოს დავით თევზაძისა — „ქართულ-აფხაზური ურთიერთობის პრობლემა კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში — „ტაბუ“. აკადემიკოს ა. ონიანისა — „ეთნონიმთა „აფსილი“ — „აფსუა“ ურთიერთმიმართების საკითხი.“ აკადემიკოს ოთარ ჟორდანიასი — „ილია ჭავჭავაძე და გლეხთა საკითხი“, აკადემიის წევრკორესპონდენტის ოთარ მიქიაშვილისა — „ქართული ტოპონიმიის მოწესრიგებისათვის“. პროფესორის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ჯონდო ბარდაველიძისა — „აფხაზური ფოლკლორი ქართულ მწერლობაში“ და სხვათა მოხსენებები.

მეცნიერებათა ენით ერთხელ კიდევ გაჰმიანდა, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე საქართველოს ამ უძველეს კუთხეს, რაოდენ დიდ ინტერესს იჩენდა აფხაზებისადმი, მათი ყოფა-ცხოვრების, კულტურის, ეროვნული ყოფის რთული საკითხებისადმი. მის მიერ დაარსებულ „ივერიაში“ საგანგებოდ იყო გამოყოფილი რუბრიკები, „აფხაზეთი“, „ქ. სოხუმი“, „დ. გუდაუთა“, „დ. ოჩამჩირე“, „სამურზაყანო“, „აბჟუა“, „აფხაზეთ-სამურზაყანო“, „დ.ოქუმი“. „ივერიის“ ირგვლივ შემოკრებილი აფხაზეთის ინტელიგენციის წარმომადგენელთა წერილებში, კორესპონდენციებში, მიმოხილვებში შუქდებოდა აფხაზეთისა და აფხაზი ხალხის ყოფისა და სულიერი კულტურის საჭირბოროტო საკითხები. ქართველი და აფხაზი ხალხების წინააღმდეგ ყოველგვარი ეროვნულის შემბღალავ, დამამცირებელ, შუღლისა და მტრობის გამომწვევ გამოსვლებს ი. ჭავჭავაძე შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდა და მუდამ საკადრისი პასუხით უმასპინძლდებოდა „ვაი მეცნიერებს“, გადამთიელ საქმოსნებს, პირწავარდნილ ნაციონალისტებს, შოვინისტებს, რომლებიც ცდილობდნენ თანაცხოვრებით შეკავშირებულ ქართველებსა და აფხაზებს შორის შუღლი და მტრობა ჩამოეგდოთ და ამით თავიანთი ბნელი იმპერიული ზრახვები განეხორციელებინათ. 1903 წელს ილია ჭავჭავაძის სტუმრობამ გაგრასა და სოხუმში, ეროვნული დღესასწაულის ხასიათი მიიღო. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია და აკადემიკოსი ლორიკ მარშანია.

ნათელა ფაილოძე.

ეპისტოლენი, სიტყვანი და ქადაგებანი



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
1977-1996
ეპისტოლენი
სიტყვანი
ქადაგებანი
I

ქართველმა ხალხმა სააღდგომოდ კარგი საჩუქარი მიიღო, საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილებამ გამოსცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II „ეპისტოლენი, სიტყვანი და ქადაგებანის“ პირველი წიგნი. მასში თავმოყრილია სააღდგომო, საშობაო და საახალწლო ეპისტოლენი, რომლითაც მისი უწმიდესობა თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე მიმართავდა და მოძღვრავდა ქართველ ხალხს. „ეპისტოლენი“ ღვთისმეტყველებასთან ერთად ქრისტიანის ცხოვრების ყველა მხარეს ეხება და იმ საკითხებსაც მოიცავს, რომლებიც ამ წლების მანძილზე განსაკუთრებით მწვავედ იდგა და დგას ჩვენი ხალხის წინაშე. იგი იწყება ლოცვით, რომელიც უწმიდესმა და უნეტარესმა სინას მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში დაწერა და ყოვლადწმიდა სამებას საქართველო შეავედრა.

ერთად თავმოყრილი ეპისტოლეები განსაკუთრებული სიცხადით წარმოაჩენს დიდი მეუფისა და მწყემსმთავრის ჭეშმარიტად ქრისტესმიერ სიყვარულსა და ზრუნვას სამწყსოს ყოველი, თვით ყველაზე გზააბნეული ცხოვარის მიმართ. ამავე დროს მისი უწმიდესობა უდიდესი ტაქტით, ისე, რომ გული არ გვატკინოს, ცდილობს თვალი აგვიხილოს ჩვენს სუსტ მხარეებსა და უარყოფით თვისებებზე და იქვე ნუგეში გვცეს სასოების შთაგონებით, რომ შეცნობილსა და მონანიებულ ცოდვას კაცთმოყვარე უფალი აუცილებლად მოგვიტევებს.

წიგნი, რომელიც გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში დაიბეჭდა, მაღალი პოლიგრაფიული დონით გამოირჩევა. მის მეორე ნაწილს, რომელშიც უწმიდესისა და უნეტარესის სიტყვები და ქადაგებები იქნება წარმოდგენილი, მკითხველი უახლოეს ხანში მიიღებს.

მაია ედიშერაშვილი.

ყურადღება!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მომცემელი შპს „პრესა“ ქ. თბილისში ამ
ზეთის გასავრცელებლად ხელსაყრელი პი
ბებით სამუშაოდ იწვევს კერძო რეალი
ტორებს.

მსურველები
დაგვიკავშირდნე
თბილისი,
მ. კოსტავას 14. გაზ
„საქართველოს
რესპუბლიკის“
რედაქცია.
ტელ: 93-26-99

ყურადღება!

ქალაქ თბილისში პრესის გავრცელების საცალო ქსელ
დასაქმებულთა და კერძო რეალიზატორთა საყურადღებ
ვაცხადებთ, რომ მიმდინარე წლის 20 მაისიდან ნებადა
თულია „საქართველოს რესპუბლიკის“ მხოლოდ იმ ეგზ
პლარების გაყიდვა, რომლებზეც ამ გაზეთის გამომცემე
შპს „პრესის“ სპეციალური შტამპი იქნება დარტყმული.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქც

თანადგომა

მშობიარობა უფასოა, თუ სადაზღვევო პოლისს წარადგენთ!

რამდენიმე თვეა ჩვენში სადაზღვევო კომპანია მთელი დატვირთვით მუშაობს. სახელმწიფომ თავის თავზე აიღო სამედიცინო დახმარების ზოგიერთი, უაღრესად მნიშვნელოვანი დარგი და მათი დაფინანსება მთლიანად სადაზღვევო კომპანიამ იკისრა.

ერთ-ერთი ასეთი მიმართულება გახლავთ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა. თუ რა კეთდება ამ მხრივ, რა დახმარებას უწევენ ორსულ ქალს, განმარტებას გვაძლევს პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი პალიკო კინტრაია.

— მინდა მოსახლეობამ იცოდეს, — განაცხადა მან, — ორსული ქალი ქალთა კონსულტაციებში ყოველგვარ სამედიცინო დახმარებას ოთხჯერ უფასოდ იღებს. ასევე უფასოდ უტარდება მას ყველა საჭირო ანალიზი და გამოკვლევა.

— ოთხჯერადი დახმარება რას ნიშნავს?

— ორსულ ქალს უფლება აქვს მიმართოს ქალთა კონსულტაციას, სადაც მათ აღრიცხავენ და ყოველგვარ სამედიცინო გამოკვლევას, მთელი ცხრა თვის მანძილზე, ოთხჯერ ჩაუტარებენ უფასოდ.

როდესაც ორსული უკვე სამშობიაროდ მიდის, მას უნდა ჰქონდეს სადაზღვევო პოლისი, რომელსაც ქალთა კონსულტაცია უფასოდ აძლევს. ამ პოლისის წარდგენით, მშობიარობა სადაზღვევო კომპანიის ხარჯზე უფასო იქნება. ორსული კი მხოლოდ 25 ლარს, თანაგადახდის წესით იხდის.

ბევრმა არ იცის, რამდენად აუცილებელია პოლისის წარდგენა და სამშობიაროში უსაბუთოდ მიდის, რაც ბევრ გაუგებრობას იწვევს — მას მშობიარობისათვის განკუთვნილი მთელი თანხის გადახდა მოუხდება. ჩვენ ხომ თვითდაფინანსებაზე ვართ და ყველაფერს — სამედიცინო აპარატურა იქნება, მედიკამენტები, მედპერსონალის მომსახურებისათვის განკუთვნილი თანხები, თუ თვით დაწესებულების კომუნალური მომსახურება, ჩვენი ხარჯებით ხდება. როდესაც ორსული სადაზღვევო პოლისს წარმოადგენს, მას სათანადოდ ვაფორმებთ, ვუგზავნით სადაზღვევო კომპანიას, რომელიც თავის მხრივ მშობიარობისათვის განსაზღვრულ თანხას გვირიცხავს.

— ამჟამად სამედიცინო მომსახურება ფასიანი რომ გახდა, ყველა ერიდება ექიმთან მისვლას, იშვიათად მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებას. ალბათ, ამის გამო ბევრი კონსულტაციასაც ნაკლებად მიმართავს.

— მინდა ერთხელ კიდევ განვაცხადო, რომ ქალთა კონსულტაციებში ყოველგვარი საბუთი, რომელიც მშობიარეს სჭირდება, უფასოა. იმისათვის, რომ ორსულმა სადაზღვევო პოლისი სრულყოფილად მიიღოს, აუცილებელი პირობაა სამკურნალო დაწესებულებაში აღრიცხონ ორსულობა პირველი სამი თვის განმავლობაში და აუცილებლად შეუვსონ სადაზღვევო პოლისი. ეს პროცედურა სრულიად უფასოა.

ამის აუცილებლობა ორი მიზეზით არის გაპირობებული, პირველი — ორსულობის პირველი სამი თვე არის ის ძირითადი პერიოდი, რომლის დროსაც გადაწყდება, ნაყოფი ნორმალური დაიბადება თუ არა, და თუ მომავალ დედას მთელი ორსულობის მანძილზე რაიმე მკურნალობა სჭირდება, პირველი სამი თვის განმავლობაში უნდა გადაწყდეს.

მეორე მიზეზი ის გახლავთ, თუ ორსულმა სამშობიაროში მისვლისას არ წარადგინა სადაზღვევო პოლისი, ეს იმას ნიშნავს, რომ ის არ არის დაზღვეული და მაშინ სადაზღვევო კომპანია დაწესებულებას არ გადაუხდის მისი მშობიარობისათვის საჭირო თანხას. ესე იგი, ასეთ შემთხვევაში მშობიარემ ეს თანხა (90 ლარი) თვითონ უნდა გადაიხადოს.

— სამშობიაროში კვების მდგომარეობა როგორია, უფასოა თუ ფასიანი?

— მოსახლეობას ისიც უნდა განვმარტოთ, რომ საავადმყოფოსა თუ სამშობიარო დაწესებულებაში კვება ავადმყოფის ხარჯზეა. კვების ღირებულებას არავითარი კავშირი არა აქვს მკურნალობის ღირებულებასთან. მშობიარეს უფლება აქვს იკვებოს სახლიდან მოტანილი საკვებით, მაგრამ აქვე მინდა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი პირადი დამოკიდებულება გამოვხატო. დღესდღეობით ჩვენში კვების პროდუქტებსა და მათ ვარგისიანობაზე სახელმწიფო კონტროლის საკითხი ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული. მელოგინეს შეიძლება ისეთი საკვები მოუტანონ, რომელიც მისთვის საზიანო აღმოჩნდეს. განსაკუთრებით ეს ხორციან პროდუქტებსა და ისეთ მალფუჭად პროდუქტებზე ითქმის, როგორიცაა ხაჭო, არაჟანი და სხვა. ამიტომ, რა თქმა უნდა, მიზანშეწონილია მელოგინისათვის საკვები სამშობიარო დაწესებულებაში მომზადდეს, სადაც პასუხს აგებენ პროდუქტების ხარისხსა და მის ვარგისიანობაზე. ამისათვის კი მან ფული უნდა გადაიხადოს.

— ვისაც არა აქვს ფულის გადახდის შესაძლებლობა? რამდენია დღეს ხელმოკლე, უმუშევარი, იმან რა ქნას?

— ასეთ შემთხვევაში ჩვენს ინსტიტუტში პოლისის მქონე უმწეო მშობიარესათვის, მრავალშვილიანი, მარტოხელა დედების, აგრეთვე იმათთვის, ვისაც ობიექტური მიზეზების გამო არ შეუძლია თანხის გადახდა, ინსტიტუტში, ეკონომიის ხარჯზე, შემოღებულია უფასო კვება.

— ისევ სადაზღვევო პოლისის პრობლემას დავუბრუნდეთ. ბევრია, რომელმაც არ იცის ასეთი საბუთის არსებობა და სამშობიაროში უპოლისოდ მიდის, მათთვის რაიმე შეღავათები თუ არსებობს?

— ეს მდგომარეობა გაითვალისწინა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და სამშობიარო სახლებს წლევანდელ 1 ივნისამდე ნება დართო მშობიარეს სადაზღვევო პოლისი სამშობიარო დაწესებულებებში შეუვსონ.

1 ივნისის შემდეგ კი, ვერც ერთი სამშობიარო სახლი მშობიარეს სადაზღვევო პოლისს ვერ შეუვსებს, რადგან თუ შეღავათის დრომ კიდევ გადაიწია, სადაზღვევო კომპანია ვერ შეძლებს მშობიარობისათვის საჭირო თანხის განსაზღვრას და მის დროულად გამოყოფას.

- ბატონმა პალიკომ აღნიშნა, რომ მელოგინის სტაციონარში მოხვედრისას სამედიცინო პერსონალსა და მელოგინის ახლობლებს შორის ხშირად ხდება გაუგებრობა და დავა იმის თაობაზე, რომ თითქოს მშობიარობა უფასოა და აქ კი რაღაც საბუთს სთხოვენ. ამ დროს მათ, მდგომარეობის გასარკვევად, უნდა მიმართონ მთავარ ექიმს, ანდა დარეკონ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შესაბამის განყოფილებაში. ტელეფონის ნომრები ყველა სამშობიაროში საჩინო ადგილზეა გამოკრული.

შემოსული თანხით ინსტიტუტში შესრულდა სარემონტო სამუშაოები, აქვთ საკუთარი გათბობის სისტემა, დიზელგენერატორი, სამრეცხაო, აპირებენ თეთრეულის შეძენას. ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდება, რათა მელოგინე ქალს მკურნალობისა და მომსახურებისათვის ნორმალური პირობები შეუქმნან.

ლარისა ხუზულური.

ON კლინიკ ჯორჯია
ON CLINIC LTD.
MEDICAL CENTERS
საერთაშორისო სამედიცინო ცენტრი

სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
ერექციის აღდგენა
შედეგების სრული გარანტია ასაკის მიუხედავად

მამაკაცთა სექსუალური პრობლემების მკურნალობის მსოფლიოში უძველესმა საერთაშორისო სამედიცინო ცენტრმა "ON CLINIC" პირველად ამიერკავკასიაში საქართველოში გახსნა კლინიკა!!! კლინიკების ძალი ნარმატებით მუშაობს ისრაელში, კანადაში, ავსტრალიაში, ესპანეთში, იტალიაში, თურქეთში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში

თქვენ მოგემსახურებიან ექიმ-უროლოგები ისრაელიდან. კლინიკის ხელმძღვანელი და კონსულტანტია მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტი, მინესოტის (აშშ) და თელ-ავივის უნივერსიტეტების პროფესორი ბატონი ამი სიდი

კლინიკის სპეციალიზაციაა მამაკაცთა სექსუალური პრობლემების მოგვარება, პოტენციის ამაღლება და აღდგენა, სპერმის ნაადრევი გამოყოფის მკურნალობა, განსაკუთრებით, პროსტატიტის, დიაბეტის და გულ-სისხლძარღვთა დაავადების ფონზე

მკურნალობა სრულიად ანონიმურია. პაციენტები ერთმანეთთან შეხვედრისგანაც დაზღვეულნი არიან!

"ON CLINIC" საერთაშორისო სამედიცინო ცენტრის კლინიკებში მკურნალობის კურსი წარმატებით 125 000 მამაკაცმა გაიარა

☎ 25.22.28
22.76.78

მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით

კლინიკის მისამართია — თბილისი, ირაკლი აბაშიძის 3 (ყოფილი ბარნოვის 91)

ხსოვნა

ჯემალ ჭკუასელი



აღარაა ჩვენს გვერდით ჯემალ ჭკუასელი, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის კონტროლის პალატის თავმჯდომარე. არადა, სულ რაღაც ორიოდე თვის წინ ჯერ დაბადებიდან 60 წელი, შემდეგ კი თბილისის კონტროლის პალატის შექმნის ხუთი წლისთავი მივულოცეთ. ეს უმშვენიერესი დღეები იყო, რადგან ხ
წლისთავზე მისი შრომის შედეგი სახეზე იყო — სამსახური დაწმენ
ჩამოყალიბებული, ტექნიკურად გამართული, დიდი გამოცდილებისა
მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული და, რაც მთ
რია, უკვე დიდი ავტორიტეტის მქონე.

ბატონი ჯემალი თანამშრომლებს ხშირად უკიჟინებდა მიღწე
არ დაჯერებოდნენ, აემაღლებინათ ცოდნის დონე. რაინდობისა და კაც
მაგალითსაც ყოველდღიურად იძლეოდა, რაინდობისა, რომელსაც დღ
სამწუხაროდ, იშვიათად შეხვდებით.

ცხოვრების გზაც საინტერესოდ განვლო ხელოვნებით დაწყებუ
სამეურნეო ხელმძღვანელი თანამდებობითა და მაკონტროლებელი
განოს თავმჯდომარეობით დამთავრებული. და, რაც უნდა გაგი
რდეთ, ისეთი სამსახურის ხელმძღვანელი, როგორიც უმაღლესი
კონტროლებელი ორგანო — თბილისის კონტროლის პალატაა, ახ
ხებდა მეგობრობასაც და თავისი მოვალეობის უკომპრომისოდ შ
რულებასაც, ადამიანებთან იყო საოცრად ახლოს და ამავე დრო
შორს, შინაგანად ძალიან სათუთი იყო, გარეგნულად კი თითქოს გორ
მის გვერდით მყოფი საქმეს ზერელედ ვერ გააკეთებდი, რადგან
ჯავრებაც საოცარი იცოდა და კარგად გაკეთებულ საქმეზე მად
ბასაც გულიანად გეტყოდა.

და ვანა მარტო თბილისის კონტროლის პალატამ, გადაუჭარბებ
შეიძლება ითქვას, სრულიად საქართველომ დაკარგა ჭეშმარიტი
მულიშვილი, საქართველოზე, დედაქალაქზე უზომოდ შეყვარებული,
უკეთეს მომავალზე მებრძოლი.

ამ ცხოვრებიდანაც სხვანაირად წავიდა. უცბად, მოულოდნელად,
მილით. სიკვდილშიც ორიგინალობა გამოიჩინა.

გემშვიდობებით საქართველოს კონტროლის პალატისა და თბი
სის კონტროლის პალატის თანამშრომლები. მშვიდად იძინეთ! გწამ
თქვენს გაკვალულ გზაზე კაცურად (გიყვარდათ ეს სიტყვა) ვივლ

თბილისის კონტროლის პალა

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს განცხადება

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აცნობებს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას, რომ საქართველოს კანონის „წიაღის შესახებ“ თანახმად გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებული წიაღითა და სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზირების ექსპერტთა უწყებათაშორისო საბჭო აცხადებს კონკურსს „ნაბეღლავის“ მინერალური წყლით სარგებლობაზე. ლიცენზიის მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკონკურსო მასალები საქართველოს კანონის „წიაღის შესახებ“ მუხლი 17-ის შესაბამისად გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში 1997 წლის 1 ივლისამდე.

კონკურსის გამართვის თარიღი გეცნობებათ დამატებით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ შემდეგ ნომერზე: 23-06-64.

მისამართი: ფალიაშვილის 87.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტი.

ამინდი 21 მაისს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მშრალი ამინდი, იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 11-16, დღისით 23-28, მთაში — ღამით 7-12, დღისით 19-24, მაღალმთაში — ღამით 4-9, დღისით 13-18 .გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება ზოგან წვიმა ელჭექით, შესაძლებელია სეტყვა, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 10-15, დღისით 21-26, მთაში — ღამით 8-13, დღისით 18-23, მაღალმთაში — ღამით 3-8, დღისით 12-17 გრადუსი სითბო.

თბილისში მშრალი ამინდია მოსალოდნელი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ღამით 13-15, დღისით 24-26 გრადუსი სითბო.

ხუთშაბათს, 22 მაისს 12 საათზე სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში გაიმართება 1993 წლის 22 სექტემბერს ბაბუშერას აეროპორტში ტრაგიკულად დაღუპული ქ. თბილისის სამმართველოს უფროსის მოადგილის კაპიტან

დავით ნაცვლიშვილის

სამოქალაქო პანაშვიდი.

მისამართი 9 აპრილის ქ. №4. დაკრძალვა 14 საათზე საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო.

დიანა და ანზორ ბასილაიები თანაგრძნობას უცხადებენ მეგობრებს ანა და ალეკო ბურჭულაძეებს მამის

ამირან ბურჭულაძის

გარდაცვალების გამო.

დედა მარიამი, შვილი მარი, სიძე ზაზა რუაძე, შვილიშვილი გიორგი, მეუღლე ტატიანა, ძმა ბადრი კოტრიკაძე ოჯახით, ბიძა ვანო კოტრიკაძე, მამიდა კატუშა ღირდალაძე, დეიდა ნანული გელდიაშვილი ოჯახებით, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბელა ვალერიანის ძე კოტრიკაძე

პანაშვიდი 20, 21 V, 5 ს. გასვენება 22 V 2 ს. გვაზაურის ქ. 3 ბ კორპუსი I სადარბაზო. მე-6 სართული, ბინა № 18.

მიდა ქართლის რეგიონული კონტროლის პალატა ღრმა მწუხარე
იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს კონტროლის პალატის თა
ჯდომარის მოადგილე, თბილისის კონტროლის პალატის თავმჯდომა

ჯემალ ლევანის ძე ჭკუასელი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ქვემო ქართლის რეგიონული კონტროლის პალატა ღრმა მ
ხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს კონტ
ლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის კონტრო
პალატის თავმჯდომარე

ჯემალ ლევანის ძე ჭკუასელი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონული კონტროლის პალატა ღრმა მ
ხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს კონტ
ლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის კონტრო
პალატის თავმჯდომარე

ჯემალ ლევანის ძე ჭკუასელი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიურო ღრმა მ
ხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს კონტ
ლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის კონტრო
პალატის თავმჯდომარე

ჯემალ ლევანის ძე ჭკუასელი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ისნის რაიონის გამგეობის თანამშრომლები თანაგრძნობას
ხადებენ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს ლევან ჭკუა
ლს მამის

ჯემალ ლევანის ძე ჭკუასელის

გარდაცვალების გამო.

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო და კავშირგ
მულობის მუშაკთა პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო თა
გრძნობას უცხადებენ საწარმოო გაერთიანება „საქკავშირმშენ
დირექტორს გოგი ამაღლობელს დედის

ალექსანდრა (შურა) ამაღლობელის

გარდაცვალების გამო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და
მოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტი იუწყება, რომ დეპარტამენ
პრესცენტრის უფროსს ალექსანდრე რუხაძეს გარდაეცვალა დ

ცუცა ისიდორეს ასული ლაჭავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორები: რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილის
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშარაულის 29.